

501
1978



სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის საინსტიტუტო
МИНИСТЕРСТВО СЕЛЬСКОГО ХОЗЯЙСТВА СССР

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი
Грузинский ордена Трудового Красного Знамени
сельскохозяйственный институт

სამეცნიერო შრომები ტ. 104 Т. НАУЧНЫЕ ТРУДЫ

სოფლის მეურნეობის ნაკრებების ეკონომიკა,
ორგანიზაცია, მართვა და დაგეგმვა
ЭКОНОМИКА, ОРГАНИЗАЦИЯ, ПРАВЛЕНИЕ И
ПЛАНИРОВАНИЕ
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ПРОИЗВОДСТВА

თბილისი—1978—ТБИЛИСИ



სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო
МИНИСТЕРСТВО СЕЛЬСКОГО ХОЗЯЙСТВА СССР

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი
Грузинский ордена Трудового Красного Знамени
сельскохозяйственный институт

სამეცნიერო შრომათა ბ. 104 Т. НАУЧНЫЕ ТРУДЫ

სოფლის მეურნეობის წარმოების ეკონომიკა,
ოკგანიზაცია, მართვა და დაგეგმვა

ЭКОНОМИКА, ОРГАНИЗАЦИЯ, ПРАВЛЕНИЕ И ПЛАНИРОВАНИЕ СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ПРОИЗВОДСТВА

46086



საქართველოს
სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
ნომიკა, ორგანიზაცია, მართვა და დამუშავების სფეროს ტომის მასალები განხილულია ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე და მოწონებულია შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დიდი საბჭოს მიერ.

Материалы тома серии — Экономика, организация, управление и планирование сельскохозяйственного производства — рассмотрены на заседании Ученого совета факультета и одобрены большим Ученым советом Грузинского ордена Трудового Красного Знамени сельскохозяйственного института.

მთავარი რედაქტორი ვ. მეტრეველი

სარედაქციო კოლეგია: ჯ. ბობოხიძე (პ/მგ მდივანი), დოც. ჰ. გიორგაძე, დოც. ზ. ელიზბარაშვილი, პროფ. ნ. ლაჭვეპიანი, პროფ. ა. მახარაძე, (მთ. რედ. მოადგილე), პროფ. კ. მიროტაძე, დოც. გ. ტყაღუა, პროფ. ი. ჭაში.

Главный редактор В. И. Метревели

Редакционная коллегия: Д. П. Бобохидзе (отв. секр.), проф. И. Л. Джаши, доц. Г. Г. Георгадзе, доц. З. А. Элизбарашвили, проф. Н. К. Лачкепиани, проф. А. Г. Махарадзе (зам. гл. редактора), проф. К. А. Миротадзе, доц. Г. Б. Чкадуа.



ВДК 631 : 111 : 711 . 14(23)

ა. მახარაძე

საქართველოს სსრ-ში სამთო მიწათმოქმედების განვითარების
ზოგიერთი პრობლემა

სსრ კავშირი მსოფლიოში ყველაზე დიდი ქვეყანაა. მისი ტერიტორია შეადგენს 22,3 მლნ. კვადრატულ კილომეტრს და გადაჭრმულია ჩელუსკინელთა კონცხიდან სამხრეთის საზღვარ კუშკამდე (თურქმენეთის სსრ-ის ათასი კმ) და ბალტიის ზღვიდან დეჟნევის კონცხამდე (ჩუკოტკა 9 ათასი კმ). ასეთ ვრცელ ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების პირობების მის ცალკეულ რეგიონში მეტად მრავალფეროვანი და განსხვავებულია.

სსრ კავშირში შემავალი საქართველოს სსრ ვრცელი ქვეყანა არ არის. მისი ფართობი მხოლოდ 69,7 ათას კმ² შეადგენს, მაგრამ ამ ტერიტორიის დასავლეთი და აღმოსავლეთი, სამხრეთი და ჩრდილოეთი, მთა-ვერტიკალური ზონალობის მიხედვით, ბარი—(რეგიონების) ადგილმდებარეობის მიხედვით განსხვავებული წარმოების პირობებით ხასიათდება. უდავოა, რომ სსრ-ში სასოფლო-სამეურნეო წარმოების პირობები გაცილებით ცუდია, ვიდრე ბარში. საქართველო კი უპირატესად მთიანი ქვეყანაა. მაგ., თუ პირობითად ზღვის დონიდან 1000 მეტრზე ზევით მდებარე ტერიტორიას მთელ მივიჩნევთ, მაშინ ჩვენი რესპუბლიკის მთელი ფართობის 54% მოდის მთაზე, 33%—მთის წინა ფერდობებზე, ხოლო 13%—ბარსა და დაბლობებზე. რესპუბლიკის მთელი ტერიტორიის ნახევარზე მეტი (52%) ზღვის დონიდან 1500 მ-ზე მაღალია, მეოთხედი ნაწილი ზ. დ. 500 მ-მდე აღწევს, შავი ზღვისპირა კოლხეთის დაბლობი კი ზ. დ. თბილისის 1—2 მ-ზე დაბალია [1]. საქართველოს ტერიტორიის გარკვეულ ნაწილს კი მუდმივი მყინვარებისა და თოვლიან ზონაშია მოქცეული. ამასთან ერთად, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის, კერძოდ, კოლხეთის ვაკის გარკვეული ნაწილი (220 ათასი ჰა) დაჭაობებულია და აქედან მხოლოდ ნაწილია დაშრობილი და ათვისებული, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოსათვის ნაწილების სიმცირე და ხშირი გვალვებია დამახასიათებელი. თუმცა ეს გარემოება ზოგჯერ დასავლეთ საქართველოს რიგ რაიონსაც გარკვეულ ზონაში აყენებს.

კ. მარჯხის სსრ საქ. სსრ.
სახელმწიფო რესპუბლიკა
ბიბლიოთეკა

მარქსისტულ-ლენინური ეკონომიკური მეცნიერება სასტიკად აკრიტიკებს მალთუსისა და თანამედროვე მალთუსიანელთა რეაქციულ, კატომბოძულე თეორიას საბრუნო საშუალებათა არითმეტიკულად მზარდობისა და მოსახლეობის გეომეტრიული პროგრესიით მზარდობის, მისი კრიტიკა სავსებით კანონზომიერია, ვინაიდან ფაქტობრივ მასალებს ემყარება. მაგრამ აქვე უნდა შევანიშნოთ ისიც, რომ მართალია, მსოფლიოში ჯერჯერობით მოსახლეობის ზრდის ტემპს წინ უსწრებს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ზრდის ტემპი—მაგალითად, 1000 წლიდან 1500 წლამდე, ე. ი. 500 წლის მანძილზე მსოფლიო მოსახლეობა საშუალოდ წელიწადში იზრდება 0.09%-ით, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება 0,12%-ით. 1500 წლიდან 1800 წლამდე პირველის საშუალო-წლიური ზრდის ტემპი შეადგენდა 0,22%-ს, ხოლო მეორესი—0,3%-ს. მაშინ, როდესაც ჩვენი საუკუნის პირველ ნახევარში მოსახლეობის ნამატმა მიაღწია 0,6%-ს, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებას ნამატმა—0,7%-ს, ე. ი. მათი ზრდის ტემპი მსოფლიო მასშტაბით თითქმის ერთმეორეს გაუტოლდა. ამ მხრივ საბჭოთა კავშირსა და მასში შემავალ საქართველოს სსრ-ში კარგი მაჩვენებლებია მოსახლეობის ზრდის ტემპს მნიშვნელოვნად აღემატება სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ზრდის ტემპი. საქართველოს სსრ-ში სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფიზიკური მოცულობა 1970 წლისათვის 7-ჯერ აღემატებოდა 1913 წლის პროდუქციის მოცულობას. აქედან, მეცენარეობის პროდუქცია 11,9-ჯერ გაიზარდა, ხოლო მეცხოველეობისა—3,8-ჯერ [2]. საქართველოს სსრ-ში 1940—1975 წლებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება თითქმის 2,9-ჯერ გაიზარდა, ხოლო მოსახლეობა 1,3-ჯერ. მიუხედავად აღნიშნულისა, ჯერჯერობით საბჭოთა კავშირში შეიმჩნევა რიგი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნაკლებობა. ამ უკანასკნელს დაძლევის მაგისტრალური ხაზი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიური გზით განვითარდება. მაგრამ ამ გზასთან ერთად გამოყენებული უნდა იქნეს ექსტენსიური გზა, უნდა ავითვისოთ და მოსახლეობის მატერიალური და კულტურული პირობების გაუმჯობესების სამსახურში ჩაგყენოთ შედარებით უარესი წარმოების პირობების მქონე ტერიტორია—ჩვენი მთა.

საქართველოს სსრ ბარს ჯერჯერობით არ ამოუწორა ეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების მთელი შესაძლებლობები და ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი წარმატებების მოპოვება შეუძლია როგორც შემოქმედების, ისე მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების საქმეში. მაგრამ სამთო მიწათმოქმედების განვითარებას ჩვენი რესპუბლიკისათვის უაღრესად დიდი სოციალური მნიშვნელობაც აქვს. საქართველოში სამთო მიწათმოქმედებას განვითარება მის მთისა და ბარის ქვეყნად შენარჩუნებას გულისხმობს—მთაში მოსახლეობის შენარჩუნებასა და დასაქმებას აპირობებს. ამჟამად ჩვენ მთას, ტერიტორიის 54%-ს, მოსახლეობის მხოლოდ 12% შემოიჩა. მთის რაიონებში კი მოსახლეობის შემცირების პრო-

გაბი გრძელდება. აღნიშნულის შესახებ ნათელ წარმოდგენას იძლევა
ორველი ცხრილის მონაცემები.

აღებულ პერიოდში დასახლებული მთის რაიონებიდან მოსახლეობის
მნიშვნელოვნად შემცირდა ყაზბეგისა და ონის რაიონებში.

ამასთან ერთად, აღებულ პერიოდში მოსახლეობის ზრდას ჰქონდა
დგილი ხელოსა და შუახევის რაიონებში.

უდაგოა, რომ მთის მოსახლეობის ადგილებზე შენარჩუნების საქ-
მში სამთო მიწათმოქმედების განვითარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა
ქვება.

მთიან ქვეყანაში, როგორც პროფ. ნ. იაშვილი მიუთითებს, ვერტიკა-
ლური ზონალობა მცენარეული და ცხოველური ორგანიზმების განლაგე-
ბას განმსაზღვრელი ფაქტორია, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეცი-
ალიზაციის საფუძველია. საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კულტუ-
რების ზონალური განაწილების შესახებ ჯერ კიდევ 200-ზე მეტი წლის წინ
საქმობდა გამოჩენილი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი.
რომელმაც შეადგინა საქართველოს გეოგრაფია კარტოგრაფიული და-
რებით. ავიერკავკასიაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზონალო-
ბის საკითხებს პირველი გამოქმედი პროფ. ვ. ვ. დოკუჩაევი (1898),
კონომი პირალოვი (1910), ა. ლაისტერი, ვ. გუსაკი, ა. ჯავახიშვილი,
ბუბანი და სხვ. [3].

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის
მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინს-
ტიტუტის კოლექტივმა პროფ. პ. ჟღენტის ხელმძღვანელობით დიდი მუშა-
ობა გასწია ჩვენი რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეცია-
ლიზაციის მეცნიერულ საფუძვლებზე დამუშავების საქმეში. რესპუბლი-
კის მთელი ტერიტორია დაიყო თერთმეტ ზონად და სამ ქვეზონად, რომ-
ელთაც მეტად სასარგებლო საქმე შესრულდა. თუმცა ვერტიკალური ზო-
ნალობის პრინციპი დაცული არ არის, ზონები რაიონების მიხედვით არის
შექმნილი, რაც ჩვენი აზრით მის ნაკლად უნდა მივიჩნიოთ. ასევე ნაკლად
უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ სპეციალიზაციის ზონების შემქმნელებმა
დასაფუძვლებად საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზა-
ციის ზონებიდან სრულად გამოთიშეს მარცვლეულისა და პარკოსანი კულ-
ტურების ზონა მამონ, როდესაც აბაშის, ხობის, სამტრედიის, ცხაათისა და
სხვა რაიონები ამ კულტურების წარმოების საუკეთესო პირობებით
სათათდება.

საქართველოში ექვსი ვერტიკალური ზონა გამოყოფილი: სუბტრო-
პიკული კულტურების—უპირატესად ჩაისა და ციტრუსების (ზ. დ. 250
მდე);

მეურნეობის შერეული ტიპის—მეხილეობა, მებოსტნეობა, მევენახე-
ობა ინტენსიური მემინდვრეობითა და მეცხოველეობით (ზ. დ. 250-დან
300 მ-მდე);



ცხოვლი 1

საქართველოს სსრ შთიანი რაიონების სოფლის მოსახლეობის რაოდენობა
(ათასებში) 1959—1976 წლებში*.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პ. რ. გ. ბ.	1959 წ. 19.1		1960 წ.				1970 წ.				1975 წ.				1976 წ.			
	სოფლის მოსახლეობა სულ		სოფლის მოსახლეობა სულ		ქვეყნის		სოფლის მოსახლეობა სულ		ქვეყნის		სოფლის მოსახლეობა სულ		ქვეყნის		სოფლის მოსახლეობა სულ		ქვეყნის	
	მთ. შორის ურთიანე ასაკის	კაცი	ქალი	მთ. შორის ურთიანე ასაკის	კაცი	ქალი	მთ. შორის ურთიანე ასაკის	კაცი	ქალი	მთ. შორის ურთიანე ასაკის	კაცი	ქალი	მთ. შორის ურთიანე ასაკის	კაცი	ქალი	მთ. შორის ურთიანე ასაკის	კაცი	ქალი
1	8,0	6,6	3,0	1,6	1,4	5,1	2,2	1,1	1,0	4,8	2,6	1,4	1,2	4,3	2,5	1,4	1,1	
2	17,4	16,1	5,5	2,5	3,0	11,9	5,6	2,8	2,0	10,7	4,9	2,5	2,4	10,4	4,7	2,3	2,4	
3	23,6	22,4	6,3	2,8	3,5	23,4	9,8	4,6	5,2	11,4	5,2	4,1	4,8	21,2	9,2	4,5	4,7	
4	32,5	28,8	11,6	5,6	6,0	31,3	15,4	7,4	8,0	30,8	14,9	7,4	7,5	30,3	14,8	7,3	7,5	
5	22,6	22,7	3,6	4,5	4,1	21,6	10,2	4,9	5,3	20,8	10,0	4,3	5,1	20,2	9,9	4,3	5,1	
6	14,7	13,3	5,8	2,6	3,0	12,5	6,4	3,1	1,1	12,4	6,5	3,3	3,2	12,3	6,5	3,3	3,2	
7	16,3	11,4	4,1	1,8	2,3	11,5	7,4	3,7	3,7	11,5	6,9	3,4	3,4	11,5	7,0	3,5	3,5	
8	17,2	16,7	6,7	3,4	3,3	13,5	7,2	3,7	3,5	11,4	7,1	3,4	3,7	16,1	7,0	3,3	3,7	

* Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году, Т.6, 1963, стр. 13—15.
წყარო: ანგარიშები.



მემინდვრობის—თავთავიანი მარცვლეულის უპირატესი განვითარება და მეცხოველეობით (ზ. დ. 500-დან 1000 მ-მდე);

მეცხოველეობის—მდიდარი ბუნებრივი საძოვრებითა და მემინდვრობის სუსტი განვითარებით, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გავრცელებით (ზ. დ. 1000-დან 1500 მეტრამდე);

მეცხვარეობის (მომთაბარე მეცხოველეობის ზ. დ. 1500-დან 2000 მ-მდე);

ბოლო მეექვსე ზონა, იწყება ზ. დ. 2000 მ-დან. აქ მიწათმოქმედება არ არის განვითარებული [3].

ვერტიკალური ზონების ზღვის დონის მიხედვით შექმნა სრულიად ადრეული ნიშნები. მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს მოცემულ ზონის ტერიტორიის რაციონალურ გამოყენებას, რადგან ზღვის დონიდან ერთსა და იმავე სიმაღლეზე მდებარე ტერიტორიის დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში განსხვავებული წარმოების პირობები აქვს შექმნილი. კლიმატურ-ნივთობრივი პირობების გამო. აქედან გამომდინარე, ვერტიკალური ზონები რეგიონების მიხედვით, კერძოდ, აჭარა-აფხაზეთის, გურია-სამეგრელო-იმერეთის, ქართლის, კახეთის მიხედვით უნდა შეიქმნას.

საქართველოში და საერთოდ საბჭოთა კავშირში და მთელ მსოფლიოში სამთო მიწათმოქმედების განვითარებას აპირობენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე მოთხოვნილების განუხრელი ზრდა, რაც მოსახლეობის მატებას იწვევს. კონკრეტულად საქართველოში, ამ მიზეზთან ერთად, სამთო მიწათმოქმედების განვითარების აუცილებლობას აპირობენ მცირემწიფიანობა, რესპუბლიკაში მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დეფიციტურობა (კერძოდ, მარცვლეულის, ხორციისა და რძის) და მთის რაიონებში მოსახლეობის შენარჩუნების ინტერესები.

სამთო მიწათმოქმედების განვითარება მოითხოვს რიგი პრობლემების ამუშავებას, კერძოდ, მისი განვითარების აუცილებლობის სოციალ-ეკონომიკურ დასაბუთებას, განვითარების ტემპების (ვადების) განსაზღვრას, საჭირო სახსართა წყაროების გამოთვლას, შრომის ორგანიზაციისა და მშენებლობის მეცნიერულ პრინციპებზე დამუშავებას და ა. შ.

სამთო მიწათმოქმედების განვითარება თანამედროვე მოთხოვნების დონეზე საერთოდ და, კერძოდ, საქართველოში დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. მთა საერთოდ და კერძოდ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის ვარგისი მიწების მეტისმეტი სიმცირითა და ერთ სივრცეში, მცირე ზომის ნაკვეთების სიმრავლით ხასიათდება. ამავე დროს ეს ნაკვეთები საკმაოდ მანძილითაა დაშორებული ერთიმეორისაგან, დაქანების დონეც საკმაოდ მაღალია. მაგ., საქართველოში სახნავი მიწების 27% მოდის 5 ჰა-მდე ფართობის მქონე ნაკვეთებზე, 47% — 5-დან 8 ჰა-მდე. მთიანი მდგომარეობაა მრავალწლიან ნარგავებშიც. მაგ., ჩაის პლანტაციები დაკავებული ნაკვეთების მთელი რაოდენობიდან 20% 0,5-დან 1 ჰა-

მდე ფართობის მქონე ნაკვეთებია, 54% — 0.5 ჰა-მდე ნაკვეთები. ყოველ ეს სპეციალურ ტექნიკას მოითხოვს, რომლის შექმნა რეალურ საქმეს. საქართველოში სამთო მიწათმოქმედების განვითარების უერთგულესი სიძნელეს მისი ინდუსტრიულ საფუძვლებზე გადაყვანა მოადგენს. პრიმიტიული შრომის იარაღებისა და ცოცხალი გამწევი ძალის გამოყენებით სამთო მიწათმოქმედების ეფექტურობის დონის ამაღლება კი მეტად რთული საქმეა. იმის გამო, რომ ჯერჯერობით სამთო მიწათმოქმედებისათვის სრულყოფილად შექმნილი არ არის თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, მამაპაპური შრომის იარაღებისა და ცოცხალი გამწევი ძალის გამოყენება მისაღებ ღონისძიებად უნდა მივიჩნიოთ.


სამთო მიწათმოქმედების განვითარებას აძნელებს აგრეთვე მთიერ შრომის მიწის ნაკვეთების სიმრავლე და მიწის ამ ნაკვეთების განსხვავებული შედგენილობა, რომელიც ართულებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციას მთის ზონაში.

ყოველი დიდი ეროვნული მნიშვნელობის საქმე და მათ შორის სამთო მიწათმოქმედების განვითარება სოლიდურ კაპიტალურ დაბანდებას საჭიროებს და, ცხადია, მთის ზონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ამის საშუალება არა აქვთ. სამთო მიწათმოქმედების განვითარებისათვის — ტერასების მშენებლობისათვის, შრომის ანაზღაურების ამაღლებისათვის, გზების მშენებლობისათვის, მთის ზონაში კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებების მშენებლობისათვის, სახსრების ნაწილი ცენტრალიზებული წესით უნდა იქნეს გაღებული. მთა გარკვეულ პერიოდში, ამავე დროს ზედმეტი შრომისა და ზედმეტი პროდუქციის კატეგორიებისაგან სრულყოფილად უნდა განთავისუფლდეს. ბარსა და მთის შორის არაეკვივალენტური გაცვლის პრინციპი უნდა დამყარდეს.

სამთო მიწათმოქმედების განვითარება დღის წესრიგში აყენებს აგრეთვე მთის პირობებში საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ოპტიმალური სიდიდის განსაზღვრას. მთის პირობებისათვის შესატყვისი მეურნეობის კატეგორიებიდან ყველაზე უკეთესი კატეგორიის უპირატეს მშენებლობას, პირად დამხმარე მეურნეობის, ბართან შედარებით, უფრო მაღალი ხვედრითი წონით შენარჩუნებას.

ლიტერატურა — Литература

1. გ. დროზდოვი, სამთო პირობებში მექანიზაციის თავისებურებანი, ურნ. „საქართველოს სახალხო მეურნეობა“. № 7, 1971.
2. ვ. მელქაძე, საქართველოს ეკონომიკის დაჩქარებული განვითარების კომპლექსური პროგრამა, თბ., 1974.
3. Н. Яшвили. Природные ресурсы Грузинской ССР, т. VI, М., 1965.
4. Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году, Тб., 1963.
5. წლიური ანგარიშები.



УДК 339.3

მ. ბიბიჯიანი

თანამედროვე ენაზე განაწილებით ურთიერთობათა სრულყოფის ზომიერით
საღიბნი სოციალისტურ სასოფლო-სამეურნეო საზარმოებში

ყოველი სასოფლო-სამეურნეო-ეკონომიკური ფორმაციის წარმოებით ურთიერთობათა სისტემა შედგება სხვადასხვა ურთიერთობებისა და კავშირებისაგან. მას მიეკუთვნება წარმოების საშუალებათა განაწილებისა და გამოყენების ფორმები, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ადამიანებს, კლასებსა და სოციალურ ჯგუფებს შორის ურთიერთდამოკიდებულებანი, წარმოებული პროდუქციის განაწილებისა და გაცვლის ურთიერთობანი და სხვ. წარმოებით ურთიერთობათა სისტემაში მთავარ როლს ასრულებს საკუთრების ფორმები, როგორც წარმოების საშუალებებისა და წარმოებული პროდუქციის მითვისებასთან დაკავშირებული ურთიერთობები ადამიანებს შორის.

კომუნისტური ეკონომიკური ფორმაციის პირველი ფაზის-სოციალიზმის დამკვიდრების ამოსავალ პუნქტს წარმოების საშუალებებზე სასოფლო-სამეურნეო საკუთრება შეადგენს. წარმოების საშუალებებზე სასოფლო-სამეურნეო საკუთრების ეკონომიკური შინაარსი მდგომარეობს წარმოების საშუალებებისადმი ადამიანთა თანასწორ დამოკიდებულებაში. ამასთან დაკავშირებით ყალიბდება წარმოებითი ურთიერთობის დანარჩენი ელემენტების შინაარსიც. ზემოაღნიშნულს ადასტურებს ის, რომ წარმოების საშუალებათა სოციალისტური საკუთრების დამყარებამ თვისობრივად ახალი ურთიერთობანი განაპირობა სოციალიზმის დროს. მან წარმოშვა კლასების, სოციალური ჯგუფების და ადამიანთა საქმიანობის ურთიერთგაცვლის პრინციპულად განსხვავებული კანონზომიერებანი ექსპლუატატორულ ფორმაციებთან შედარებით.

რადგან წარმოების საშუალებათა საკუთრების ფორმა განსაზღვრავს წარმოებით ურთიერთობათა სისტემის სხვა დანარჩენ მხარეებს, აქედან გამომდინარე, სოციალიზმის დროს საკუთრების ფორმების განვითარება, მათი ცვლილება ჰქმნის აუცილებელ წინამძღვრებს არსებული წარმოებით ურთიერთობათა ცვლილებისათვის, სრულყოფისათვის.


სოციალიზმმა თავის განვითარებაში გაიარა ძირითადი გამარჯვებული სოციალიზმის ეტაპი და შევიდა განვითარებული სოციალიზმის ეტაპში. პირველ ეტაპთან შედარებით განვითარებულ სოციალიზმს განსაკუთრებული განმასხვავებელი ნიშნები, როგორცაა, მაგალითად, საწარმოო ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა განვითარების მაღალი დონე, კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის გაშლა და ა. შ.

განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე ადგილი აქვს წარმოების სოციალისტური განსაზოგადების შედარებით მაღალ დონეს საერთო-სახალხო და საკოლმეურნეო-კოოპერაციულ საკუთრების ფორმებში, მიმდინარეობს საზოგადოებრივი საკუთრების ფორმების ურთიერთდაახლოების ინტენსიური პროცესი. ლ. ი. ბრეჟნევი სტატიაში „კომუნისმის გზის ისტორიული მიჯნა“ წერს: „განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე, როგორც ჩვენი გამოცდილება გვიჩვენებს მნიშვნელოვნად მაღლდება ეკონომიკის განსაზოგადების დონე, განუხრელად უახლოვდება ერთმანეთს სოციალისტური საკუთრების სახელმწიფო (საერთო-სახალხო) და საკოლმეურნეო-კოოპერაციული ფორმები. ამ ბოლო წლებში ამას აქტიურად უწყობს ხელს სამეურნეობათაშორისო კოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის გაღრმავებისათვის პარტიის გეზი, რომელიც თანამედროვე პირობების შესაბამისად ავითარებს ლენინური კოოპერაციული გეგმის რდეებს“.¹

განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს აგრეთვე ქალაქსა და სოფელს, კლასებს, გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების ლიკვიდაცია. ხორციელდება ეკონომიკის საგრძნობი შემობრუნება ადამიანთა მრავალფეროვანი მატერიალური და კულტურული მოთხოვნების სულ უფრო სრული დამაკმაყოფილებლად და სხვ.

ვინაიდან წარმოების საშუალებებზე საკუთრების ფორმა განსაზღვრავს განაწილებას, მისი ცვლილება განაწილების შიცილსაც განაპირობებს, განვითარებულ სოციალიზმში კი ადგილი აქვს წარმოების სოციალისტური განსაზოგადების დონის ზრდას საერთო-სახალხო და კოოპერაციული საკუთრების ფორმებში, რასაც თან სდევს წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრების ურთიერთდაახლოების პროცესის გაძლიერება, აგრეთვე განაწილება განისაზღვრება საწარმოო ძალთა განვითარების დონით, ხოლო განვითარებული სოციალიზმის ეტაპი კი ხასიათდება საწარმოო ძალთა მკვეთრი განვითარებით, ყოველივე ეს მოითხოვს განაწილებითი ურთიერთობის თანმიმდევრულ სრულყოფას საერთოდ, მ. შ. საოფლის მეურნეობაშიც (შევეხებით მხოლოდ მოხმარების ფონდ-

¹ ლ. ი. ბრეჟნევი—კომუნისმის გზის ისტორიული მიჯნა, ჟრნ. „საქართველოს კომუნისტი“, 1977, № 12, გვ. 4.



დან ინდივიდუალური ანაზღაურებისათვის განკუთვნილი შრომის პროდუქტების განაწილების საკითხს).

განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ეტაპზე განვითარებული ურთიერთობის სრულყოფის განუწყვეტელი პროცესი მიმდინარეობს, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოხმარების ფონდად განკუთვნილი შრომის პროდუქტების განაწილების საკითხს. მისი სრულყოფა ხორციელდება. უპირველეს ყოვლისა, შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით ინდივიდუალური ანაზღაურების ცვლილებით, გადიდება (სტაბილური საცალო ფასების არსებობისას).

შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით ინდივიდუალური ანაზღაურების ცვლილებას, ზრდას სოციალიზმის მშენებლობის მთელ მანძილზე განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა და ექცევა. მაგრამ მას მშრომელთა რეალური შემოსავლის გადიდებაში სოციალიზმის ეტაპების მიხედვით თავისებურება ახასიათებს, რაც გამოიხატება შემდეგში: 50-იანი წლების პირველ ნახევრამდე (1954) ჩვენი ქვეყნის მშრომელთა რეალური შემოსავლის ზრდა უდიდეს ნაწილში მიიღწეოდა მოხმარების საგნებზე საცალო ფასების შემცირების გზით. აღნიშნული პერიოდის შემდეგ კი უპირატესობა ენიჭება შრომის ანაზღაურების (მინიმალური და საშუალო ხელფასების) გადიდებას. ეს გაპირობებულია, ჯერ ერთი იმით, რომ თანამედროვე ეტაპზე მოხმარების საგნებზე საცალო ფასების შემცირება ერთგვარად შეუძლებელია (იგი დამოკიდებულია პროდუქციის ღირებულების შემცირების შედეგებზე, სასაქონლო რესურსების დაგროვებაზე), მეორეც, მოხმარების საგნებზე საცალო ფასების მასობრივი შემცირება უფრო ხელსაყრელი ხდება იმ მყიდველისათვის, ვისაც მაღალი ხელფასი, მაღალი შემოსავალი აქვს. ეს კი, როგორც კომუნისტური პარტიის გეზი ვიჩივრებს, თანამედროვე ეტაპისათვის შეესაბამება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის მასალებში მითითებულია, რომ ... „პარტია კვლავაც განახორციელებს ძირითადი საქონლის სტაბილური სახელმწიფო საცალო ფასების უზრუნველყოფის ზღვას...“² როგორც ჩანს, ამჟამად მოხმარების საგნებზე საცალო ფასების მასობრივი შემცირებით მშრომელთა შემოსავლის გადიდება შეუძლებელია.

თანამედროვე ეტაპზე კომუნისტური პარტიის მითითების შესაბამისად, უპირველეს ყოვლისა, ამჟამად უნდა იქნეს შედარებით დაბალი ანაზღაურებისა და ნაკლებად უზრუნველყოფილ მშრომელთა ცხოვრების დონე, რისთვისაც ტარდება ღონისძიებანი, როგორც მუშა-მოსამსახურეთა მინიმალური და საშუალო ხელფასების, ასევე კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების გაზრდისათვის.

² სკკ XXV ყრილობის მასალები, გვ. 55, 1976.

უნდა აღინიშნოს, რომ საერთო სოციალიზმის ფაზის პირველ ეტაპზე ექცეოდა ყურადღება ხელფასის, როგორც აუცილებელი შრომის დანახვათა ანაზღაურების ძირითადი ფორმის მოწესრიგებას, მაგრამ შემდეგ ყურადღება უფრო გამახვილდა განვითარებული სოციალისტურ ტარდება ღონისძიებანი სხვადასხვა კატეგორიის მუშაკთა შრომის ანაზღაურების დონეთა თანდათანობითი დაახლოებასათვის, ხორციელდება შრომის დაბალი ანაზღაურების მქონე მუშებისა და მოსამსახურეების ხელფასის პირველ რიგში გადიდება. ეს ხდება არა მექანიკურად, მხოლოდ ხელფასის რეგულირებით, არამედ უმთავრესად მშრომელთა კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლების, კვალიფიკაციის ზრდის, ახალ სპეციალობათა დაუფლების პარალელურად, რის შედეგადაც მშრომელებს ენიჭებათ მაღალი თანრიგები და ენიშნებათ მაღალი ხელფასები. ყოველივე ამის გამო იზრდება მინიმალური და საშუალო ხელფასები და თანდათან სხვადასხვა მუშაკების ხელფასის დონეში არსებული განსხვავება მცირდება. შემოადინიშნულს ადასტურებს შემდეგი მონაცემები: სსრ კავშირში საშუალო-თვიური ხელფასი 1940 წელს თუ შეადგენდა 33,1 მანეთს, 1960 წელს გაიზარდა 80,6 მანეთამდე, 1970 წელს—122,0 მანეთამდე, 1975 წელს—145,8 მანეთამდე, 1976 წელს—151,4 მანეთამდე³.

მოტანილი მონაცემებიდან გამომდინარე, საშუალო-თვიური ხელფასი 1940 წელთან შედარებით 1960 წელს (20 წელიწადში) გაიზარდა 260%, ხოლო 1960 წელთან შედარებით 1976 წელს (16 წელიწადში)—188%. მართალია, 1940—1960 წლებთან შედარებით ხელფასის ზრდის ტემპი 1960—1976 წლებში დაბალია, მაგრამ აბსოლუტურ რიცხვებში სრულიად სხვა სურათია. საშუალო-თვიური ხელფასის მატება 1940 წელთან შედარებით 1960 წელს (ოც წელიწადში) თუ შეადგენდა 47,5 მანეთს, 1960 წელთან შედარებით 1976 წელს (16 წელიწადში) ხელფასის მატებამ შეადგინა 70,8 მანეთი, ე. ი. განსხვავება მატების მხრივ, 23,3 მანეთია.

ანალოგიური მდგომარეობაა მინიმალური ხელფასების ზრდის მიმართაც.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ 60-იანი წლების შემდგომ პერიოდში წლების მიხედვით სულ უფრო მკვეთრი ხდება მუშაკთა სხვადასხვა კატეგორიის ხელფასის თანაფარდობაში ცვლილებანი. მაგალითად, 1960—1965 წლებში მუშების საშუალო ხელფასი გადიოდა 13%, მოსამსახურეებისა—16%, 1965—1970 წლებში მუშების საშუალო-თვიური ხელფასი გადიოდა 27%, მოსამსახურეებისა—30%.⁴ ეს გარემოება განაპირო-

³ Народное хозяйство СССР за 60 лет. Юбилейный стат. ежегод. М., 1977. стр. 472.

⁴ Л. Орлов. Об экономических основах дифференциации заработной платы и ее тенденциях. и Э.Н., 1974, № 5, стр. 41.



საქართველოს
ხელნაწილების
რეპერტუარი

მა იმან, რომ მშრომელთა ამ კატეგორიებში დიდი ხვედრითი წონა უკავია 60 მანეთზე დაბალი ხელფასის მქონე მუშაკებს.

მკვეთრი ზრდით ხასიათდება საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა ხელფასიც. ამას ადასტურებს შემდეგი მონაცემები: საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა საშუალო-თვიური ხელფასი 1960 წელს თუ შეადგენდა 53,9 მანეთს.⁵ 1970 წელს შეადგინა 101,1 მანეთი, 1975 წელს—127,3 მანეთი, 1976 წელს—135,0 მანეთი⁶.

მონაცემებიდან გამომდინარე, საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა საშუალო-თვიური ხელფასი 1960 წელთან შედარებით 1976 წელს გადიდა 250% და აბსოლუტურმა მატებამ 81,1 მანეთი შეადგინა, ე. ი. საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა, როგორც საშუალო-თვიური ხელფასის ზრდის ტემპი, ასევე აბსოლუტური მატება. დანარჩენ სახელმწიფო საწარმოო მუშაკთა ხელფასის ზრდის ტემპთან შედარებით უფრო მაღალია.

შრომის მიხედვით განაწილებას სრულყოფა მიმდინარეობს საკოლმეურნეო სექტორშიც. კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების ფორმები თანდათან იხვეწება, უფრო სრულყოფილი ხდება.

საკოლმეურნეო წარმოების განვითარებას განსაზღვრულ საფეხურზე კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების სოციალისტური პრინციპის განხორციელების ერთადერთ საშუალებას შრომადღე წარმოადგენდა (იგი შემოღებულ იქნა 1930—1931 წწ.). მან დიდი როლი შეასრულა საკოლმეურნეო წარმოების განვითარება-განმტყიცებაში, კოლმეურნეთა კოლექტიური შრომით დაინტერესებაში.

შემდგომში, საკოლმეურნეო წარმოების განვითარების შედეგად, თანდათან მდგომარეობა იცვლება და შრომადღე სრულად ველარ პასუხობს საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების ამოღების ინტერესებს და სხვ., რის გამოც იგი შეცვლულ იქნა კოლმეურნეთა შრომის გარანტირებული ანაზღაურების ფორმით.

კოლმეურნეობებში შრომის ანაზღაურების ახალი ფორმის შემოღებამ ძირითადი ცვლილებები მოახდინა მათი შემოსავლების განაწილების მიმართ, რაც გამოიხატება შემდეგში:

1. კოლმეურნეთა შრომის გარანტირებულ ანაზღაურებას, რომელიც შემოიღებულ იქნა ფულით ან ნატურით, საუბუძვლად დაედო საბჭოთა მეურნეობების შესაბამისი კატეგორიების მუშაკთა სატარიფო განაკვეთები. გამომუშავების ნორმები წესდება კონკრეტული პირობების გათვალისწინებით გამომუშავების იმ ნორმების შესაბამისად, რაც დაწესებულია ანალოგიურ სამუშაოებზე მეზობელ საბჭოთა მეურნეობებისათვის.

5 Народное хозяйство СССР стат. ежегод., М., 1972, стр. 399.
6 Народное хозяйство СССР за 60 лет. Юбилейный стат. ежегод., М., 1977.
стр. 370.

2. კოლმეურნეთა შრომის გარანტირებული ანაზღაურების სიდიდე, როგორც წესი, დაწესებულ უნდა იქნეს არა მაქსიმალური, არამედ მინიმალური, კერძოდ ისეთი სიდიდის, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა კოლმეურნეობისათვის. გარანტირებული ანაზღაურების სიდიდის განსაზღვრვა უნდა შრომის ანაზღაურება ხდება სამეურნეო წლის ბოლოს, საბოლოო შედეგების შეჯამების შემდეგ, მიღებული საერთო შემოსავლის ოდენობის საფუძველზე.

3. შეიცვალა შრომის ანაზღაურებისათვის გათვალისწინებული ფონდების გამოყოფისა და ფორმირების წესი. თუ წინათ შრომის ანაზღაურებისათვის სახსრები გამოიყოფოდა სამეურნეო წლის ბოლოს, განუყოფელ და სხვა საზოგადოებრივ ფონდებში სახსრების გადარიცხვის შემდეგ, რაც ფაქტიურად წარმოადგენდა მთელი შემოსავლის განაწილების შემდეგ დარჩენილ ნაშთს, ახლა კოლმეურნეობებში საერთო შემოსავლის განაწილების ახალი წესის შესაბამისად, უწინარეს ყოვლისა, გამოიყოფა კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების სახსრები, ე. ი. ჯერ იქმნება შრომის ანაზღაურების ფონდი;

4. შრომის გარანტირებული ანაზღაურების წესის თანახმად კოლმეურნეებს ფულადი ანგარიში უნდა გაუსწორდეს ყოველთვის, აგრეთვე ნატურით, პროდუქციის მიღების ვადების შესაბამისად;


5. კოლმეურნეობებს, როდესაც კოლმეურნეთა შრომის გარანტირებული ანაზღაურებისათვის არ ყოფნით საკუთარი შემოსავლები, შესაძლებლობა აქვთ ბანკიდან მიიღონ საჭირო სახსრები კრედიტის სახით. კრედიტით აღებული თანხა უნდა შეესაბამებოდეს კოლმეურნეობათა დაკრედიტების გეგმით გათვალისწინებულ თანხას. ეს ღონისძიება ხელს უწყობს ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობების განმტკიცება-განვითარებას.

საკოლმეურნეო სექტორში შრომის გარანტირებული ანაზღაურების შემოღებას გარკვეული მნიშვნელობა აქვს. იგი აძლიერებს კოლმეურნეთა მატერიალურ დაინტერესებას, ხელს უწყობს სოფლად სამუშაო ძალის დამაგრებას, რამდენადმე ერთგვაროვანს ხდის შრომის ანაზღაურების ფორმებს კოლმეურნეობებსა და სახელმწიფო საწარმოებში—საბჭოთა მეურნეობებში, ადგილი აქვს შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიმართ ერთიან მიდგომას—თანაბარი შრომისათვის თანაბარი ანაზღაურება და ა. შ.

კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურებაც, სახელმწიფო საწარმოს, მ. შ. საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა შრომის ანაზღაურების მსგავსად, წლების მიხედვით ზრდით ხასიათდება, ამასთან ზრდის ტემპით იგი უსწრებს სახელმწიფო საწარმოს, მ. შ. საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა შრომის ანაზღაურებას (ცხრ. 1).

მიუხედავად იმისა, რომ შრომის ანაზღაურების ზრდის ტემპი კოლმეურნეობებში უფრო მაღალია, ვიდრე საბჭოთა მეურნეობებში, მაინც ჯერ კიდევ კოლმეურნეობებში შრომის ანაზღაურების საშუალო-თვიური ოდენობა საბჭოთა მეურნეობების, ასევე სახელმწიფოს დანარჩენ საწარ-

ერთ გამოშვებულ კაცდღეზე შრომის ანაზღაურება*



დასახელება	1960 წ.		1970 წ.		1975 წ.		1980 წ.	
	მან.	%	მან.	მ.ლ.წ. მიმარ. %	მან.	მ.ლ.წ. მიმარ. %	მან.	მ.ლ.წ. მიმარ. %
მეტრნეობები (ფული და პოლუქ. ერთად)	1,40	100,0	3,90	278,5	4,54	324,2	4,77	340,7
სხვა მეტრნეობები	2,31	100,0	4,43	191,1	5,51	328,5	5,83	252,3

1960 წლის მონაცემები აღებულია:

- * Народное хозяйство СССР. Стат. ежегод., М., 1972, стр. 388, 399.
- * Народное хозяйство СССР за 60 лет, Юбилейный стат. ежегод., М., 1977, стр. 351, 370.

ეს მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე ნაკლებია. მათ შორის განსხვავების შემცირებისათვის დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად 1976—1980 წლებში კოლმეტრნეთა შემოსავალი საზოგადოებრივი მეტრნეობიდან უნდა გაიზარდოს 24—27%, რის შედეგადაც საშუალო-საშენი ანაზღაურება 1980 წელს მიაღწევს 116 მანეთს, ხოლო მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი საშუალოდ უნდა გაიზარდოს 16—18% (1980 წელს საშუალო ხელფასი მიაღწევს 170 მანეთს)⁷.

როგორც მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, წინა პერიოდის მსგავსად (1960—1975 წწ.) კოლმეტრნეთა შრომის ანაზღაურების ზრდის ტემპი მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის ზრდაზე მაღალია, რისი განხორციელების შედეგად მათი შრომის ანაზღაურების სიდიდეებში განსხვავება კიდევ უფრო შემცირდება. ეს, განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე, განაწილებითი ურთიერთობის სრულყოფის ერთ-ერთი მაჩვენებელია.

მართალია, სოფლის მეურნეობაში ადგილი აქვს შრომის ანაზღაურების ზრდის მაღალ ტემპებს, მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ დარგის მუშაკთა გარკვეული ნაწილის შრომის ანაზღაურების ზღვანობა, ჩვენი აზრით, ჯერ კიდევ შესაბამისობაში არ არის მათ მიერ დახარჯული შრომის რაოდენობასა და შესრულებულ სამუშაოს სირთულესთან, რის გამოც (ერთ-ერთი მიზეზი) ამჟამად სოფლის მეურნეობის დარგი მექანიზატორი კატეგორიით სათანადოდ არ არის უზრუნველყოფილი.

⁷ სკკ XXV ყრილობის მასალები, თბ., 1976, გვ. 162.

მხ. ე. შვეარდნაძე საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე ეხებოდა რა მექანიზატორთა როლის სოფლის მეურნეობის აღმავლობის საქმეში, აგრეთვე ამ დარგის მექანიზატორებით უზრუნველყოფის საკითხებს. მნიშვნავდა: ... „ჩვენ კი ყოველი მეათე ტრაქტორი გვიცდება ტრაქტორთა ნაკლებობის გამო, დროა ბოლო მოედოს ასეთ უთაურობას. ცენტრალურ კომიტეტს უფლება აქვს მოთხოვოს სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებს უზრუნველყონ ტექნიკის ეფექტიანი გამოყენება, ამაღლონ მექანიზატორთა პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისადმი, კვალიფიციურ მექანიზატორთა კადრებით დააკომპლექტონ ყველა კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა. უფლება არ გვაქვს დავივიწყოთ, რომ მეათე ხუთწლედი უნდა იყოს და კიდევაც იქნება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის მექანიზაციის დონის მკვეთრი ამაღლების ხუთწლედი“⁸. გვიჭრობთ, ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტის მიმართ მნიშვნელოვანი როლი მატერიალური დაინტერესების შემდგომ ამაღლებას ეკუთვნის.


ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ შემდეგ დასკვნა:

1. განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე მიმდინარეობს განაწილებითი ურთიერთობის სრულყოფის ინტენსიური პროცესი;

2. შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით ინდივიდუალური ანაზღაურება სრულყოფილი ხდება, ამასთან ხასიათდება გარკვეული თავისებურებით, რაც გამოიხატება შემდეგში: განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე მშრომელთა რეალური შემოსავლების გადიდება ძირითადად მიიღწევა არა მოხმარების საგნებზე საცალო ფასების შემცირების გზით, არამედ სახელმწიფო საწარმოებში, მ. შ. საბჭოთა მეურნეობებში მინიმალური და საშუალო ხელფასების, ხოლო კოლმეურნეობებში კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების გადიდების გზით.

3. განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე შრომის ანაზღაურების ზრდის ტემპი, სამრეწველო საწარმოებთან შედარებით, სოფლის მეურნეობაში უფრო მაღალია. ხოლო, თვით სოფლის მეურნეობაში კი შრომის ანაზღაურების ზრდა საკოლმეურნეო სექტორში მაღალია საბჭოთა მეურნეობებთან შედარებით. ამის შედეგად მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეების შრომის საშუალო-თვითური ანაზღაურების გადიდებაში განსაკვეთილი მნიშვნელობა აქვს სოციალისტურ წარმოებით ურთიერთობის კომუნისტურ ურთიერთობებად გადაზრდის საქმეში.

⁸ საქ. კპ ცკ-ის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაში, 1976, გვ. 53.



УДК 631.157

45917

რ. აბანიძე

თანამედროვე „სოვეტოლოგების“ კრიტიკა სსრკ-ში საკოლმეურნეო წყობის შესახებ

სსრკ-ში სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა ნიშნავს დიდ რევოლუციას გლეხთა ცხოვრების ეკონომიკურ ურთიერთობაში. სწორედ ამ რევოლუციის შემდეგ დამკვიდრდა ჩვენს ქვეყანაში საკოლმეურნეო წყობა, რომელიც იქცეოდა და იქცევს მთელი მსოფლიოს მოსახლეობის სხვადასხვა წრის დიდ ყურადღებას. იმ დროს, როდესაც მსოფლიოს მოწინავე საზოგადოება, ჩვენი ქვეყნის მეგობრები ცდილობენ გაიზიარონ საბჭოთა სოფლის სოციალისტური მშენებლობის გამოცდილება, რათა აიღონ იქიდან მათთვის სასარგებლო და მნიშვნელოვანი, კოლმეურნეობის მტრები კი პირიქით, მთელი ძალღონით ცდილობენ ცალი დასწამონ, სახელი გაუტეხონ კოლექტივიზაციას და საკოლმეურნეო ძალებს, ისინი ცდილობენ დაამტყიცონ თითქმის სოფლის მეურნეობის სოციალისტური გზა ეწინააღმდეგება „ბუნებრივ კანონებს“, ამიტომ სსრკ-ის გამოცდილება თითქმის მიუღებელი იყოს სხვა ქვეყნისათვის. ვინაიდან კოლექტივიზაციას „სოვეტოლოგები“ თვლიან საბჭოურ მოვლენად.


იმისათვის, რომ „სოვეტოლოგებმა“ მათ მიერ მონაქორს მიანიჭონ „მეცნიერული“ მნიშვნელობა, ფართოდ იყენებენ მონაგონისა და სიცრუის ყოველგვარ შესაძლებლობას. ამახინჯებენ ფაქტებს, ცდილობენ იმ სიმწელებების სპეკულაციას, რომელიც ზოგჯერ წარმოიშობა სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში, ამავე დროს მთელი ძალღონით ალაპაზებენ და აქებენ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში სოფლის მეურნეობის მდგომარეობას და საერთოდ, კაპიტალისტური სოფლის მეურნეობის სისტემას. ბურჟუაზიული ეკონომისტებისა და სოციოლოგების „შეფასებები“ საბჭოთა სოფლის შესახებ ახალი არ არის, მათი აგრესიული თავდასხმები დაიწყო ჯერ კიდევ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პირველსავე დღეებში და დღემდე გრძელდება. ამ ხნის განმავლობაში შექმნა უამრავი ლიტერატურა, რომელიც შეიცავს ჩვენი აგრარული

სახელმწიფო ინსტიტუტის ბიბლიოთეკის

ურთიერთობების მტრულ და ვულგარულ „კრიტიკას“. როცა ამ ლიტერატურას ეცნობი ძნელი არ არის შენიშნა, რომ ახლა, ისე როგორც ძველად, ეს „კრიტიკა“ მთლიანად აგებულია ანტიკომუნისტურ ეროთად, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სსრკ-ის სოფლის მეურნეობის განვითარებაზე „სოვეტოლოგების“ შეხედულებებში შეინიშნება გარკვეული ევოლუცია. ამჟამად, რეალური ფაქტების ზეგავლენით „სოვეტოლოგები“ იძულებული არიან ეძებონ უფრო „დამარწმუნებელი“ არგუმენტები ახდენენ სოციალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ხერხებისა და მეთოდების მოძიებას. ზემოაღნიშნულის საილუსტრაციოდ საკმარისია დაეახლოვოთ ინგლისურ ჟურნალებში მიმდინარე დისკუსია თემაზე „კოლექტივიზაციის პოლიტიკური ეკონომია“. ზოგიერთი „სოვეტოლოგი“ პირდაპირ აღიარებს ჭეშმარიტებას. მაგალითად, ინგლისელი ისტორიკოსი ე. კარი, გამოვიდა იმის აღიარებით, რომ — კოლექტივიზაციამ დააჩქარა სსრკ სოფლის მეურნეობის განვითარება და რომ კოლექტივიზაცია კანონზომიერი და აუცილებელი იყო.

„სოვეტოლოგების“ ყველა „აღმოჩენის“ მოკლედ გადმოცემის შესაძლებლობა აქ არა გვაქვს. შევნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ავტორთა უმრავლესობა ბოროტ სიხარულს ამჟღავნებს იმის გამო, რომ ზოგჯერ სსრკ-ში არის მოუსავლიანი წელი და სსრკ ზოგჯერ პურს ყიდულობს კაპიტალისტური ქვეყნებიდან. „სოვეტოლოგები“ ასეთ წგრილმან ფაქტებს და მათზე დამატებულ შეთხზულ ამბებს მალე შეფასებას აძლევენ და აყალიბებენ ე. წ. „რეინის“ ლოგიკას: თუ მოუსავლიანი წელია რომელიმე კაპიტალისტურ ქვეყანაში ამაში, რა თქმა უნდა, დამნაშავეა სტატიური, კლიმატური პირობები, ხოლო თუ მოუსავლიანი წელი არის სსრკ-ში, მაშინ ამაში მიზეზია საბჭოთა აგარული სისტემა. დიდი სიამოვნებით იმეორებენ უკვე გაცემილ ფრაზებს—კოლექტივიზაციის იძულებითი გატარებისა და მისი მძიმე შედეგების შესახებ, რომლის შედეგადაც ვითომც გლეხები გადაიჩვივნენ გულმოდგინე მუშაობას, თითქოს არ არსებობს კოლმეურნეების პირდაპირი დაინტერესება შრომით. რეალური ფაქტების მიუხედავად ყოველად უსაფუძვლოდ უარყოფენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვის ფასების ეკონომიკურ დასაბუთებულობას. ფართო რეკლამით ავრცელებენ მონაქორს—სსრკ კავშირის აგარული პოლიტიკის „არამყარობის“ შესახებ სსრკ XX ყრილობის შემდეგ.

განვიხილოთ ამ საკითხთან დაკავშირებული რამდენიმე მაგალითი: ცნობილია და ხშირად აღნიშნულა საბჭოთა პრესაში, რომ დაწყებულია და გრძელდება სოფლის მოსახლეობის მიგრაცია ქალაქისაკენ, სოფელს ტოვებენ არა მარტო საშუალო სკოლადამთავრებული, არამედ ზოგჯერ კვალიფიციური მუშები. მექანიზატორები და სხვ. ეს პროცესი, უდავოდ, გარკვეულად შეფარდებით ამცირებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რაოდენობას. სწორედ ამასვე იმეორებენ „სოვეტოლოგები“, მაგრამ ისინი არაფერს არ ამბობენ მიგრაციის სპეციფიკურობის შესახებ სოცია-



ლიზმის დროს კაპიტალიზმთან შედარებით; კაპიტალისტური მიგრაციისათვის ორგანულად დამახასიათებელია აგრარული ქარბმოსახლეობის ინტელოგები“ არც იმის შესახებ ლაპარაკობენ, თუ რა დიდ და მხრივ დონისძიებებს ატარებს პარტია და მოაწოდებს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კადრების დამაგრების შესახებ.

სხვა მაგალითია: მ. ბორშტეინი ეხება სახელმწიფოს მიერ საკოლმეურნეო პროდუქციის შესყიდვის საკითხებს და წერს, რომ სახელმწიფოს მიერ კოლმეურნეობებისათვის დადგენილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახელმწიფოს შესყიდვის გეგმა 15—20 განსხვავებული დასახელების პროდუქტებისა იწვევს მეურნეობის უნივერსალიზაციის ტენდენციას, რაც პირდაპირ აფერხებს ეფექტურობის ზრდას. არასწორი იქნებოდა მთლიანად უარგვეყო აღნიშნული მოსაზრება. ზოგიერთ კოლმეურნეობაში ნაწილობრივ ანალოგიურ სურათს აქვს ადგილი; მაგრამ „სოვეტოლოგები“ იგნორირებას უკეთებენ, ერთი მხრივ, იმას, რომ კოლმეურნეობებს აქვს უფლება და შესაძლებლობა დადგენილი ეკვივალენტის მიხედვით შეცვალონ ერთი პროდუქტი მეორეთი, განავითარონ წარმოების ყველაზე უფრო რენტაბელური დარგები. მეორე მხრივ, „სოვეტოლოგები“ იგნორირებას უკეთებენ იმ ფაქტს, რომ ბუნებრივი პირობების ზეგავლენის შესახებ ქვეყნის ბევრ რაიონში (ხანგრძლივი ზამთარი, უდიდესი მანძილით დაცილება ცენტრიდან, გზების მოთხოვნები და სხვა) ეს ყოველივე ვერ კიდევ ახდენს გასამართლებელ გავლენას, რომ ვერ ვახერხებთ სოფლის მეურნეობაში ისეთი ღრმა სპეციალიზაციის გატარებას, როგორც ზოგიერთ სხვა ქვეყანაშია, თუმცა პარტია და მოაწოდებს ამისათვის აკრებულ ყველაფერს თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების მაქსიმალური მოთხოვნების გათვალისწინებით. ამის ნათელი მაგალითია, თუნდაც სულ ახლახან მიღებული სკკპ ცკ-ის დადგენილება—„სამეურნეობათშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი განვითარების შესახებ“.

თანამედროვე „სოვეტოლოგების“ მთელი მსჯელობა მიმართულია იქნებ, რომ როგორმე დაამტკიცონ განვითარებული სოციალიზმის სასოფლო-სამეურნეო საწარმოების არაეფექტურობა სსრ კავშირში და აშშ-ში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რაოდენობის შედარების საფუძველზე. ა. ბრეგსონი წერს: კერძო მწარმოებლობა ეკონომიურია საერთოდ და უფრო ეფექტური, ვიდრე სოციალისტური მეურნეობა.

საბჭოთა მიწათმოქმედებაში „კერძო სექტორის“ მკაცრი მხედველობაში იღებენ კოლმეურნეობის პირად დამხმარე მეურნეობას, რომელსაც მიიჩნევენ როგორც „უკანასკნელ მნიშვნელოვან ნაკვეთს კერძო აქტივობისას საბჭოთა კავშირში“. ყოველმხრივ ცდილობენ დაამტკიცონ, რომ თითქოს შრომა ამ მეურნეობებში რამდენადმე უფრო ნაყოფიერია, ვიდრე საზოგადოებრივ მეურნეობებში. ისინი ყურადღების გარეშე ტო-

ვებენ საერთოდ იმ ფაქტს, რომ პირადი დამხმარე მეურნეობის ეფექტურობა, რომელიც საერთოდ ატარებს სამომხმარებლო დამხმარე მეურნეობის ხასიათს, დიდად არის გაპირობებული სწორედ საზოგადოებრივ მეურნეობის ეფექტურობით, პირადი დამხმარე მეურნეობა ყოველთვის მჭიდრო კავშირშია საზოგადოებრივ მეურნეობასთან.

ზემოაღნიშნულის რეალობა დიდი ხანია უკვე დამტკიცებულია მოწინავე კოლმეურნეობების მაგალითებით. პირადი დამხმარე მეურნეობის არსებობა კანონზომიერია საკოლმეურნეო წყობის პროცესში, კომუნისზმის მშენებლობის გზაზე.

„სოვეტოლოგების“ ნაწილი ეყრდნობა „საოჯახო ფერმების“ თეორიას, რაც ფაქტიურად არის „წვრილი გლეხური მეურნეობის სიმყარის“ თეორიის ნაირსახეობა. „სოვეტოლოგები“ დიდი სიმათიით იმოწმებენ იაპონიის „გამოცდილებას“, სადაც წვრილი ნაკვეთების მაღალი ინტენსიფიკაციის შედეგად მიღებულია მნიშვნელოვანი ეფექტიანობა („სოვეტოლოგები“, როგორც ჩანს, მხედველობიდან ტოვებენ ისეთ „წვრილმანს“ როგორც არის ადგილობრივი ბუნებრივი პირობები) იმოწმებენ მაგალითებს თვით აშშ-დანაც, სადაც „ოჯახური ფერმა“ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მთავარ როლს თამაშობს. მაგრამ როგორც ყოველთვის, აქაც ანალიზი არამეცნიერულია, თუნდაც იმიტომ, რომ სინამდვილს ძალზე ცალმხრივად ახასიათებენ, რადგანაც საყოველთაოდ ცნობილია, რომ „ოჯახური ფერმის“ მდგომარეობა უაღრესად არამყარია. მაგალითად, 1951 წლიდან 1967 წლამდე აშშ-ში გაკოტრდა 2600 ათასი წვრილი ფერმა. ამავე პერიოდში გერ-ში 600 ათასი, იტალიაში ყოველწლიურად „ქრება“ საშუალოდ 67 ათასი წვრილი წარმოება. მიუხედავად ამ რეალური ფაქტებისა, „სოვეტოლოგები“ ამტკიცებენ, რომ თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია თითქოს იწვევს „საოჯახო ფერმის“ განმტკიცებას. ამერიკელი ეკონომისტი ჯონ ბლეკი ამტკიცებდა, რომ 1955—75 წლებში გაქრებოდა 1 მილიონი ყველაზე უფრო წვრილი ფერმა [2].

უკანასკნელ წლებში ბურჟუაზიულ ეკონომიკურ ლიტერატურაში არის იმის „ცდები“, რომ სოციალისტური მიწათმოქმედების არაეფექტურობა „ახსნან“ კონტროლისა და შრომის პროცესების ზედამხედველობის სიძნელით. ყველაზე უფრო აშკარად ეს იდეა გამოხატეს მ. ბრედლიმ და მ. კრაკმა—ფაბრიკისაგან განსხვავებით—აღნიშნავენ ისინი—შრომა მიწათმოქმედებაში გამოყენებულია ფართო სივრცეზე, შედეგები კი გამოქვდავდება არა იმავე დღის ბოლოს, ანდა კვირის ბოლოს, არამედ მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ. ფაბრიკაში მუშათა მასას შეუძლია ერთდროულად ერთიმეორესთან კონტაქტში შეასრულოს უზარმაზარი რაოდენობის ოპერაცია (წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის გატარებით) მაშინ, როცა სოფლის მეურნეობაში შეფარდებით ძალზე მცირე მუშათა რაოდენობა იძულებულია შეასრულოს სამუშაოები უაღრესად ფართო სივრცეზე და შეასრულოს ერთიმეორისაგან გათიშული და განსხვავებული

სამუშაოები. რაც ამასთან ერთად, თანდათან გადადის ერთი ოპერაციიდან მეორე ოპერაციაზე (ბიოლოგიური პროცესების განსხვავების მიხედვით). ამიტომ ამტკიცებენ ა. ბრედელი და მ. კრაკი, რომ ფაბრიკაში შედარებით ბევრად იოლია მეთვალყურეობა და კონტროლი შრომითი ოპერაციის ხარისხზე, მაგრამ მიწათმოქმედებაში მდგომარეობას ამწვავებს ისიც, რომ მიწის ხარისხი ძალზე მცირე ზომის მეურნეობის ფარგლებშიც კი ძლიერ მერყეობს, ხოლო მთელი რიგი რესურსების (განსაკუთრებით ამინდის) წინასწარმეტყველება შეუძლებელია, ამდენად მიწათმოქმედებაში მუშის შრომის კონტროლი ძალზე ძნელია. მიწათმოქმედებაში არის ერთდერთი გამოსავალი, აღნიშნავენ ისინი—კერძოდ ის, რომ ყოველი მუშა თვითონ აკეთებდეს სურვილით ყველაფერს, ამავე დროს მუშა ყველა დაგალებას უნდა ასრულებდეს სიამოვნებით, საუკეთესოდ და საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში. ყოველივე ეს, აღნიშნავენ ისინი—შეაძლებელია და რეალურია იმ შემთხვევაში, თუ მუშა და მეპატრონე არის ერთი პირი, ე. ი. ჩვენ რომ მათი აზრი ზუსტად გამოვხატოთ ეს არის „საოჯახო ფერმა“.

რა თქმა უნდა, მიწათმოქმედებაში ბუნებრივი პირობებისა და ტექნიკის გამოყენების თავისებურების უარყოფა არ შეიძლება, ისინი არსებობენ და დიდ გავლენასაც ახდენენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციაზე და ტექნოლოგიაზე. მაგრამ ეს ყოველივე სულაც არ ამტკიცებს იმას, რომ მსხვილი წარმოება მიწათმოქმედებაში განწირულია. არაეფექტურობისათვის ის სასოფლო-სამეურნეო წარმოების გამოცდობა ჩვენს ქვეყანასა და თვით კაპიტალისტურ ქვეყნებში ამტკიცებს მარქსიზმ-ლენინიზმის დასკვნას იმის შესახებ, რომ მსხვილ მეურნეობას ყოველთვის გააჩნია უპირატესობა წვრილ მეურნეობასთან შედარებით ტექნიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით. მსხვილ მეურნეობაში არსებობს ტექნიკისა და მეცნიერების მიღწევების სრული პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობა, ვიდრე წვრილ საწარმოებში. ამ უპირატესობას, როგორც ცნობილია, ხელს არ უშლის მიწათმოქმედების დარგის სპეციფიკა.

უშინაარსოა „სოვეტოლოგების“ ის მტკიცება თითქოს მეპატრონე-კერძო მესაკუთრე უკეთ ზრუნავს იმისათვის, რომ ძალზე კარგად შეასრულოს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების კომპლექსი. თუ კარგად შევისწავლით ჩვენს ქვეყანაში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ისტორიას მტკიცედ დავრწმუნდებით, რომ კოლმეურნეობის წევრსა და საბჭოთა მეურნეობის მუშას გააჩნიათ ძალზე ბევრი მატერიალური და მორალური მოტივები იმისათვის, რომ მაღალხარისხოვნად შეასრულონ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. „სოვეტოლოგები“ ამცირებენ სოციალიზმის დროს მატერიალური დაინტერესების პრინციპებს—საკუთარი შრომის მიხედვით, ისინი მთლიანად უარყოფენ ახალი ადამიანის მაღალ მოქალაქეობას. ახალი ტიპის ადამიანისათვის საზოგადოებრივი ინ-


ტერესი, კომუნიზმის აშენების იდეა, არის დიდმნიშვნელოვანი და მოთა-
რი. ეს იდეა წარმოადგენს ახალი აღმართის მამოძრავებელ ძალას.

„სოვეტოლოგებს“ კარგად ესმით, რომ საბჭოთა ქვეყნის აწარმოების
დაუბრუნდება საკომუნისტო წყობილებიდან წვრილ ინდივიდუალურ
მეტურნეობას. ამიტომ „ზოგიერთი კერძო საკუთრების დამცველი
იძლევა „რეკომენდაციას“ იმისათვის, რომ ამაღლდეს სასოფლო-სამეურ-
ნეო საწარმოებში ეფექტიანობა, საჭირო იქნება განხორციელდეს შრომის
ორგანიზაციის რგოლური სისტემის გავრცელება, აღნიშნულ თეორიას დიდ
პროპაგანდას უწევენ ა. ნოუვი, დ. პოსპელოვსკი, მ. ბრედელი და სხვ.,
რომელთაც თავი მოაქვთ სსრ კავშირის ეკონომიკის „სპეციალისტებად“.

„თავისუფალი ნახევრად მუდმივი რგოლის“ ღირსება, რომელზედაც
მიმაგრებულია წარმოების საშუალებები ნოუვის მიხედვით იმაში მდგო-
მარეობს, რომ ეს პატარა ჯგუფი, რომელიც მთლიანად არის პასუხის-
მგებელი შრომის შედეგებზე არ გაფლანგავს ტყუილბრალოდ იმ საშუა-
ლებებს, რომლებიც განკუთვნილია გეგმის შესრულებისათვის. დ. პოს-
პელოვსკი ხედავს განკერძოებულ რგოლში, რაღაც „საოჯახო“ ფერის
მსგავსს. ე. ი. კერძო მეურნეობას. რგოლური სისტემის მარკით „სოვეტო-
ლოგები“ ცდილობენ თავს მოგვახვონ კერძო მეურნეობას იდეა და
გეთაყვინებენ მსხვილი კოლმეურნეობებს და ყოფას წვრილ ავტონომი-
ურ ჯგუფებად ისე, რომ მოხდეს მათი აბსოლუტური დამოუკიდებლობა
საზოგადოებისაგან და ამგვარად აქციონ საზოგადოებრივი საკუთრება
წარმოების საშუალებებზე ცარიელ ფორმალადად. განავითარონ კერძო
ინიციატივა არა საერთო გეგმებში, ე. ი. არსებითად ძირი გამოუთხარონ
მსხვილი სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო წარმოების უპირატე-
სობას.

არ მოითხოვს განსაკუთრებულ დამაბუთებას ის ფაქტი, რომ „სოვე-
ტოლოგების“ რეკომენდაციები ეწინააღმდეგებიან თვით ჩვენი წყობის
არსს და მიმართულია აგრეთვე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნე-
ობების წარმოების ეფექტიანობის შემცირებისაკენ. შრომის ორგანიზა-
ციის რგოლური სისტემა კოლმეურნეობებში მიღებულია და მიღებული
იქნება როგორც ელემენტი საერთო სოციალისტური სისტემისა, მსხვილი
წარმოების ორგანიზაციისათვის, კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების
26-ე მუხლში აღნიშნულია, „წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის ფორ-
მებს, უბნებს, ფერმებს, ბრიგადებს, რგოლებს და სხვა საწარმოო ქვეგან-
ყოფებს ადგენს და იყენებს კოლმეურნეობა მეურნეობის კონკრეტული
პირობებისაგან და წარმოების მექანიზაციის, სპეციალიზაციისა და ტექ-
ნოლოგიის დონის მიხედვით“.

წესდების შესაბამისად რგოლს შეიძლება მიემარტოს მიწის ნაკვეთი
დამამუშავებლად და სხვა წარმოების საშუალებები, მაგრამ ეს უქანსკენ-
ლი გადაცემა რგოლს არა კერძო ან ჯგუფურ მფლობელობაში. არამედ
მხოლოდ და მხოლოდ შრომის პროცესში გამოსაყენებლად, სწორედ ასე-



არგოლები ხელს უწყობენ მსხვილი მეურნეობის უპირატესობის რეალიზაციას. კიდევ უფრო მეტი, როგორც ყოველგვარი სხვა ფორმა, საორგანიზაციოსა, რგოლები შექმნილი არიან იმისათვის, რომ რაიმე მატერიალურად მოხდეს მსხვილი მეურნეობის უპირატესობის რეალიზაცია.

სოციალისტური მიწათმოქმედების არაეფექტურობის თეორია ყველაზე მეტად გავრცელებულია „სოვეტოლოგ“-აგარაიკოსებში შორის. ისინი მხოლოდ ამ კუთხის თვალთახედვით განიხილავენ და აფასებენ მრავალრიცხოვან და პროცესს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობაში. მსგელობა სოციალისტური სოფლის მეურნეობის არაეფექტურობის შესახებ ძალზე შორს არის სინამდვილისაგან. ობიექტურობისაგან, ამიტომ ისინი ფართოდ აყენებენ სტანდარტული სიტყვების რახარხხს. ყოველგვარ სპეკულაციას, მახინჯებენ ფაქტებს, ეწვევიან წმინდა მონაპოვრების პროპაგანდას, რომელთა შორის არ არის არავითარი კავშირი და ლოგიკა.

კომუნისმის მტრები სარგებლობენ იმ ფაქტებით, რომლებიც ასახავენ ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის ჩამორჩენას აშშ-ის სოფლის მეურნეობასთან შედარებით. კერძოდ შრომის ნაყოფიერება, ზოგადი სოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტულობა. მათ არ ესმით, ანდა არ უნდათ გაიგონ, რომ ამ ჩამორჩენის მიზეზი სულაც არ არის საკომუნისტრო და საბჭოთამეურნეობის წყობის ბუნება, არამედ ამის მიზეზია სსრ კავშირის მიერ კოლონიალური დანაკარგები. რაც განიცადა სოფლის მეურნეობამ მეორე მსოფლიო ომში, რამაც განაპირობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნიკური განახლებაში შეფერხება. აგრეთვე განსხვავებული ნიადაგურ-კლიმატური პირობები სსრ კავშირისა და აშშ-ისა კერძოდ, აქ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს შემდეგი: ცნობილია რომ აშშ მიწათმოქმედების ჩრდილოეთი ნახევარი შეესაბამება ჩვენი ქვეყნის კრასნოდონის მხარეს. ყველაზე საინტერესო სასოფლო-სამეურნეო ზონაში (სამხრეთის 48-ე პარალელი) მოსავლეთობა აშშ-ის მიწების 100%, მაშინ, როცა სსრ კავშირში ყველაზე საუკეთესო სასოფლო-სამეურნეო ზონაში განლაგებულია მთელი მიწების 38%. სახნავი მიწების ხვედრითი წონა გვალვიან რაიონებში (ნალექების რაოდენობა 400 მმ-ზე ნაკლები) სსრ კავშირში აღწევს 40%-ს, აშშ-ში კი 10%-ს. იმისათვის რომ სსრ კავშირმა გადალახოს არახელსაყრელი ბუნებრივი ფაქტორები, ამისათვის იგი ხარჯავს უფლებს დამატებით საშუალებებს მიწების მელიორაციაზე, რაც აშშ-ში საჭირო არ არის. ფაქტები მთლიანად მეტყველებენ იმის შესახებ, რომ თუ შევადარებთ სსრ კავშირისა და აშშ-ის სოფლის მეურნეობას შესაბამისი რაიონების მიხედვით, უპირატესობა აღმოჩნდება არა კაპიტალიზმის, არამედ სოციალიზმის მხარეზე. მაგალითად. კრასნოდონის მხარეში 1500 ათას ჰა-ზე მთელი რივი წლების მანძილზე მიღებულია ხორბლის მოსავალი 30—35 ც ჰა-ზე მაშინ, როცა აშშ-ში ხორბლის საშუალო მოსავალი შეადგენს 20—22 ც

1 ჰა-ზე [3].

ინგლისურ ჟურნალ „ეკონომისტში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „პური და მარილი“, ამტკიცებენ, რომ „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის ერთ წერტილზე გაყინვა, გამოწვეულია „კოლექტივისტიზმის“ უმცირესობითი გატარების შედეგად“. მაგრამ, როგორც ცნობილია, კოლექტივისტიზმი დამთავრდა დიდი ხნის წინათ, საკოლმეურნეო წყობილება განვითარდა და განმტკიცდა, ხოლო სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპი სსრ კავშირში ბევრად აღემატება აშშ-ის სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპს [4] მაგალითად:


	1960	1965	1970	1971	1972	1973
სსრ—	100	112	138	140	134	153
აშშ—	100	108	113	122	124	129

მეცხრე ხუთწლედის გეგმების შესრულებაში სოფლის მეურნეობის მთელ რიგ დარგებში, ამინდის ცუდი პირობების გამო. სათანადო შედეგები ვერ იქნა მიღებული, კერძოდ, 1972 და 1975 წლებში. მიუხედავად ამისა, სოფლის მეურნეობის საშუალო-წლიური საერთო პროდუქცია წინა ხუთწლედთან შედარებით გადიდდა 13%-ით; მეცხრე ხუთწლედში არსებითად მეტი, ვიდრე მერვე ხუთწლედში მიღებული იქნა საშუალო-წლიური მატება მარცვლეულის, ხორცის, რძისა და განსაკუთრებით ბამბის წარმოებაში. რეკორდული გახდა 1973 წელი, როცა მარცვლეულის საერთო მოსავალი მიღებული იქნა ჯერ არნახული 222,5 მლნ. ტ. მაგრამ ამ რეკორდულ მოსავალს გადააჭარბა 1976 წელმა, როცა მიღებული იქნა 224,0 მლნ. ტონა.

იმისათვის, რომ შემცირდეს კლიმატური პირობების გავლენა და უზრუნველყოფილი იქნეს მყარი სასოფლო-სამეურნეო წარმოების აუცილებლობა, ჩვენმა პარტიამ დასაბა და ახორციელებს ხანგრძლივ პროგრამას სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

ლიტერატურა — Литература

1. Критика буржуазных концепций истории и политики КПСС. Л., 1974, стр. 304—321.
2. Мировая экономика и международные отношения, 1972, № 6, стр. 143.
3. В. Поляков. Факты против вымысла. «Экономическая газета», 1974, № 31, стр. 21.
4. «Экономическая газета», 1974, № 31, стр. 21.
5. Г. В. Шаранов. Критика антикоммунизма по аграрному вопросу. М., 1966.
6. Против буржуазных фальсификаторов истории и политики КПСС. М., 1970.
7. Критика буржуазной историографии советского общества. М., 1972.



УДК 331.872 : 631(285.3)

ლ. მინიანი

საქონალიზაციისა და კონცენტრაციის საკითხისათვის კოლხეთის
დაბლობის მაგალითად

მსხვილი რქოსანი პირუტყვის სულადობისა და პროდუქტიულობის მანიფესტაციის
ზემო აჭარის მეთამბაქოეობა-მეცხოველეობის ზონის კოლმეურნეობებში

წლები	მსხვილი რქოსანი პირუტყვი		მთ შორის ძროხა		1 ძროხის საშუალო-წლიური წველადობა (კგ)	
	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%
1940	16114	100,0	1997	100,0	139,0	100,0
1950	20681	123,3	4183	207,4	157,3	113,1
1960	17586	109,1	4600	230,3	910,4	651,9
1965	17348	107,6	4704	235,5	491,4	353,5
1975	19060	118,2	5051	252,9	787,7	566,6

როგორც რესპუბლიკის სხვა რაიონებში, აჭარის მაღალმთიანი რაიონების კოლმეურნეობებში ძროხების სულადობის გეგმის შესასრულებლად ისეთ ძროხებს ინახავდნენ, რომლებიც თავიანთი ეკონომიური ნიშნის მიხედვით დიდი ხნის წინათ უნდა ყოფილიყვნენ გამოწუნებულნი. სხვა მიზეზებთან ერთად აღნიშნული გარემოება დაბლა სცემდა წველადობის საერთო მაჩვენებელს და აფერხებდა საკოლმეურნეო მეცხოველეობის გაფართოებულ კვლავწარმოებას. რაც იწვევდა იმას, რომ კოლმეურნეობებში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ნახირის გასავალი იფარებოდა პირუტყვის ძირითადი შემადგენლობიდან. აქვე უნდა მივუთითოთ, რომ 1965—1975 წლებში ხდებოდა მსხვილი რქოსანი პირუტყვის სტრუქტურის გაუმჯობესებაც. ამაზე ნათლად მეტყველებენ შემდეგი მონაცემები: 1965 წელს საანალიზო ზონაში ძროხების ხვედრითი წონა კოლმეურნეობის ნახირში შეადგენდა 36,2%-ს, 1975 წელს კი აღნიშნული მაჩვენებელი 41%-ს აღწევდა. მკვეთრად შემცირდა მუშა ხარების ხვედრითი წონა 44,1%-დან 1965 წელს 24,4%-მდე 1975 წელს, რაც მთიანი რაიონების სოფლის მეურნეობაში გამოყენებული ენერგეტიკული სიმძლავრეების სტრუქტურაში პროგრესული ცვლილებების შედეგია.

1940—1960 წლებში აჭარის ასსრ მაღალმთიან რაიონებში მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებაზე გავლენა მოახდინა მეცხვარეობისა და მეღორეობის სრულმა ლიკვიდაციამ. აღნიშნული დარგების, განსაკუთრებით მეცხვარეობის გაუქმებას არავითარი ეკონომიკური დასაბუთება არ ჰქონდა და მას არ შეეძლო დადებითი გავლენა მოეხდინა საკოლმეურნეო მეცხოველეობის განვითარებაზე. ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ ასეთ ნახიჯს არ მოყოლია მსხვილი რქოსანი პირუტყვის კვების პირობების გაუმჯობესება საძოვრებზე. პირიქით, ქედის, ხულოსა და შუახევის რაიონის კოლმეურნეობებს შეეძლოთ ცხვრის მოშენებით საძოვრების რაციონალურად გამოყენება და კოლმეურნეობების ფულადი შემოსავლის



დიდება. აღნიშნული რაიონებისათვის კვლავაც აქტუალურია პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნა, პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესება, ძროხების ბერწიანობის მინიმუმამდე დაყვანა.

მსხვილი რქოსანი პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საკვები კულტურების წარმოებას და ნათესების სტრუქტურის შემდგომ გაუმჯობესებას.

1940—1975 წლებში ამ მხრივ აჭარის მაღალმთიან რაიონებში ნათესების შემადგენლობასა და სტრუქტურაში მნიშვნელოვან ცვლილებებს შეინიშნება ადგილი, ამასზე მიუთითებს მე-6 ცხრილი, საიდანაც ჩანს, რომ 1940 წლიდან 1950 წლამდე ნათესების საერთო ფართობი გაიზარდა 1194 ჰა-დან 9701 ჰა-მდე, ე. ი. 34,8%-ით. ამ წლებში ყველა სახის ნათესის ფართობის ზრდას ჰქონდა ადგილი და აღნიშნული გარემოებით იყო გაუმჯობესებული 40-იან წლებში საქართველოს სსრ ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანა—საქართველოს სსრ მარცვლეულზე მოთხოვნილების ადელობრივი წარმოებით დაკმაყოფილებისა და მოსახლეობის საკუთარი ხარჯით უზრუნველყოფის განხორციელების ცდა. აღნიშნული ამოცანის დასრულებული რეალიზაცია საზიანო იყო მრავალწლიანი ნარგავებისა და ბუნებრივი კულტურების ნათესი ფართობის თვალსაზრისით. 1953 წლის შემდეგ პარტიისა და მთავრობის მითითებებს შედეგად მეტი ყურადღება დაეთმო როგორც მთლიანად რესპუბლიკაში, ასევე აჭარის ასსრ მაღალმთიან რაიონებში ტექნიკური კულტურებისა და მრავალწლიანი ნარგავების განვითარებას.

მე-6-ე საანალიზო ცხრილიდან ჩანს, რომ 1953 წლის შემდეგ მარცვლეულის ნათესები შემცირდა და 1975 წლისათვის იგი შეადგენდა 1940 წლის ფართობის 18,2%-ს. გაიზარდა თამბაქოს ფართობი 88,4%-ით, რომელიც 1975 წელს აღწევდა 1434 ჰა-ს. ბოსტნეული კულტურების ნათესი ფართობი, მართალია, გაიზარდა 223,9%-ით, მაგრამ მისი ფართობი მაინც მცირეა და აღწევს 80 ჰა-ს. გაიზარდა საკვები კულტურების ფართობი 10-ჯერ.

საკვები კულტურების ფართობში ცვალებადობით ხასიათდებოდა სასილოსე კულტურების ხვედრითი წონა, რომლებიც შეადგენდნენ საკვები კულტურების ნათეს ფართობში 1940 წელს 22,8%-ს, 1950 წელს—23,6%-ს, 1960 წელს—58%-ს, 1965 წელს—53,9%-ს, 1975 წელს—38,6%-ს. მაგრამ საკვები კულტურების ნათესი ფართობი ყველა კულტურის მიხედვით იზრდებოდა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საკვებწარმოებას უპირატესობა ეყრადღება.

1940—1975 წლებში ადგილი ჰქონდა საკვლევ რეგიონში სახნავი ფართობების შემცირებას, რაც დამახასიათებელია ჩვენი რესპუბლიკის მთლიანი ფონისათვის, ამასზე მიუთითებს პროფ. ნ. იაშვილის გამოკვლევები. აჭარის მთიანეთში სახნავის შემცირება მართო მრავალწლიანი ნარგავების განვითარებას.

ნათესი ფართობების სტრუქტურა და დინამიკა ზემო აქარის
მეთამბაქოვობა-მეცხოველეობის ზონაში (1940—1975 წწ.)



სსრკ
საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
მინისტროს
საგანმანათლებლო და
მეცნიერებათა
სისტემის

საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
მინისტროს
საგანმანათლებლო და
მეცნიერებათა
სისტემის

ნათესები	1940			1950			1960			1975					
	პა	%		პა	%		პა	%		პა	%				
		სულ ნათესი- ბთან შედარებით	1940 წ. შე- დარებით		სულ ნათესი- ბთან შედარებით	1940 წ. შე- დარებით		სულ ნათესი- ბთან შედარებით	1940 წ. შე- დარებით		სულ ნათესი- ბთან შედარებით	1940 წ. შე- დარებით			
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16
სულ ნათესები	7194	100,0	100,0	9701	100,0	134,8	5722	100,0	97,5	5453	100,0	75,9	5781	100,0	80,4
მ. შ. ა) მარცვლეული	4614	64,5	100,0	5640	58,1	121,4	1635	28,5	35,2	1221	22,3	26,3	845	14,6	18,2
მ. შ. სიმინდი	4615	64,1	100,0	4865	50,3	105,8	1570	27,4	34,0	1598	29,1	23,8	794	13,7	17,2
ბ) თამბაქო	76	10,5	100,0	979	10,0	128,6	1267	22,1	166,5	1423	26,1	187,8	1434	24,8	188,4
გ) ბოსტნეული	24,7	0,3	100,0	78,4	0,8	319,4	100	1,7	404,8	77	1,4	311,7	80	1,3	323,9
დ) ბალახეული	4,3	0,1	100,0	11,8	0,1	274,4	17	0,4	395,3	2	—	46,5	—	—	—
ე) კარტოფილი	1512,4	21,0	100,0	2299	23,6	182,0	702	12,2	46,4	814	14,9	53,8	907	15,6	59,7
ვ) საკვები კულტურები	247,6	3,0	100,0	692,3	7,1	279,6	2001	34,9	803,1	19,5	35,0	173,4	2515	43,5	1015,7



საქართველოს
წიგნების კავშირი

ების გაზრდით არ შეიძლება აღიხსნას. ასეთი დასკვნის გაკეთების შე-
ძლებლობას იძლევა მე-7 ცხრილის ანალიზი.

1950—1975 წლებში მრავალწლიანი ნარკვევების თითოეულ წლებში
ზრდას თან ახლდა 10 პა-ით სახსნაის შემცირება. მართალია, ისევე, რო-
გორც რესპუბლიკის სხვა რაიონებში, აჭარის ასსრ მაღალმთიან რაიონებ-
შიც მრავალწლიანი ნარკვევების ფართობი სახსნავის ხარჯზეც იზრდებოდა,
მაგრამ აგროტექნიკური თვალსაზრისით უფრო მიზანშეწონილია შედა-
რებით სწორზედაპირიანი რელიეფის მქონე სახსნავი ფართობი მინდვრის
კულტურებისათვის იქნეს გამოყენებული.

ისევე როგორც რესპუბლიკის სხვა რეგიონებში, ცუდად არის მოგ-
არებული საძოვარსარგებლობის ბევრი საკითხი. ზაფხულის საძოვრები
შოსარგებლე რაიონებსა და ცალკეულ მეურნეობებს შორის ხშირად ისეა
განაწილებული, რომ ერთი მეურნეობის მსხვილი რქოსანი პირუტყვი გე-
ოგრაფიულად დაშორებულ ტერიტორიაზეა განლაგებული. აღნიშნული
მდგომარეობა ხელს უშლის აგრონომიული და ზოოტექნიკური ღონისძი-
ებების გატარებას. უნდა გადაისინჯოს და დახუხუტდეს შიდაზონებრივი და
შიდასარაიონო მიწათმოწყობა, რასაც საფუძვლად უნდა დაედოს შესა-
ფერისი მასივის ბალახნარის ბოტანიკური შედგენილობა, პირუტყვის
დატვირთვის დონე, რელიეფი და სხვა მაჩვენებლები. პროფ. ს. ერქომა-
იშვილი ამის შესახებ მიუთითებს, რომ საძოვრებისა და სათიბების შედა-
პირული და კაპიტალური გაუმჯობესება, აგრეთვე მათი ექსპლუატაციის
კულტურული წესების თანმიმდევრულად დანერგვა უზრუნველყოფს ამ
კატეგორიის საკვები ბაზის ხარჯზე მეცხოველეობის პროდუქტიულობის
გაზიდებას სულ ცოტა 24—25-ჯერ [4]. აჭარის ასსრ მაღალმთიანი რაიო-
ნების მსხვილფენა რქოსანი მესაქონლეობის განვითარებისა და მისი სა-
ცვები რესურსებით უზრუნველყოფისათვის დიდმნიშვნელოვან ფაქტო-
რად უნდა ჩაითვალოს კოლხეთის დაბლობზე საზამთრო საძოვრების გა-
მოყოფა. ამჟამად ამ საძოვრების მხოლოდ მცირე ნაწილს იყენებს საქა-
რთველის ასსრ მაღალმთიანი რაიონების კოლმეურნეობები და საბჭოთა
მეურნეობები და აუცილებლობას წარმოადგენს მომავალში ამ რაიო-
ნებისათვის საძოვრების მეტი ფართობების გამოყოფა. ისევე, როგორც
სხვა მაღალმთიანი რაიონების კოლმეურნეობებშია და საბჭოთა მეურნე-
ობებშია, აჭარის ასსრ მაღალმთიანი რაიონების სასოფლო-სამეურნეო სა-
წარმოებშია, კოლხეთის დაბლობის ტერიტორია შეიძლება გამოიყენონ
არა მარტო საძოვრებად, არამედ სასილოსე და სამარცვლე სიმინდის თე-
სვა-მოყვანისათვის. აღნიშნული ღონისძიება, ერთი მხრივ, განამტკიცებს
მთიანი რაიონების საკვებ ბაზას, ხოლო, მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს
კოლხეთის მიწების ათვისების პრობლემის ეფექტიანად გადაწყვეტას.


ბუნებრივი საკვები სავარგულების გაფართოება და მათი პროდუქ-
ტიულობის გაზიდება აჭარის მაღალმთიანი რაიონების საზოგადოებრივი



სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურა და დინამიკა
 წებო აქარის მეთამბაქოეობა-მეცხოველეობის ზონაში (1940—1975 წწ.)

ეროვნული
 ბიბლიოთეკა

სავარგულნი	1940			1950			1960			1975					
	კა	%		კა	%		კა	%		კა	%				
		სას.-სამეურნეო სავარგულთან შედარებით	1940 წ. შედარებით		სას.-სამეურნეო სავარგულთან შედარებით	1940 წ. შედარებით		სას.-სამეურნეო სავარგულთან შედარებით	1940 წ. შედარებით		სას.-სამეურნეო სავარგულთან შედარებით	1940 წ. შედარებით			
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16
სასოფლო სამეურნეო სავარგული	19905,1	100,0	100,0	22585	100,0	113,5	46961	100,0	235,9	45553	100,0	223,8	43166	100,0	241,9
მ. შ. სასნაეო	7143,2	35,8	100,0	11338	50,2	158,7	8777	17,6	115,8	5639	12,3	78,9	5916	12,2	82,8
მრავალწლიანი ნარგავნი	474,6	2,3	100,0	1310	5,3	276,0	1833	3,9	386,2	1830	4,0	385,5	1856	3,8	391,1
მ შ ვნახი	103,7	0,5	100,0	175,2	0,7	172,8	643	1,3	620,1	44	0,1	427,2	404	0,8	386,6
ჩაი	0,25	—	100,0	—	—	—	183	0,3	73200	254	0,5	101600	28	0,6	112000
ხეხილი	370,7	1,8	100,0	1121	5,0	305,1	847	1,8	228,5	1027	2,2	277,0	1077	2,2	290,5
სათბი	1140,3	5,5	100,0	900	4,1	84,2	905	1,9	82,4	2157	4,7	19,5	6069	14,4	63,1
სამეურნეო	1247,6	6,2	100,0	637	2,8	51,1	2756	5,9	222,5	3107	6,8	243,5	33452	69,3	2601



მეცხოველეობის შემდგომი განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ მეცხოველეობის განვითარება გარკვეული ბუნებრივი, ეკონომიკური პირობების გამო სიძნელეებს წყობება, სათანადო ღონისძიების განხორციელებით შესაძლებელია არა მარტო ექსტენსიური, არამედ ინტენსიური მეცხოველეობის განვითარება. ცნობილია, რომ როგორც მთელი ქვეყნის მასშტაბით, ასევე ჩვენი რესპუბლიკის მიხედვითაც, საქმლის სტრუქტურის გაუმჯობესების უპირველესი ამოცანაა, მასში ცხოველური პროდუქტების ხვედრითი წონის ამაღლება. ამ პრობლემის გადაწყვეტა ჩვენი პარტიისა და მთავრობის, მთელი საბჭოთა საზოგადოების ყურადღების ცენტრშია. მიუხედავად იმისა, რომ 1913 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა ხორცი-სა და ხორცეულის რძისა და რძის ნაწარმის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, მაინც ცხოველური პროდუქტების გამოყენების მხრივ ჯერ კიდევ არ არის მიღწეული საზრდოობის ფიზიოლოგიური ნორმის დონე.

ამიტომ მეცხოველეობის განვითარების დონის შესაფასებლად ამჟამად და მომავალშიც იქნება არა მარტო მეცხოველეობის ყველა პროდუქციის რაოდენობრივი ზრდა, არამედ მისი ხარისხის გაუმჯობესება. პროდუქციის თვითღირებულების სისტემატური შემცირება. პერსპექტივაში აჭარის ასსრ მალაღმთიან რაიონებში მეცხოველეობის განვითარების პრობლემების გადაწყვეტილას გათვალისწინებული უნდა იქნეს ამ რეგიონის თავისებურებანი: მთავარიანი რელიეფი, მცირე მიწიანობა, ინტენსიურ სავარგულთა გაფართოების სიძნელეები, საკავშირო მნიშვნელობის სასაქონლო პროდუქციის წარმოების აუცილებლობა. ზოოტექნიკური და ვეტერინარული მომსახურების შედარებით დაბალი კულტურა. აჭარის მთიანი რაიონების მეცხოველეობის ინტენსიფიკაცია ამ რაიონების ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ მთავარ გზას წარმოადგენს. ამის გამო მისი ცხოვრებაში გატარება მთის სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ხელმძღვანელობის სამეურნეო საქმიანობის ცენტრში უნდა იყოს.

ლიტერატურა — Литература

1. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, თბ., 1952, გვ. 555—556.
2. მ. კახეთელიძე, საქართველოს სსრ კოლმეურნეობრივი მეცხოველეობის ეკონომიკის საკითხები თბ., 1962 გვ. 53.
3. ნ. იაშვილი, საქართველოს სსრ მიწის ფონდი. თბ., 1961, გვ. 226—280.
4. ს. ერქომაიშვილი, მეცხოველეობის ინტენსიფიკაციის თავისებურებანი საქართველოში, თბ., 1971, გვ. 16.



DK 63(47+57)

3. შავალთა

საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობა მიმოხეხეთ ფოტოფაქტი

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ მშვიდობიან-
მშენებლობის წლებში გაწეული უდიდესი მუშაობის შედეგად ჩვენი
სოფლის მეურნეობა გადაიქცა მოწინავე, თანამედროვე ტექნი-
კულად აღჭურვილ მეურნეობად.

ომამდელი ხუთწლეულების მანძილზე მნიშვნელოვნად გაიზარდა სასო-
ფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა. 1940 წელს საბჭოთა კა-
პიტალიზმში მოყვანილ იქნა თითქმის ერთიორად მეტი სასაქონლო მარცვლე-
ული ვიდრე 1913 წელს [1]. დიდად განვითარდა ტექნიკური კულტურების
მოყვანა, რის შედეგადაც ჩვენი მსუბუქი მრეწველობისათვის შეიქმნა
საღებულის მტკიცე საკუთარი ბაზა. ამავე დროს წარმოებდა მეცხოვე-
ლეობის მნიშვნელოვანი აღმავლობა და მისი პროდუქტიულობის გადი-
ობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ეს არ იყო სოფლის მეურნეობის უბრალო აღმავლობა. ეს იყო სო-
ფლო-სამეურნეო კულტურების საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვება,
მომხდომი სოფლის მეურნეობის აღმავლობა ხდებოდა საზოგადოებრივი
მეურნეობების ზრდის ბაზაზე. ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ ომისწინა
წლის განმავლობაში კოლმეურნეობათა ნათესი ფართობი გადიდდა
1 მილიონი ჰა-ით და 1940 წელს შეადგინა 117,72 მლნ ჰა, ნაცვლად 1928
წლის 1,37 მლნ. ჰა-ისა [2]. პირუტყვის სულადობა კოლმეურნეობებში გა-
იზარდა 39 მლნ სულით. კოლმეურნეობათა ძირითადი ფონდები გადიდ-
და ორნახევარჯერ [3], ხოლო ფულადი შემოსავალი 1932 წლის 4,6 მლრდ
რუბლიდან 1940 წელს გაიზარდა 20,7 მლრდ მანეთამდე [4].

საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებამ უზრუნველყო კოლმეურ-
ნეობის კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობა. შრომადღეობზე ფუ-
ლად და ნატურით მარტო მარცვლეულის გაცემა, სხვა პროდუქტების ჩა-
თვალადაც, ერთ შრომისუნარიან კოლმეურნეზე 1926 წლიდან ერთნა-
ჯერჯერ გადიდდა [5].

ომისწინა ხუთწლეულების განმავლობაში ძირითადად დამთავრდა სო-
ფლო-სამეურნეობის მექანიზაცია. 1940 წელს ჩვენს სოფლის მეურნეობას


ჰქონდა 531 ათასი ტრაქტორი, 181,7 ათასი კომბაინი, 228 ათასი სტეპლო ავტომანქანა [6] და სხვა მრავალი სასოფლო-სამეურნეო მანქანა. საბჭოთა კავშირის კოლმეურნეობებში ანეულის ხენის მანქანადაც 71% და მარცვლეული კულტურების თესვის 56%, ბამბის თესვის— და შაქარ-ს კარხლის თესვის 100% 1940 წელს შესრულებული იყო ტრაქტორებით, ხოლო მარცვლეული კულტურების ფართობის 43 პროცენტზე მოსავალი აღებულ იქნა კომბაინებით [7]. მარცვლეულის რაიონებში წილი კიდევ უფრო მეტი იყო.

ამგვარად, ჩვენი სოფლის მეურნეობა დაადგა ინტენსიური მექანიკის გზას. ამ დროისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებშიც ტრაქტორით იხენებოდა მთელი სახნავი ფართობის მხოლოდ ნახევარი და ითუებოდა მთელი სათესი ფართობის მესამედი [8], რომ არაფერი ვთქვათ რობის ქვეყნებზე, რომლებიც ამ მხრივ მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან.

სოფლის მეურნეობაში გადაჭრილ იქნა ისეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხი, როგორცაა კოლმეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების ახალი კადრების შექმნა. 1940 წელს სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა საერთო რაოდენობა (აგრონომები, ზოოტექნიკოსები, ვეტმედიკები და მეტყევეები) შეადგენდა 163 ათას კაცს. რომელთა შორის უმადლესი განათლება ჰქონდა 70 ათას კაცს და საშუალო-სპეციალური განათლება—93 ათას [9]. შექმნა სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა მილიონიანი არმია. ჩვენი ქვეყნის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობების ტრაქტორისტების, ბრიგადირების, სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადთა თანაშემწეების, მარცვლეულის კომბაინების კომბაინერების რაოდენობამ 1940 წ. მიადწია 1233 ათას კაცს [10].

სოფლის მეურნეობა სავსებით მომზადებული იყო იმისათვის, რა გაეკეთებინა ახალი, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ნახტომი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის მისაღწევად, საბჭოთა კავშირისათვის თავსმოხვეულ ომს რომ ხელი არ შეეშალა. სამამულო ომის პერიოდში სოფლის მეურნეობისათვის შეიქმნა სერიოზული სიძნელენი.

ომის პერიოდში ქვეყნის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ოკუპირებული და გაჩინაგებულ იქნა გერმანულ დამპყრობთა მიერ. დროებით დაკავებულ რაიონებში ფაშისტებმა ნანგრევებად აქციეს ან გადააწვეს ათასზე მეტი სოფელი, გაძარცვეს 1876 საბჭოთა მეურნეობა, 90 ათასი მეტი კოლმეურნეობა, ანუ ქვეყნის მთელი კოლმეურნეობების 37 პროცენტი, 3 ათასზე მეტი მანქანა-ტრაქტორთა სადგური, რაც შეადგენდა სსრ კავშირის მთელი მანქანა-ტრაქტორთა სადგურის 43 პროცენტს [11]. მეურნეობის სოციალისტურმა სისტემამ კიდევ უფრო გამოავლინა თავისი ცხოველმყოფელი ძალა და აშკარა უპირატესობა კაპიტალისტურ სისტემასთან შედარებით ჩვენი ქვეყნის მძიმე განსაცდელის ყამსაც.



საბჭოთა სახელმწიფო, რომელიც ემყარება მუშათა კლასისა და მთელი გლეხობის ურდვევ კავშირს, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობით მსოფლიოში ყველაზე მტკიცე და ურყევი სახელმწიფო აღმოჩნდა. ჩვენმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ღირსეულად შეუწეეს თავი თავიანთ ამოცანებს. ისინი მთელი სამამულო ომის პერიოდში ისე ამარაგებდნენ სურსათით არმიასა და ჩვენს ქვეყანას, რომ საქმეში სერიოზული შეფერხებები არ ყოფილა. უდიდესი სიძნელეების მიუხედავად, კოლმეურნე გლეხობა ყოველწლიურად ადიდებდა სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარებას. სამამულო ომის წლებში კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს ჩააბარეს 4312 მილიონი ფუთი მარცვლეული და 5048 ათასი რაიონის ხორცი. რევოლუციამდელ რუსეთში კი პირველი მსოფლიო ომის დროს დაზარალებულ და შესყიდულ იქნა 1399 მილიონი ფუთი მარცვლეული [12].

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ჯერ კიდევ ომის წლებში მნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებდნენ მტრის ოკუპაციისაგან განთავსებულ რაიონებში მეურნეობის აღსადგენად. 1943 წლის 21 იანვარს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ და საკავშირო კ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს სპეციალური დადგენილება „გერმანელი ოკუპანტებისაგან განთავისუფლებულ რაიონებში მეურნეობის აღდგენის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“. პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა დიდი მუშაობა გასწიეს აღდგენილების შესასრულებლად. განთავისუფლებული რაიონების კოლმეურნეობებს დაუბრუნდა და მათთვის შესყიდულ იქნა 900 ათასამდე სული პირუტყვი, სესხად მიეცა 50000 ტ სათესლე მარცვლეული და საბჭოთა მეურნეობებს—16870 ტ მარცვლეული [13]. მთელი საბჭოთა კავშირი ეხმარებოდა ამ რაიონებს სოფლის მეურნეობის აღდგენაში. ყოველივე ამის შედეგად მტრისაგან განთავისუფლებულ რაიონებში ჯერ კიდევ ომის წლებში აღდგენილ იქნა 8470 კოლმეურნეობა. 3093 მანქანა-ტრაქტორთა სადგური, 1883 საბჭოთა მეურნეობა [14]. 1944 წელს ჩვენს ქვეყანაში ნათესი ფართობი 16 მლნ ჰა-ით გადიდა 1943 წელთან შედარებით, ხოლო მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა 1944 წელს 25 მლნ-ით მეტი სატრაქტორო საამუშაოები შეასრულეს, ვიდრე 1943 წელს.

მხოლოდ სოციალისტურ სახელმწიფოს მისი გეგმიანი მეურნეობით შეძლო ჯერ კიდევ ომის დამთავრებამდე ასეთი ფართო მასშტაბით გასრულებინა აღდგენითი სამუშაოები. მხოლოდ კომუნისტური პარტიის ღირსეული აღზრდილ საბჭოთა ხალხს შეეძლო ერთდროულად ეომნა და ეემენებინა. მტერი ენადგურებინა და განემტკიცებინა თავისი ეკონომიკური და პოლიტიკური დამარცხება.

კონკრეტული ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის აღდგენისა და მისი შემდგომი განვითარებისათვის შემუშავებულ იქნა პარტიის ცენტრალური

ლური კომიტეტის მთელ რიგ გადაწყვეტილებებში. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო კ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1946 წლის 19 სექტემბერს მიიღეს დადგენილება კოლმეურნეობების სამეურნეო არტელის წესდების დარღვევათა ლიკვიდაციის მიზნით დადგენილებაში დაგმობილი იყო რიგ რესპუბლიკებში, ოლქებში და რაიონებში არტელის წესდების უხეში დარღვევის ფაქტები, რაც გამოიხატა შრომაძღვების არასწორ ხარჯვაში, კოლმეურნეობების სასაგადოებრივი მიწების დატაცებაში, საკოლმეურნეო საკუთრების განიკარგებაში, რაიონული და სხვა პარტიულ საბჭოთა მუშაკების მხრივ მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაში, სასოფლო-სამეურნეო არტელის საქმეთა მართვა-გამგეობის დემოკრატიულ საფუძველთა დარღვევაში და სხვ. [15]. დადგენილება ავალბდა მოკავშირე რესპუბლიკების პარტიულ საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელებს სასწრაფოდ აღმოეფხვნათ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევები, მთლიანად აღედგინათ არტელის წესდების მოქმედება და დაეცვათ კოლმეურნეობების საკოლმეურნეო ქონებისადმი ხელყოფისაგან. სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დაცვის საქმეში სასტიკი კონტროლის დაწესებისა და წესდების დარღვევათა ცდებისაგან კოლმეურნეობათა დაცვის მიზნით აგრეთვე საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხების გადასაწყვეტად ზედმთ აღნიშნული დადგენილებით სსრ კავშირის მთავრობასთან შეიქმნა კოლმეურნეობათა საქმეების საბჭო [16].

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სპეციალური პლენუმი მიუძღვნა 1947 წლის თებერვალში სოფლის მეურნეობის საკითხებს. პლენუმის დადგენილებაში ღრმა ანალიზი ჰქონდა გაკეთებული სოფლის მეურნეობაში არსებულ მდგომარეობას და დასახული იყო კონკრეტული ღონისძიებები მისი შემდგომი განვითარებისათვის. პლენუმი ავალბდა პარტიულ, საბჭოთა ორგანიზაციებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროსა და მათს ადგილობრივ ორგანოებს 1947—1949 წლებში განმავლობაში აღედგინათ საერთო მოსავლის ხაზით მარცვლეულის წარმოების ომამდელი დონე და მნიშვნელოვნად გადაეჭარბებინათ ამ დონისათვის მეოთხე ხუთწლეულის ბოლოს. ასევე სამი წლის განმავლობაში აღედგინათ ტექნიკური კულტურების: ბამბის, საბოტკოე სელის, შაქრის ჭარხლის წარმოების ომამდელი დონე. დადგენილება სახავდა სერიოზულ ამოცანებს ციტრუსოვანი კულტურებისა და ჩაის, მებაღეობისა და მევენახეობის, ზეთოვანი კულტურების, კარტოფილისა და ბოსტნეულის, მეცხოველეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად. სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვის მიზნით პლენუმი ავალბდა სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს 1947 წელს მიეწოდებინა სოფლის მეურნეობისათვის 30,3 ათასი ცალი ტრაქტორი და 510 მილიონი მანეთის სასოფლო-სამეურნეო მანქანები, ხოლო 1948 წელს სოფლის მეურნეო



...გამოეყოთ 67 ათასი ცალი ტრაქტორი და ათეულ ათასობით ცა-
...სასოფლო-სამეურნეო მანქანები და იარაღები [17].

...ცხოვრებაში ატარებდნენ რა პარტიის ცენტრალური კომიტეტის
...ტეჩნიკებს, ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა განა-
...ელეს რიგი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი. კოლმეურნეებმა,
...ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებ-
...ტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, მთელი საბჭოთა ხალ-
...ხმბარებაზე დაყრდნობით, ძირითადად მოახდინეს იმ კოლოსალური
...ს ლიკვიდაცია, რომელიც სოფლის მეურნეობას ომმა მიაყენა. სა-
...ლო-სამეურნეო წარმოებამ ძირითადად მიაღწია ომამდელ დონეს.
...ცეშირში მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობი ხუთ წელი-
...ში 20%-ით გადიდდა, მაგრამ ვერ მიაღწია ომამდელ დონეს. 1940
...მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობი შეადგენდა 110,5
...ჰა-ს, ხოლო 1950 წელს კი 102,9 მლნ. ჰა-ს [18]. საქართველოს რეს-
...პუბლიკაში შესაბამისად მარცვლეული კულტურების ნათესი შემცირდა
...წლის 654 ათას ჰა-დან 639,5 ათას ჰა-მდე 1950 წელს. ტექნიკური
...ტურების—49,6 ათასი ჰა-დან შემცირდა 41,9 ათას ჰა-მდე, ვენახის
...ობი—23,9 ათასი ჰა-დან—22,3 ათას ჰა-მდე, ჩაის პლანტაციების
...ობი—41,2 ათასი ჰა-დან 40,3 ათას ჰა-მდე [19]. მანქანა-ტრაქტორთა
...ების რიცხვმა სსრ კავშირში 1940 წლის 7069-დან 1950 წელს მი-
...ა 8414-ს, ხოლო ტრაქტორების რაოდენობა 15 ძალიანზე გადაყვა-
...გაიზარდა 557 ათასიდან 739 ათასამდე [20]. ასევე გადიდდა კომბაი-
...ს, სატვირთო ავტომანქანებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქა-
...ს რაოდენობა, მაგრამ ბევრ კოლმეურნეობაში არაღამაჟაკაყოფილებ-
...ყენებდნენ ტექნიკას. ჯერ კიდევ ბევრი იყო ჩამორჩენილი კოლ-
...ნეობა.

საკოლმეურნეო წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტ-
...ბამ დღის წესრიგში დააყენა კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი
...ობის სრულყოფის საჭიროება. ჩვენი ქვეყნის ბევრი ადგილიდან
...წიწინადადებათა შემოსვლა კოლმეურნეობათა გამსხვილების შე-
...ბამ მოძრაობას სათავეში ედგნენ სოფლის პირველი პარტიული
...ნიზაციები, რომელთა რიცხვმა 1950 წელს 148 ათასს გადააჭარბა და
...ლებიც თავიანთ რიგებში 1,5 მლნ-მდე კომუნისტს აერთიანებდნენ,
...ურნეობათა გამსხვილება ხორციელდებოდა ნებაყოფლობისა და
...მეურნეობათა ურთიერთთანხმობის საფუძველზე, რომლებიც ერ-
...ბობოდნენ. კოლმეურნეობათა გამსხვილებას დიდი ეკონომიური
...ნელობა ჰქონდა. მან დიდი გასაქანი მისცა საკოლმეურნეო წარმოე-
...განვითარებას. მსხვილ კოლმეურნეობებში უფრო ეფექტურად იყე-
...ნენ რთულ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას.

ამგვარად, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დონის ამაღლების,
...ურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების და შრომის

სოციალისტური მეთოდების გამოყენების საფუძველზე პარტიულმა ორგანიზაციებმა ერთგვარ წარმატებას მიაღწიეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხაზით მეოთხე ხუთწლიდის დავალებათა შესრულებას. კავშირის მასშტაბით კოლმეურნეობათა განუყოფელი ფონდები 1940 წლის 27,7 მლრდ მანეთიდან გაიზარდა 50,6 მლრდ მანეთამდე 1950 წელს კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი (შრომადღეზე განაწილებულ პროდუქტების გარდა) შესაბამისად გაიზარდა 20,7 მლრდ მანეთიდან 34,2 მლრდ მანეთამდე, კოლმეურნეობებში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა გადიდდა 1940 წლის 20,1 მლნ სულიდან 28,1 მლნ სულამდე 1950 წელს. ცხვრის სულადობა—შესაბამისად 39,1 მლნ სულიდან 60,8 მლნ. სულამდე, ღორის სულადობა—8,2 მლნ სულიდან 12,3 მლნ. სულამდე [21].

ანალოგიური წარმატებით დამთავრეს მეოთხე ხუთწლიდი საქართველოს რესპუბლიკის მშრომებელმა. ჯერ კიდევ 1947 წელს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა მნიშვნელოვნად მიუახლოვდა ომამდელ დონეს, ხოლო 1948 წელს სოფლის მეურნეობის ცალკეულ დარგების პროდუქციამ ომამდელ დონეს გადააჭარბა [22]. რესპუბლიკის კოლმეურნეობებში განუყოფელი ფონდების თანხამ 1950 წელს მიაღწია 2674,2 მლნ მანეთს, ნაცვლად 1940 წლის 699,5 მლნ მანეთისა. კოლმეურნეობების ფულადი შემოსავლის საერთო თანხა 1950 წელს უდრიდა 1477,3 მლნ მანეთს მაშინ, როცა იგი 1940 წელს შეადგენდა 524 მლნ მანეთს [23].

მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მოპოვებული საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებაში. მსხვილი რქოსანი პირუტყვის სულადობა 1940 წლის 569 ათასი სულიდან გაიზარდა 782 ათას სულამდე 1950 წელს, ცხვრისა—შესაბამისად 857 ათასიდან 1663 ათასამდე, თხისა—112 ათასიდან 255 ათასამდე, ღორისა—46 ათასიდან 124 ათასამდე და ცხენის სულადობა—45 ათასიდან 55 ათას სულამდე [24]. ასევე გაიზარდა მარცვლეული და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა. ხუთწლიდში მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა კოლმეურნეობებში გაიზარდა 67%-ით, ხოლო საერთო მოსავალი 54%-ით. 1949 წელს საქართველოს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მიიღეს 864,6 ათასი ტ მარცვლეული ნაცვლად 533,1 ათასი ტონისა 1940 წელს (ე. ი. გაიზარდა 331,5 ათასი ტონით, ანუ 66%-ით). საშუალოდ ჰა-ზე 1949 წელს მიღებულ იქნა 13,3 ც მარცვლეული (სიმინდის ჩათვლით) 1940 წელს კი იგი შეადგენდა 8,1 ც [25]. ჩიპის ფოთლის წარმოება 1940 წელთან შედარებით გაიზარდა 2-ჯერ და უფრო მეტად. მნიშვნელოვნად გადააჭარბა ომამდელ დონეს ყურძნის, ხილის, თამბაქოს, ზეთოვანი კულტურების და სხვ. საერთო მოსავალმა. შესაბამისად გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახელმწიფო დამზადება და შესყიდვა. შაქრის ჭარხლის დამზადება გადიდდა 1945 წლის 70,7 ათას



110,2 ათას ტ-მდე 1950 წელს, მზესუმზირასი—შესაბამისად 2,7 ტ-დან 55,2 ათას ტ-მდე, ბოსტნეულის—22,9 ათასი ტ-დან 23,0 ტ-მდე, ხილის—11,9 ათასი ტ-დან 22,7 ათას ტ-მდე, ყურძნის—5,8 ათასი ტ-დან 57,8 ათას ტ-მდე, ხარისხოვანი ჩაის ფოთლის—5,8 ტ-დან 83,7 ათას ტ-მდე, თამბაქოს—11,8 ათასი ტ-დან 12,2 ათას ტ-მდე, ტუნგის ნაყოფის — 3,1 ათასი ტ-დან 4,5 ათას ტ-მდე, ხაჭაპურის (ცოცხალი წონით) — 20,7 ათასი ტ-დან 23,3 ათას ტ-მდე, ხაჭაპურის — 23,9 ათასი ტ-დან 56,9 ათას ტ-მდე [26] და ა. შ.

საქართველოს მოპოვებულ იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მრავალათასიანი მშრომელთა თავდადებული ბრძოლით. სასოფლისმეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისა და მეურნეობის პროდუქტიულობის ზრდის საქმეში მოპოვებული დიდი წარმატებისათვის 1947 და 1948 წლებში რესპუბლიკაში სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 260 კაცს, 281 კაცი დაჯილდოვდა წითელი ორდენით, 474—შრომის წითელი დროშის ორდენით, 657 კაცი—მედალით „შრომითი მამაცობისათვის“ და „შრომითი წარჩინებისათვის“, ხოლო სოფლის მეურნეობის ორ ნოვატორს—ქსენია სარსანიას და სოფელი ქვაჩახიას მიენიჭათ სახელწიფო პრემიის ლაურეატის წოდება [27]. ასეთი წარმატების მიუხედავად რესპუბლიკაში ჯერ კიდევ დარჩენილი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა. მართალია, მსხვილი რქოსანის სულადობა კომლექსურ ნებებში ომამდელ დონეს გადააჭარბა 37%-ით, თხისა და კურდღლის—97%-ით, ღორისა—2,7-ჯერ. მაგრამ ყველა კატეგორიის მეურნეობის მიხედვით პირუტყვის საერთო სულადობა ჩამორჩებოდა 1940 წლის დონეს. სახელდობრ, მსხვილი რქოსანის სულადობა—134 ათასი სულადობის—118 ათასით. განსაკუთრებით შემცირდა ძროხების სულადობა რესპუბლიკის კომლექსურ ნებებში ერთი ძროხის საშუალო წველა—1950 წელს შეადგენდა მხოლოდ 468 კილოგრამს [28].


სასაზღვრო მეურნეობის ამ უაღრესად მნიშვნელოვანი დარგის—სოციალისტური სოფლის მეურნეობის ჩამორჩენის მოკლე პერიოდში დაძლევისათვის მისი შემდგომი განვითარება წარმოადგენდა პარტიისა და მთელი ხალხის უმნიშვნელოვანეს ამოცანას.

ლიტერატურა — Литература

საქართველოს კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწილი III, მეშვიდე გამოცემა, 1956 წ. გვ. 699.

საქართველოს სახალხო მეურნეობა, სტატისტიკური კრებული, სახელგამი, 1956 წ., გვ. 108.

„ბოლშევიკი“, 1947, № 1—2, გვ. 68.

- 
4. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა, სტატისტიკური კრებული, სახელგამი, 1956, გვ. 128.
5. ურნ. „ბოლშევიკი“, 1947, № 1—2, გვ. 68.
6. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა, სტატისტიკური კრებული, სახელგამი, 1956, გვ. 144—145.
7. იქვე, გვ. 143.
8. ურნ. „ბოლშევიკი“, 1947, № 1—2, გვ. 68.
9. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა, სტატისტიკური კრებული, სახელგამი, 1956, გვ. 151.
10. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა, სტატისტიკური კრებული, სახელგამი, 1956, გვ. 154.
11. История Великой Отечественной войны Советского Союза 1941—1945 гг. Военное издательство, т. 6, М., 1965, стр. 350.
12. Там же, стр. 351.
13. სკკპ... რეზოლუციებში... ნაწილი III, მეშვიდე გამოცემა, 1956, გვ. 629—630.
14. История Великой Отечественной войны Советского Союза 1941—1945 гг., т. 6, стр. 352.
15. სკკპ... რეზოლუციებში... ნაწ. III, მეშვიდე გამოცემა, 1956, გვ. 691.
16. იქვე, გვ. 698.
17. სკკპ. რეზოლუციებში. ნაწ. III, მეშვიდე გამოცემა, 1956, გვ. 752.
18. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა. სტატისტიკური კრებული, სახელგამი, 1956, გვ. 106.
23. Народное хозяйство Груз. ССР. Статистический сборник. Тб. 1957, стр. 127.
20. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა. სტატისტიკური კრებული, სახელგამი, 1956, გვ. 138.
21. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა, სტატისტიკური კრებული, სახელგამი, 1956, გვ. 128.
22. საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები. თბ. 1971, გვ. 822.
23. Народное хозяйство Груз. ССР. Статистический сборник. Тбилиси, 1957, стр. 127.
24. Там же, стр. 123.
25. მლისვა, ფონდი 14, აღწ. 21, ს. 8, ფურც. 3.
26. Народное хозяйство Груз. ССР. 1957, стр. 181.
27. საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, 1971, გვ. 808.
28. Народное хозяйство Груз. ССР, 1947, стр. 123.
-



UK 631.116

ა. ნარკომაშვილი

საბჭოთა მეურნეობის ოპტიმალური სიდიდის საკითხისათვის

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის
ორმეტე მუხლში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ „სახელმწიფო ხელს
წყობს საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრების განვითარებას და
დაახლოებას სახელმწიფო საკუთრებასთან“; ამ საქმეში საბჭოთა
ურნეობებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან საბჭოთა მეურნეობე-
ს საფუძველს წარმოების საშუალებებზე სახელმწიფო საკუთრება წა-
საიდგენს. სახელმწიფო საკუთრება კი მთელი საბჭოთა ხალხის საერ-
ო კეთენილება, სოციალისტური საკუთრების ძირითადი ფორმაა.

საბჭოთა მეურნეობების შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო გან-
ვითარების საქმეში დიდი მნიშვნელობის საკითხია მეურნეობის ოპტიმა-
ლური სიდიდე და ორგანიზაციული სტრუქტურა, როგორც ამხანაგი
ბ. ბრეჟნევი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლე-
ნუმზე აღნიშნავდა—„უკანასკნელ წლებში ჩვენი ქვეყნის ბევრ ოლქებში
ერთო მასშტაბით განხორციელდა მეურნეობათა გამსხვილება..., კოლმე-
ურნეობების ბაზაზე საბჭოთა მეურნეობების შექმნის დროს ყოველთვის
ხორციელდებოდა საჭირო ეკონომიკური დასაბუთებანი, რის შედე-
გადაც ბევრი მათგანი ტლანქი, ძნელად სამართავი აღმოჩნდა და ზოგიე-
რი მათგანი ამჟამად არარენტაბელურია“.

ე. ი. ლენინს მეურნეობის სიდიდის განმსაზღვრელ უმთავრეს მაჩვე-
ნილად მიაჩნდა საერთო პროდუქციის მოცულობა, დამატებით კი დასა-
რწმუნებელი ფართობი, სასოფლო-სამეურნეო მანქანები, გამწევი ძალა,
საქუთუხის სულადობა, მომუშავეთა რიცხვი და სხვ. მაჩვენებელთა ამ სი-
ტუტის გამოყენებისას იგი მიუთითებდა, რომ... „მეურნეობათა დაჯგუ-
ფებას ფართობის მიხედვით აქვს გარკვეული მნიშვნელობა, მაგრამ ის ამ-
ოთრებს მსხვილი წარმოების უპირატესობას და ამცირებს მით უფრო მე-
ტად, რაც უფრო მეტია ინტენსიფიკაცია, რაც უფრო მნიშვნელოვანია გა-
ვითარების, ტ. 104, 1978

ნსხვავება მეურნეობათაშორის მიწის ფართობის ერთი და იგივე ერთეულზე დაბანდებული კაპიტალური სიდიდის მიხედვით¹.

საბჭოთა მეურნეობის ოპტიმალური სიდიდის განსაზღვრულ მნიშვნელოვან პირობებს წარმოადგენს ქვეყნის კულტურული განვითარების საერთო დონე; სას.-სამ. წარმოების სპეციალიზაციის ინტენსიფიკაცია და კონცენტრაცია, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განვითარება, ტრანსპორტის სრულყოფა და კავშირგაბმულობის საშუალებები; მეურნეობის მრავალმხრივი განვითარება; სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ხელმძღვანელი კადრების საქმიანი და პოლიტიკური კვალიფიკაციის დონე; ბუნებრივი პირობები ზოგიერთ რაიონში ხელს უწყობს მეურნეობის გამსხვილებას, ხოლო მეორეში ამუხრუჭებს მას; ისტორიულად ჩამოყალიბებული დასახლება და სხვ.


საყოველთაოდ ცნობილია, რომ პირდაპირი კავშირი არსებობს მეურნეობის, მისი შიგნით საწარმოო ერთეულების სიდიდესა და წარმოების შედეგებს შორის. მეურნეობისა და მისი საწარმოო ერთეულის ოპტიმალური სიდიდედ უნდა მივიჩნიოთ ისეთი პირობები, როდესაც ფართობის ერთეულიდან მიღებული იქნება მაქსიმალური რაოდენობისა და მაღალხარისხის საერთო და სასაქონლო პროდუქტთა მინიმალური დანახარჯების გაწევით, ე. ი. მიღწეული იქნება შრომის მაღალი ნაყოფიერება და პროდუქციის დაბალი თვითღირებულება.

ვ. ი. ლენინი სოფლის მეურნეობის პრობლემის დრამად შესწავლათან დაკავშირებით მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სოფლის მეურნეობის ბირთვადი ხაზი მიიმართება მისი შემდგომი ინტენსიფიკაციისაკენ; ამოდროს მიწა წარმოადგენს მთავარ საწარმოო საშუალებას სოფლის მეურნეობაში, რომელიც მეტი სტაბილურობითა და აღროცხვის სიმარტივეთ ხასიათდება. ამიტომ მეურნეობის ოპტიმალური სიდიდის დადგენისას მიწა ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაჩვენებლად უნდა იქნეს მიღებული. ამისთან ერთად, საჭიროა ყველა სხვა ნიშნის გათვალისწინება.

კანონზომიერების დადგენისათვის—„საჭიროა — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი—მხოლოდ სტატისტიკური მონაცემების უფრო საფუძვლიანადამუშავება, სახელდობრ: ჯერ ერთი, მეურნეობათა დაჯგუფება არა ერთი ნიშნის (ფართობის სიდიდე), არამედ რამდენიმე ნიშნის მიხედვით (მანქანების, პირუტყვის რაოდენობა, ფართობი, რომელიც უჭირავს სპეციალურ კულტურებს და სხვა), ხოლო მეორე, სხვადასხვა დაჯგუფების კომბინაციები, ე. ი. თითოეული ჯგუფის დაყოფა, მაგალითად, ფართობის სიდიდის მიხედვით და სხვა“². საერთოდ სტატისტიკის მონაცემებს შესწავლისას ვ. ი. ლენინმა ხაზგასმით მიუთითა, რომ „ჩვენ უნდა ავიღოთ კომლთა დაჯგუფება არა ოჯახის სიდიდისა და მუშაკთა რაოდენო-

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 22, გვ. 93.

2 იქვე, ტ. 5, გვ. 266.



მიხედვით, არამედ აუცილებლად ცალკე კომლთა სამეურნეო უძღ-
ვის მიხედვით (ნათესები, მუშაპირუტყვის რაოდენობა, ძროხების
სხეი და სხვა)⁴³.

აქედან გამომდინარე, მეურნეობისა და მისი შიგასაწარმოო ერთეუ-
ლის ოპტიმალური სიდიდის დადგენისას საჭიროა მრავალ ფაქტორთა
თბლივი განხილვა: როგორცაა: 1) საერთო პროდუქცია საშუალოდ
მეურნეობაზე, 100 ჰექტარ სას.-სამ. სავარგულზე, ყოველ 100 მა-
ის წარმოების ძირითად საშუალებებზე, საშუალო-წლიურ მუშაზე,
მოსავლიანობა და პროდუქტიულობა, 3) შემოსავალი ერთი ჰა ძირი-
დი კულტურების ფართობიდან ან პირუტყვის ერთ სულზე, 4) ერთი
ინტენური პროდუქციის თვითღირებულება, 5) კაცდღეების დანახარჯები
ც პროდუქციაზე, 6) წმინდა შემოსავალი საშუალოდ ერთ მეურნეო-
მათ შორის ძირითად დარგებში, 7) რენტაბელობის ნორმა საშუა-
ლოდ ერთ მეურნეობაში, მათ შორის ძირითად დარგებში, 8) მუშახელით
სურველყოფის მდგომარეობა, მუდმივი და სეზონური მუშების თანა-
ბეობა და სხვ.

ამგვარად, საჭიროა: 1) სპეციალიზაციის ტიპის მიხედვით მოცემულ-
ზონის საბჭოთა მეურნეობებისა და მათი საწარმოო ერთეულების
თბლიობის თანამედროვე სიდიდის ეფექტიანობის შესწავლა სტა-
ტიკური დაჯგუფების მეთოდით, 2) მოცემული ზონისა და საწარმოო
მართულების საბჭოთა მეურნეობების მონოგრაფიული შესწავლა, 3)
საოასხვა სიდიდის საბჭოთა მეურნეობების განვითარების პერსპექტი-
ვის დამუშავება და მათი ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასება საან-
სო-კონსტრუქციული მეთოდით.

საბჭოთა მეურნეობები ყველაზე მსხვილი სასოფლო-სამეურნეო სა-
ბეობია ჩვენს სახელმწიფოში, ამიტომ მათი რაციონალური ოპტიმა-
ლური სიდიდის დადგენისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ
მეურნეობები ზემოაღნიშნულ თავისებურებებთან ერთად ერთმანეთისა-
ნ განსხვავებულია საწარმოო სპეციალიზაციისა და ინტენსიურობის
ონის მიხედვით. მაგალითად, ჩვენს რესპუბლიკაში საწარმოო სპეციალი-
აციის მიხედვით წარმოდგენილია მეჩაიეობის, მეციტრუსეობის, მედა-
ბეობის, ტუნგის, მევენახეობის, მეხილეობის, სანერგეების, მებოსტნე-
ობის, ეთერზეთების, მეთამბაქოეობის, მეკარტოფილეობის, მერძეეობა-
ბოსტნეობის, მებოსტნეობა-მერძეეობის, მერძეეობა-მეხორცეობის,
მეხევეობის, მელორეობის, მეცხვარეობის, მეფრინველეობის და რიგი
აა მიმართულების საბჭოთა მეურნეობები. ყოველი მიმართულების ეს
ბჭოთა მეურნეობები ერთმანეთისაგან განსხვავებულია როგორც საწარ-
ო მიმართულების, ასევე ოპტიმალური სიდიდის მიხედვით.

⁴³ გ. ი. ლენინი, თხ. ტ. 12, გვ. 297.

1976 წლის პირველი იანვრისათვის რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობების წილად მოდიოდა სახელმწიფოსათვის მიყიდული მთელი/მარცხენა ლეულის 42 პროცენტი, შაქრის ჭარხლის—4,3, მხეცოვანი/საქარაჯიჭოს—24, კარტოფილის—67, ბოსტნეულის—64, ხილის/საბოსტნეოს—21, ყურძნის—36, ჩაის ფოთლის—27, ტუნგის—31, პირუტყვისა და ფრინველის—29, რძის—47, კვერცხის—77 და მატყლის 21 პროცენტი.

ამავე პერიოდში საშუალოდ ერთ საბჭოთა მეურნეობაზე მოდიოდა სასოფლო-სამეურნეო სავარგული 3255 ჰექტარი, მ. შ. სახნავი—849 სახნავი ფართობი—829 ჰა, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი—726 სული, მ. შ. ძროხა—208 სული, ღორი—323, ცხვარი და თხა—1265 და ფრინველი—15287 ფრთა, ენერგოსიმძლავრე 3593 ცხენძალისა და სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყო 636 კაცი. წარმოების ძირითადი ფონდები 3650 ათას მანეთს, საერთო პროდუქცია—0,82 მლნ მანეთს, მოგება—0,1 მლნ მანეთს. სას.-სამ. პროდუქციის რენტაბელობის დონე 24 პროცენტს შეადგენდა.

აღსანიშნავია, რომ მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობებში საშუალოდ ერთ მეურნეობაზე მოდიოდა ჩაის პლანტაცია 400-დან 500 ჰა-მდე, ციტრუსების საბჭოთა მეურნეობებში ციტრუსოვანი კულტურები—100-120 ჰა-მდე, მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებში ვაშის ნარგავები—160-220 ჰა-მდე, მეხილეობის საბჭოთა მეურნეობებში ხეხილი—450-დან 600 ჰა-მდე, მერძეეობა-მეხვრეობის საბჭოთა მეურნეობებში ბოსტნეული—285-დან 350 ჰა-მდე, ხოლო ძროხებზე—400-დან 450 სულამდე, მელიძეობის საბჭოთა მეურნეობებში—100-დან 150 დედაღორი, მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობებში—4000-დან 5000 სული დედაცხვარი, მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობებში—80-დან 100 ათასამდე კვერცხმდებელი ფრინველი, სახელმწიფო სანერგე მეურნეობებში—800-დან 1500 ჰა-მდე და ეთერზეთების საბჭოთა მეურნეობებში—2000-დან 3000 ჰა-მდე და სხვ.

რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებში წარმოებულ იქნა საერთო პროდუქცია 255,5 მილიონი მანეთის, აქედან მიწათმოქმედებაში—188,4 მლნ-ის და მეცხოველეობაში—67,2 მლნ. მანეთის. რენტაბელობის დონე საერთო მაჩვენებლების მიხედვით შეადგენდა 16,8 პროცენტს. სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციის რენტაბელობის დონე 24 პროცენტი იყო; აქედან მემცენარეობაში—40%, ხოლო მეცხოველეობაში—0,5%. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ საშუალო-წლიურ მომუშავეზე საერთო პროდუქცია უდრიდა 1428 მანეთს, წარმოების ძირითად საშუალებათა ღირებულების ყოველ 1000 მანეთზე 278 მანეთს, ხოლო ყოველ 100 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე—29 მანეთს.

მთელი სათესი ფართობიდან მარცვლეულის ქვეშ დაკავებული იყო 36,3%, ტექნიკურ კულტურებს ეკავა 3,7%, კარტოფილისა და ბოსტნეულის—9,6% და საკვებ კულტურებს—50,4 პროცენტი. ერთ ჰა-ზე მარცვლეულის საშუალო მოსავალი უდრიდა 16,7 ცენტნერს, შაქრის ჭარ-




ქართული
საქმიანობა

ს—321, კარტოფილის—99, ბოსტნეულის—125, ხილკენკროვანის—
 6 და ყურძნის—41,3 ცენტნერს. ერთი ცენტნერი მარცვლეულის წა-
 ლობებაზე დაიხარჯა 4.5 კაცსათი, შაქრის ჭარბის—2,9, კარტოფილ-
 ბოსტნეულის—10,8, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის წონამატზე—
 17, ღორის წონამატზე—67, რძეზე—16.2. მატყლზე—421 და 1000 ცალ
 ურცხზე—8,4 კაცსათი. ერთი ტონა მარცვლეულის თვითღირებულება
 ჯერადა 91 მანეთს, შაქრის ჭარბის—35, კარტოფილის—134, ბოსტნე-
 ულის—129, ხილის—158, ყურძნის—295, პირუტყვის ხორცის—1731 მა-
 ნეთს, ღორის ხორცის—1924, ცხვრის ხორცის—1134, ფრინველის ხორ-
 ცის—2441, რძის—264, მატყლის—4806 და 1000 კვერცხის—73 მანეთს.
 ჩატარებული დიდი მუშაობის მიუხედავად, 1971 წელს 265 საბჭო-
 თმურწილობიდან სამეურნეო წელი ზარალით დამთავრა 54 მეურნეო-
 ბი. 1972 წელი—265-დან—128; 1973 წელი—269-დან—95, 1974 წე-
 ლი—282-დან—88; 1975 წელი 311-დან—102 და 1976 წელი—361 საბჭო-
 თმურწილობიდან—165 საბჭოთა მეურნეობამ.

წლითწლობით იზრდება სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურ-
 ნეო პროდუქტების მიყიდვა. მოსავლიანობა და პროდუქტიულობა. დი-
 დდება შრომის ნაყოფიერება და უმჯობესდება მუშაკთა ცხოვრების პი-
 რობები.

საქართველოს რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებში წარმოების ძი-
 თად საშუალებათა ღირებულება ერთ ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარ-
 ლზე თითქმის 5-ჯერ აღმატება სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების
 საბაზის მაჩვენებელს და ამავე დროს მეტად განსხვავებულია თვით
 ეკონომიკურ მეურნეობებს შორის. მაგალითად, მეციტრუსების სა-
 ბჭოთა მეურნეობებში იგი უდრის 6758 მანეთს, მეჩაიების—2998
 მან., მედავნეობის—2672 მან., მევენახეობის—2495 მან., მეხილეო-
 ბის—1557 მან., მებოსტნეობის—980 მან. და მეცხოველეობის საბჭო-
 თმურწილობებში—128 მან-ს. მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ წა-
 ლობების ძირითად საშუალებათა შემადგენლობაში შედარებით მაღალია
 რეალური ნარკავების ხვედრითი წონა და დაბალია სას.-სამ. მანქა-
 ნაწარმების ხვედრითი წონა. ამასთან დამუშავებაში მყოფი ყოველი ჰა
 წის ფართობი საწარმოო პროცესების მექანიზაციის დაბალი დონის,
 უფრო რელიეფისა და მრავალნაკვეთიანობის გამო მეტ მუშახელს მოი-
 ლის.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითადი საწარმოო ფონდ-
 ე და მატერიალური საბრუნავი საშუალებები 1976 წლის პირველი იან-
 ვარსათვის რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებში შეადგენდა სულ 1135
 მან. მანეთს; აქედან შენობა-ნაგებობანი—478, მძლავრი მანქანა-აღჭურ-
 ვლობა—43, სამუშაო მანქანები და შეიარაღება—28; სატრანსპორტო
 საშუალებები—18; მუშაპირუტყვი—3; პროდუქტიული პირუტყვი—42
 და მრავალწლიანი ნარკავები—482 მლნ მანეთს. ამავე პერიოდში




ერთ საბჭოთა მეურნეობაზე მოდიოდა საშუალოდ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითადი საწარმოო ფონდები და მათგან შემდგომი მანქანები და ნაწილობრივ საშუალებები 3,6 მილიონი მანეთის, აქედან შენობა-ნაგებობები—1,5; მძლავრი მანქანა-აღჭურვილობა—0,14; სამუშაო მანქანა-შეიარაღება—0,09; სატრანსპორტო საშუალებები—0,06; მუშაპირტუყვი—0,03 პროდუქტიული პირტუყვი—0,1 და მრავალწლიანი ნარგავები—1,5 მილიონი მანეთის. დამახასიათებელია ისიც, რომ რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან საწარმოო შედეგების მიხედვით. საბჭოთა მეურნეობებში ბევრად უფრო მაღალია შრომის ნაყოფიერება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების დონე და სხვ., ვიდრე კოლმეურნეობებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საბჭოთა მეურნეობები მკვეთრად გამოხატული მაღალსაქონლური და სპეციალიზებული სას.-სამ. საწარმოებია; რომლებიც გარკვეული უპირატესობით სარგებლობენ კოლმეურნეობებთან შედარებით და ინარჩუნებენ წამყვან როლს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში.

საკვ. ოცდამეხუთე ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე, სოფლის მეურნეობის წინაშე მდგარი უდიდესი ამოცანებში კიდევ უფრო გადაუდებლად აყენებს იმის აუცილებლობას, რომ წარმოებისა და მეცნიერების მუშაკებმა სერიოზულად მოჰკიდონ ხელი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების რაციონალური სიდიდის დადგენის საქმეს. ეს კიდევ უფრო საჭიროა დღეს, როდესაც საკვ. კონტრალური კომიტეტის 1976 წლის 2 ივნისს გამოქვეყნებული დადგენილების შესაბამისად ხორციელდება ღონისძიებები „სამეურნეობათა შორის კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი განვითარების შესახებ“¹.


გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ უკანასკნელ წლებში ეკონომიკურად სუსტი კოლმეურნეობების გაერთიანების ბაზაზე შეიქმნა მრავალი ახალი საბჭოთა მეურნეობა, ხოლო ზოგიერთ საბჭოთა მეურნეობას მიუერთდა სუსტი კოლმეურნეობა: სამწუხაროდ, ყოველივე ეს განხორციელდა წინასწარ ყოველგვარი მეცნიერული დასაბუთებისა და შესწავლის გარეშე. როგორც ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე საქართველოს კვლევითი კომიტეტის IX პლენუმზე აღნიშნავდა—„სწორი არ არის ის აზრი, თითქოს წვრილი მეურნეობები აუცილებლად ზარალიანი უნდა იყოს. ეს მავნე აზრია, იგი უნდა უარყოფილი. მეურნეობრიობის შედეგი, რა პატარა უნდა იყო მეურნეობა მეტწილად დამოკიდებულია ხელმძღვანელის ნიჭზე, მის ორგანიზატორულ უნარზე“.

¹ ვ. ზ. „კომუნისტი“, 1976, 2 ივნისი, № 128.



ამით აიხსნება სწორედ ის მდგომარეობა, რომ ზოგიერთი საბჭოთა
 უნივერსიტეტი, რომელიც 6—10 სოფლის გაერთიანების ბაზაზე შეიქმნა
 შეიქმნა დიდი, ძნელად სამართავი გახდა და გაყოფის მოთხოვნით
 აღიარდა. მარნეულის რაიონის გაჩიანის საბჭოთა მეურნეობაში სამი
 დიდი სოფელია გაერთიანებული. სადაც კომლთა რიცხვი 1575 აღემატება.
 უნივერსიტეტს აქვს 8793 ჰექტარი სახნავი მიწა, რომლიდანაც 368—ჰექტარ-
 ბოსტნეულ კულტურებს უკავია; მეცხოველეობის ფერმებში 578
 დიდი მეწველი ფური ირიცხება. მეურნეობამ 1977 სამეურნეო წელი
 25 ათასი მანეთის ზარალით დაამთავრა. ამავე რაიონის არაფლოს საბ-
 ლოთა მეურნეობა 6 დიდი სოფლის გაერთიანების ბაზაზე მოეწყო. სადაც
 4 კომლი ცხოვრობს. მეურნეობის სარგებლობაშია 3318 ჰექტარი სახ-
 ნავი მიწა, რომლიდანაც 978 ჰექტარი ბოსტნეულ კულტურებს უჭირავს.
 მეცხოველეობის ფერმებში 521 სული მეწველი ფურია; საკმარისია აღი-
 წინოს, რომ მეურნეობამ სხვა პროდუქტებთან ერთად 16.700 ტონა მა-
 რა ბოსტნეული უნდა აწარმოოს. გურჯაანის რაიონის შრომის მეგნა-
 ბის საბჭოთა მეურნეობას მიუერთეს ბევრად უფრო დიდი სოფელ
 ლურის კოლმეურნეობა, რის საფუძველზე მეურნეობაში მეცხოვრებ-
 რიცხვი 2000 კომლს აღემატებოდა. მსხმოიარე ვენახის ფართობი
 30 ჰექტარს, სახნავი 400 ჰექტარს და სხვა. ანალოგიური მდგომარეობა
 შექმნა წინანდლის, ონის, ალვანის და რიგ სხვა საბჭოთა მეურნეობებში.
 სკკ XXV ყრილობის ტრაბუნდთან ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ვაჟს-
 ელიდა, რომ „ცენტრალური კომიტეტი სამმართველო სტრუქტურის,
 უნივერსიტეტების დამკვიდრებული მეთოდების ნაჩქარევი, მოუფიქრე-
 ლი გარდაქმნების წინააღმდეგია. აქ, როგორც იტყვიან, ასჯერ კი არა,
 უფრო მეტჯერაც უნდა გაზომო, ვიდრე ერთხელ მოსჭრიდე. მაგრამ თუ
 ვინ გაგზომეთ, თუ მიგზვდით, რომ განუწყვეტლავ განვითარებადი სახა-
 ლო მეურნეობა ვეღარ ეტევა არსებული სამეურნეო მექანიზმის ფარგ-
 ლში, იგი გადაჭრით უნდა სრულდყო. ეს სოფლის მეურნეობის
 აღმდგენელი მუშაეების პირველი რიგის მოვალეობაა“.

5 სკკ XXV ყრილობის მასალები, გვ. 83—84.



УДК 368.4

Н. С. БЕРДЗЕНАДZE

**АКТУАЛЬНЫЕ ВОПРОСЫ СОЦИАЛЬНОГО СТРАХОВАНИЯ
КОЛХОЗНИКОВ
(на примере Грузинской ССР)**

Объективно необходимой формой распределения при развитии социализма все возрастающей части материальных и духовных благ является распределение через общественные фонды потребления. Необходимость такого распределения предвидел К. Маркс, который в «Критике Готской программы» писал о необходимости создания в социалистическом обществе, за счет совокупного продукта, фондов, предназначенных для совместного удовлетворения потребностей, как-то: школы, учреждения здравоохранения и так далее, фонды для нетрудоспособных и прочее.¹ Следует отметить, что такое распределение диктуется экономическими и социальными потребностями.

Общественные фонды потребления при развитии социализма являются важным фактором повышения благосостояния трудящихся. В соответствии с основными направлениями развития народного хозяйства СССР в десятой пятилетке предусматривается: «Увеличить выплаты и льготы населению за счет **общественных фондов потребления на 28—30 процентов**».²

Общественные фонды потребления являются материальной основой таких важных конституционных прав советских граждан, как право на бесплатное образование, бесплатную медицинскую помощь, на материальное обеспечение в старости, в случае болезни и т. п. Они создают благоприятные условия для дальнейшего развития социального страхования и пенсионного обеспечения ра-

¹ К. Маркс. Критика Готской программы. К. Маркс, Ф. Энгельс. Соч., т. 19, стр. 17.

² Материалы XXV съезда КПСС, Политиздат, 1976, стр. 216.

бочих, служащих и колхозников. В Новой Конституции СССР сказано:

«Граждане СССР имеют право на материальное обеспечение в старости, в случае болезни, полной или частичной утраты трудоспособности, а также потери кормильца.

Это право гарантируется социальным страхованием рабочих, служащих и колхозников, пособиями по временной нетрудоспособности, выплатой за счет государства и колхозов пенсий по возрасту, инвалидности и по случаю потери кормильца; . . . »³

На основе вышеизложенных положений большое значение имеет социальное страхование колхозников, которое в соответствии с примерным Уставом колхоза в нашей стране создано с 1 апреля 1970 года.⁴

XXV съезд КПСС наметил широкую программу повышения уровня жизни народа. В текущем пятилетии намечается повысить минимальные размеры пенсий рабочим, служащим и колхозникам, осуществить дальнейшее сближение социального обеспечения колхозного крестьянства с социальным обеспечением рабочих и служащих, в частности, установить пенсии для бывших членов колхозов, имеющих необходимый стаж работы в колхозах и государственных предприятиях, а также ввести надбавки к пенсиям инвалидов I группы из числа колхозников на уход за ними. Предстоит расширить льготы по пенсионному обеспечению многодетных матерей, повысить размеры пособий по инвалидности с детства и ввести выплату их независимо от возраста ребенка. Полнее будут использоваться возможности для более широкого участия пенсионеров и инвалидов в общественном труде.⁵

Наряду с этим намечается предоставление женщинам частично оплачиваемого отпуска для ухода за родившимся ребенком до достижения им одного года.⁶

До введения единой системы социального страхования колхозников в большинстве колхозов выплачивались пособия по временной нетрудоспособности, на рождение ребенка, на санаторно-куро-

³ Конституция (основной закон) Союза Советских Социалистических республик, Статья 43, М., Политиздат, 1977, стр. 20.

⁴ Социальное обеспечение и страхование в СССР, сборник официальных документов с комментариями. М., изд-во «Юридическая литература», 1972, стр. 45—48.

⁵ Материалы XXV съезда КПСС, М., Политиздат, 1976, стр. 218.

⁶ Материалы XXV съезда КПСС, М., Политиздат, 1976, стр. 121.

тные лечения и т. д. за счет средств внутриколхозного фонда социального обеспечения. Расходы на эти цели, по мере роста производительности труда, из года в год увеличились. Однако система выплат пособий и обеспечения колхозников путевками в санатории и дома отдыха страдала серьезными недостатками. Одни колхозы при определении размера пособий по временной нетрудоспособности учитывали стаж работы, другие нет, одни выдавали пособия за все время болезни, а другие — не более чем за один-два месяца, в некоторых колхозах выплачивали пособие в размере 40—60% заработка, а в ряде колхозов 80—90% заработка с учетом стажа работы. Путевки в санатории и дома отдыха предоставлялись бесплатно, с оплатой 20—30% их стоимости или за полную стоимость, а во многих колхозах — вообще не выдавались,⁷ несмотря на то, что многие колхозники нуждались в них.

До введения социального страхования колхозников за счет централизованного фонда ни профсоюзные органы, ни органы здравоохранения систематически не занимались изучением причин и основных закономерностей заболеваемости колхозников, и утраты ими временно трудоспособности.

Жизнь настоятельно требовала изменения сложившейся системы социального страхования колхозников и создания новой единой государственной системы.

На основе положений Программы КПСС «государственные органы, профсоюзы, колхозы по мере роста национального дохода в течение двадцатилетия постепенно возьмут на себя материальное обеспечение всех граждан, потерявших трудоспособность по возрасту или вследствие инвалидности. Пособия по болезни и потере трудоспособности, ... распространяется на колхозников; ...»,⁸ Третий Всесоюзный съезд колхозников (1969) принял решение об обеспечении колхозников пособиями во временной нетрудоспособности, путевками в санатории и дома отдыха и другими видами социального страхования на основе единых норм, условий и правил для всех членов колхозов страны и образования в этих целях централизованного союзного фонда социального страхования колхозников.

⁷ Г. С. Симоненко. Социальное страхование колхозников. М., «Юридическая литература», 1974, стр. 5.

⁸ Программа КПСС, М., Политиздат, 1974, стр. 98.

Централизованный фонд социального страхования колхозников создается за счет взносов колхозов в размере 2,4% от суммы фактических расходов на оплату труда членов колхозов. Размер взносов в фонд социального страхования устанавливается с таким расчетом, чтобы покрыть планируемые расходы из этого фонда, так как взносы колхозов являются основными средствами фонда. Страховые взносы в централизованный фонд социального страхования начисляются на фонд оплаты труда колхозников, чем выше производительность труда колхозников, тем выше оплата труда колхозников, а следовательно, больше производится отчислений в фонд социального страхования.

О доходах в централизованный союзный фонд социального страхования колхозников в Грузинской ССР свидетельствуют следующие данные (табл. 1). Как видно из таблицы в доходах централизованного союзного фонда социального страхования колхозников в Грузинской ССР ведущим являются взносы колхозов в централизованный фонд. Так, в 1976 году в доходах этого фонда взносы колхозов составляют 94,07% всех доходов, а поступления за путевки и прочие доходы 5,93%. Уменьшились доходы централизованного союзного фонда социального страхования колхозников в 1973, 1974, 1975 и 1976 годах, что произошло в связи с преобразованием по решению собраний колхозников известной части колхозов в совхозы.

Средства фонда социального страхования колхозников расходуются на выплату пособий по временной нетрудоспособности, пособий на рождение ребенка, на погребение, а также выделяются средства на приобретение для колхозников путевок в санатории, дома отдыха и обслуживание детей по нормам, установленным союзным советом колхозов.⁹ Расходы по смете централизованного союзного фонда социального страхования колхозников в Грузинской ССР характеризуются следующими данными (табл. 2).

Как видно из таблицы, с 1971 года по 1976 (включительно) год расходы из централизованного союзного фонда социального страхования колхозников Грузинской ССР возросли с 2608,3 тыс. руб. до 3889,4 тыс. руб., т. е. почти в 1,5 раза. Следует отметить,

⁹ Социальное страхование в СССР. Сборник официальных материалов. М., Профиздат, 1976, стр. 235—237. Выплата пособий по беременности и родам членам колхозов производится за счет средств централизованного союзного фонда социального обеспечения колхозников.

Таблица 1

Доходы в централизованный союзный фонд социального страхования
колхозников по Грузинской ССР¹

№	Годы Гиды дохо ов	1971		1972		1973		1974		1975		1976	
		в тыс. руб.	в % к итогу	в тыс. руб.	в % к итогу	в тыс. руб.	в % к итогу	в тыс. руб.	в % к итогу	в тыс. руб.	в % к итогу	в тыс. руб.	в % к итогу
		1	Доходы ² — всего	5782,3	100	5961,5	100	5090,2	100	4153,1	100	4169,1	100
2	из них Взносы ³ в централизованный фонд	5605,1	96,4	5741,2	96,3	4852,5	95,33	3885,5	93,56	3872,8	92,9	4336,0	94,07
3	Поступления за пугевки	154,7	2,67	195,8	3,28	201,0	3,95	223,2	5,37	227,7	5,49	231,3	5,02
	Пр. чие поступления	22,5	0,3	24,5	0,4	36,7	0,72	44,4	1,07	45,6	1,10	42,1	0,91

1. Таблица составлена автором на основе сводных финансовых отчетов об исполнении сметы централизованного союзного фонда социального страхования колхозников по Грузинской ССР.
2. Без остатка централизованного фонда на начало года.
3. Взносы в централизованный фонд включены единовременные денежные взносы в размере 0,2% от фонда оплаты труда колхозников.



302 30101033

то ведущими расходами являются пособия по временной нетрудоспособности и санаторно-курортное лечение и отдых, которые соответственно составляли 51,74 и 26,01 процентов всех расходов. По новой системе социального страхования колхозников пособия по временной нетрудоспособности получают все члены колхозов, которые по причине нетрудоспособности освобождены от работы и выдачей больничного листа и вследствие этого утратили заработок в колхозе.

Пособия вследствие утраты трудоспособности назначаются с первого же дня болезни и до восстановления трудоспособности или до установления ВТЭК инвалидности. При санаторно-курортном лечении пособие назначается в том случае, если предоставленного колхозом отпуска недостаточно для лечения и проезда в санаторий и обратно и если путевка выдана за счет фонда социального страхования бесплатно или с частичной оплатой её стоимости.

Размер пособия зависит от причины заболевания и от продолжительности стажа работы в колхозе. С 1 января 1977 года установлено, что пособия по временной нетрудоспособности членам колхозов, состоящим членами профсоюза, при непрерывном трудовом стаже от 5 до 8 лет выдаются в размере 80% заработка, при непрерывном трудовом стаже 8 и более лет — 100% заработка.

Членам колхозов, состоящим членами профсоюза и имеющим на иждивении трех или более детей, не достигших 16-ти лет (учащихся — 18-ти лет), пособия по временной нетрудоспособности выдаются в размере 100% заработка, независимо от продолжительности непрерывного трудового стажа. Такими же правами пользуются работающие инвалиды Отечественной войны.

Исчисление пособия осуществляется из фактического заработка в колхозе за календарный год, предшествующий году, в которых наступила временная нетрудоспособность.

Единая система социального страхования колхозников расширяет и улучшает финансовый контроль за целевым использованием средств соцстраха, создает условия для организации единого управления социальным страхованием трудящихся, способствует ликвидации существенных различий в социальном страховании рабочих и служащих с одной стороны, колхозников — с другой.

Единая система социального страхования колхозников сложилась недавно, но уже теперь выявляются некоторые недостатки в образовании и использовании средств фонда социального страхования. Прежде всего, обращает на себя внимание тот факт, что

некоторые колхозы Грузинской ССР, несвоевременно перечисляют страховые взносы в фонд социального страхования. В отдельных колхозах больничные листки с диагнозом «несчастный случай» принимаются к оплате без наличия актов; если случаи колхозно-бытовые травмы оплачиваются за все дни болезни, хотя первые 5 дней не подлежат оплате. Недостатки в учете и расходовании денежных средств фонда соцстраха вызывается и тем, что в некоторых колхозах счетные работники и страховой актив не уделяют достаточного внимания этому вопросу.

В развитии и повышении эффективности общественного колхозного производства важнейшая роль принадлежит руководящим и механизаторским кадрам колхозов. За последние годы число специалистов и механизаторов колхозов в Грузии значительно возросло и повысился их удельный вес среди работающих колхозников.

Партия и советское правительство систематически разрабатывает мероприятия по привлечению и закреплению колхозных кадров, усилению их материальной заинтересованности. В значительной мере этому способствует распространение с 1 октября 1964 года государственного социального страхования и пенсионного обеспечения колхозных специалистов и механизаторов.¹⁰

В настоящее время колхозы не уплачивают страховые взносы, не несут никаких расходов по страхованию руководящих и механизаторских кадров. Обеспечение их пенсиями и пособиями осуществляется за счет средств бюджета государственного социального страхования. Расходы бюджета социального страхования на обеспечение ведущих кадров колхозов возмещаются путем выделения дотации из государственного бюджета. О численности колхозных специалистов и механизаторов и об увеличении расходов на их социальное страхование в Грузинской ССР свидетельствуют следующие показатели (табл. 3).

Как видно из таблицы, число колхозных специалистов и механизаторов с 1965 года по 1976 год увеличилось с 20808 до 30676 человек, в том числе женщин с 679 до 2355. Соответственно увеличились расходы на социальное страхование с 84,3 тыс. руб до 341,0 тыс. руб. или 404,5%.

Изучение сложившейся системы социального страхования колхозников на материалах Грузинской ССР показывает, что на современном этапе развития колхозного производства имеются разно-

¹⁰ Социальное страхование и пенсионное обеспечение в колхозах, сборник руководящих материалов, М., Профиздат, 1966, стр. 72—90.

показатели

о количестве колхозов, численности работающих в них специалистов и механизаторов и расходах на их социальное страхование¹

Годы	Число колхозов ²	Число колхозных специалистов и механизаторов			Расходы на социальное страхование (в тыс. руб.)			Темпы роста расходов на социальное страхование в 1965-1976 гг. %
		всего	темпы роста колхозных специалистов и механизаторов 1965 г. в %	в т. ч. женщины	Всего	В том числе		
						по временной нетрудоспособности	по беременности и родам	
1965	1435	20,808	100	679	84,3	51,2	6,2	100
1970	1265	23,72	133,8	1601	237,8	727,3	10,0	242,1
1971	1239	27,913	134,1	2891	219,9	210,2	5,3	260,9
1972	1185	30,761	147,8	2252	246,2	234,9	11,3	292,1
1973	1159	31,852	153,1	2314	202,3	193,4	8,9	240,0
1974	1048	32,343	155,4	2573	260,9	253,7	4,1	309,5
1975	77	30,613	147,1	2769	294,4	275,9	10,7	349,2
1976	729 ²	30,676	147,4	2315	341,0	335,3	4,4	44,5

1. Таблица составлена автором на основе финансовых отчетов об исполнении бюджета государственного социального страхования.

2. Уменьшение числа колхозов произошло вследствие их укрупнения, а также в связи с преобразованием некоторой части колхозов в совхозы по решению общих собраний колхозников.

образные формы обеспечения членов колхозов пенсиями и пособиями, которые осуществляются из разных источников. Организацией социального страхования занимаются различные органы, зачастую не связанные друг с другом.

Ныне действует следующая система социального страхования и пенсионного обеспечения членов колхозов:

- обеспечение колхозников пенсиями, а колхозниц также пособиями по беременности и родам за счет централизованного союзного фонда социального обеспечения;
- социальное страхование членов колхозов из централизованного союзного фонда социального страхования;
- социальное страхование и пенсионное обеспечение колхозных специалистов, механизаторов за счет государственного бюджета, т. е. за счет бюджета государственного социального страхования.

Централизованные фонды социального страхования и социального обеспечения используются на обеспечение одних и тех же лиц — колхозников. Различные принципы формирования этих фондов, объясняется тем, что они создавались в разное время, колхозы имели неодинаковый уровень развития общественного хозяйства. Как известно, Централизованный фонд социального обеспечения, созданный до введения гарантированной оплаты труда членов колхозов, стал формироваться за счет отчислений части валового дохода, так как в период его образования в колхозах действовал так называемый остаточный принцип распределения доходов между колхозниками. Колхозы из получаемых натуральных и денежных доходов в первую очередь выполняли обязательства перед государством, затем создавали и пополняли общественные фонды и только потом оставшиеся продукты и деньги распределяли между колхозниками. Фонд оплаты труда колхозников в этих условиях был небольшим и неустойчивым, поэтому наиболее правильным в тот период было принятие решения о формировании фонда социального обеспечения путем внесения определенных процентов отчислений не от фонда оплаты труда, а от валового дохода.¹¹

Фонд социального страхования начал создаваться после повсеместного введения в колхозах гарантированной оплаты труда. При таких условиях образование этого фонда происходило путем процентных отчислений от фонда оплаты труда.

¹¹ Забота партии и правительства о благе народа, сборник документов (октябрь 1964—1973). М., Политиздат, 1974, стр. 124—127.

Следует отметить, что существующий порядок образования централизованных фондов социального страхования и социального обеспечения колхозников в научной литературе неоднократно подвергался справедливой критике. Авторами предлагалось объединить все расходы на выплату пенсий и пособий в единый фонд социального обеспечения.¹² В связи с наличием нескольких источников и различных видов обеспечения для различных категорий лиц, работающих в колхозе, в практической работе возникли определенные трудности. В этой связи возникает вопрос о дальнейшем совершенствовании централизованной системы социального страхования и пенсионного обеспечения. Эта проблема, по нашему мнению, должна решаться таким образом, чтобы приблизить её к успешному осуществлению задачи по созданию единой системы социального обеспечения трудящихся нашей страны.

По нашему мнению, в настоящее время, когда в колхозах введена гарантированная оплата труда, основанная на тарифных сепках и ставках, используемых в совхозах, когда колхозные фонды оплаты труда стали устойчивыми, образование фонда социального обеспечения следует производить путем отчислений от фонда оплаты труда в колхозах и на этой основе объединить оба фонда. Представляется, что пособия и другие виды по социальному страхованию как рядовым колхозникам, так и механизаторам, специалистам и председателям колхозов должны выплачиваться из единого фонда социального страхования колхозников. Один порядок образования централизованных фондов социального страхования и социального обеспечения и слияние их в единый союзный фонд социального страхования позволит устранить имеющиеся недостатки в организации социального страхования колхозников, а фонд пенсионного обеспечения должен создаваться только за счет средств государственного бюджета.

При этом, формирование единого фонда социального страхования колхозников путем внесения колхозами взносов, начисленных на фонд оплаты труда, требует научной разработки разме-

¹² М. Захаров. Вопросы общего и особенного в пенсионном обеспечении рабочих, служащих и колхозников. Автореферат кандидатской диссертации. М., 1970, стр. 10. М. Ланцев. Социальное обеспечение новой пятилетки. Журн. «Социалистический труд», № 6, 1971, стр. 11. Его же, Социальное обеспечение в СССР (экономический аспект). М., «Экономика», 1976, стр. 40—46. Т. Силицына. Фонды социального обеспечения и социального страхования в СССР. Автореферат кандидатской диссертации. М., 1973, стр. 16 и др.

ров отчислений. Образование единого фонда социального страхования за счет взносов колхозов пропорционально к оплате труда окажет влияние и на рост производительности труда колхозников.

Введение единой системы социального страхования колхозников является важным социально-экономическим мероприятием; оно содействует решению важной социальной проблемы — ликвидации существующих различий между городом и деревней, способствует сближению уровней жизни городского и сельского населения.



УДК 631-151.2:634-8

ლ. ჩიხაძენაძე

სასოფლო-სამეურნეო ჯაროვანის ინჰენიერიკაციის ეკონომიკური ეფექტიანობა საქართველოს სსრ მშენახეობის საბოთა მუარეოებოში

სკკვ XXV ყრილობამ დიდი ყურადღება დაუთმო სოფლის მეურნეობის ინტენსიური გზით განვითარების საკითხებს. სოფლის მეურნეობის ინტენსიური გზით განვითარება უპირატეს მნიშვნელობას იძენს მეათე ხუთწლეუდში. მეათე ხუთწლედი იქნება სოფლის მეურნეობის აღმავლობის პროგრამის განხორციელების გადამწყვეტ ღონისძიებათა ხუთწლეული „ეხლა იმის კვალობაზე, თუ როგორ მტკიცდება სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, — აღნიშნა ლ. ი. ბრეჟნევი — მთელი სიგრივე-სიგანით დგება ამოცანა — ავამაღლოთ მისი ეფექტიანობა, გავაუმჯობესოთ ყველა ხარისხობრივი მაჩვენებელი“¹.

განვიღო მეცხრე ხუთწლეუდში თანმიმდევრულად განხორციელდა პარტიის მიერ შემუშავებული სოფლის მეურნეობის განვითარების კომპლექსური პროგრამა; განმტკიცდა მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; განხორციელდა მიწების მელორაციის დიდი სამუშაოები. ამ მიზნებს მოსმარდა 131 მილიარდი მანეთის კაპიტალური დაბანდება. სოფლის მეურნეობამ მეცხრე ხუთწლეუდში მიიღო 1.700 ათასი ტრაქტორი, 449 ათასი მარცვალასადები კომბაინი, 1102 ათასი სატვირთო ავტომობილი და დიდძალი სხვა ტექნიკა. ეს მაჩვენებლები კიდევ უფრო გაიზარდება მეათე ხუთწლეუდში. სოფლის მეურნეობის ინტენსიურ განვითარებას მოსმარდება კაპიტალური დაბანდება 171,7 მლრდ მანეთის მოცულობით, მეათე ხუთწლეუდში სოფლის მეურნეობა მიიღებს 1.900 ათას ტრაქტორს, 538 ათას მარცვალასადებ კომბაინს, 1350 ათას სატვირთო და სპეციალურზებულ ავტომობილს, 467 მლნ. ტ მინერალურ სასუქს. გაიზარდება მიწების მელორაციულ ღონისძიებათა სამუშაოები. ღონისძიებების მთელი ეს კომპლექსი საშუალებას მოგვცემს სოფლის მეურნეობის პროდუქციის საშუალო-წლიური წარმოება გაიზარდოს 14—17 პროცენტით.

ყველაზე დიდმნიშვნელოვანი, რაც სოფლის მეურნეობის თანამედროვე მდგომარეობას ახასიათებს, არის სკკვ ცენტრალური კომიტეტის

¹ სკკვ XXV ყრილობის მასალები თბ., 1976 წ.

1965 წლის მარტის პლენუმის მიერ შემუშავებული აგრარული პოლიტიკის განხორციელება.

სოფლის მეურნეობის წარმოების ინტენსიფიკაცია მთქმნ მწმ-მწმ-ვალმხრივი პროცესია. სკკ ცენტრალური კომიტეტის მმმ-წმწმ-მმმ მბრის პლენუმზე ხაზგასმულია, რომ ინტენსიფიკაცია ეკონომიკის გაზრდის და სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის ამოცანების გადაწყვეტის, კომუნისზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, ხალხის მატერიალურ-კულტურული დონის ამაღლების მთავარი გზაა არა მარტო თანამედროვე ეტაპზე, არამედ მომავალ პერიოდშიც.

ინტენსიფიკაციის დროს ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდება კულტურათა მოსავლიანობისა და პირუტყვის პროდუქტიულობის ამაღლებით, რასაც განაპირობებს შრომისა და საშუალებათა დამატებითი დაბანდება მიწის ფართობის ერთეულზე, ნადავის ნაყოფიერების ამაღლება. კ. მარქსმა ინტენსიფიკაციის მოვლეს მიწათმოქმედებაში ასე ჩამოაყალიბა: „... ინტენსიურ კულტურად ვგულისხმობთ მხოლოდ კაპიტალის კონცენტრაციას ერთსა და იმავე მიწების ფართობზე, ნაცლად მისი განაწილებსა ერთი-მეორის გვერდით მღებარე მიწის ნაკვეთებს შორის“².

ვ. ი. ლენინი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის შესახებ აღნიშნავდა, რომ ეს არის „... არა შემთხვევითი, არა ადგილობრივი, არა ეპიზოდური, არამედ ყველა ცივილიზებული ქვეყნის საერთო მოვლენა“³.


1970 წლის ივლისის პლენუმზე ლ. ი. ბრეჯნევიმ აღნიშნა „მეცნიერება და გამოცდილება გვასწავლიან, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია, მისი ხელახალი ტექნიკური აღჭურვა თანამედროვე პირობებში გადამწყვეტი ფაქტორია, რომელიც განსაზღვრავს მისი შემდგომი განვითარების ტემპებს. ამ ამოცანის გადაწყვეტის სხვა გზა ჩვენ არ გვაქვს“⁴.

სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია მიიღწევა: მინერალური და ორგანული სასუქების მრავალმხრივი გამოყენებით, მცენარეთა მავნებლების და ავადმყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლით, მიწათმოქმედების და მეცხოველეობის ყოველმხრივი კომპლექსური მექანიზაციით, სამელიორაციო ღონისძიებების გატარებით, სპეციალიზაციის სრულყოფით, მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვით და ა. შ. ამრიგად, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის ძირითად გზებდ უნდა მივიჩნიოთ: ა) სოფლის მეურნეობის მექანიზაცია და ელექტრიფიკაცია, ბ) სოფლის მეურნეობის ქიმიზაცია, გ) სოფლის მეურნეობის მელიორაცია.

² კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. II, გვ. 267.

³ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 22, გვ. 46.

⁴ ლ. ი. ბრეჯნევი, მოხსენება 1970 წლის ივლისის პლენუმზე.



ინტენსიფიკაციის პროცესის დამახასიათებელი მაჩვენებლები შეიძლება დაეყოს სამი ჯგუფად. პირველი ჯგუფის მაჩვენებლები ახასიათებს აბსოლუტურ დაბანდებათა ზრდის პროცესს: კაპიტალური დაბანდებად ფულად საშუალებაში მიწის ფართობის ერთეულზე, სასუქების რაოდენობა ერთ ჰექტარ სახნავზე და სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე, ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულება ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე და სხვ. მეორე ჯგუფის მაჩვენებლები რაოდენობრივად ახასიათებენ ინტენსიფიკაციის პროცესის შედეგებს: საერთო და სასაქონლო პროდუქციის გამოსავლიანობა მიწის ფართობის ერთეულიდან; სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, რძისა და ხორცის გამოსავლიანობა 100 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე. მესამე ჯგუფის მაჩვენებლები ახასიათებენ ინტენსიფიკაციის პროცესის ეკონომიკურ ეფექტიანობას: პროდუქციის გამოსავლიანობა ერთ მანეთ დანახარჯზე. პროდუქციის ფონდტევადობა, ფონდუკუგება, საერთო და წმინდა შემოსავალი, რენტაბელობა და სხვ., ე. ი. სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის პროცესს ახასიათებს: ფაქტორიალური შედეგობრივი და ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლები.

1976 წლის მონაცემებით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმოთა ძირითადი ფორმებიდან 729 კოლმეურნეობაა და 382 საბჭოთა მეურნეობა. ამ ორი ტიპის მეურნეობების საწარმოო სიმძლავრეზე წარმოდგენას იძლევა პირველი ცხრილი.

ცხრილი 1

კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სიმძლავრე 1976 წლისათვის

საწარმოო სიმძლავრის მაჩვენებლები	1976 წელი		სოფ. რესურსები
	კოლმეურნეობა	საბჭოთა მეურნეობა	
რაოდენობა	729	382	1111
მიწის ფონდი (ათასი ჰა)	217,5	1671,3	7275,1
სს-სამ. სავარგულო (ათასი ჰა)	164,3	1213,1	3203,8
მ.შ. სახნავი (ათასი ჰა)	154,2	298,9	779,1
შეიღვეხა რქოსანი პირუტყვი (ათასი სული)	344,6	217,9	1412,7
მ.შ. ძროხები და ბუღა მწარმოებლები	93,5	82,9	587,4
ცხილები (ათასი სული)	164,1	110,5	731,6
ცხვარი და თხა (ათასი სული)	817,1	461,1	1300,8
ბრინველი (ათასი ფრთა)	1213,4	537,6	14411

ცხრილის მონაცემები მოწმობენ, რომ საბჭოთა მეურნეობებზე წარმოებას საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია როგორც ტერიტორიული, ასევე საწარმოო სიმძლავრის ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით.

საქართველოში საბჭოთა მეურნეობების რიცხვი 1976 წელს 1940 წელთან შედარებით 5-ჯერ გაიზარდა. თუ 1940 წლისათვის მათი რიცხვი

რესპუბლიკაში შეადგენდა 76-ს, 1976 წლისათვის 382-ია. საბჭოთა მეურნეობების რაოდენობრივი ზრდა გამოწვეულია კოლმეურნეობათა შედგომი გამსხვილებით და საბჭოთა მეურნეობად გარდაქმნის შედეგად.

სპეციალიზაციის მიხედვით 382 საბჭოთა მეურნეობა დაჯერებულია მეურნეობის საბჭოთა მეურნეობაა. მევენახეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა. ამაზე მოწმობს ის ფაქტი, რომ ეს დარგი წარმოდგენილია იმ საწარმოო ზონებშიც, სადაც წამყვანი ადგილი სუბტროპიკულ კულტურებს უკავია. ასეთია ბომბორის საბჭოთა მეურნეობა აფხაზეთში, საქამისერის—ჩოხატაურში, ბანძის—გეგეჭკორში, კოტიანეთის—ცხაჯაიაში.

მევენახეობის საბჭოთა მეურნეობები წარმოდგენილია საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის I, II, III, V, VIII, X საწარმოო ზონებში. საქართველოს სსრ მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის პროცესის დამისი ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხის შესწავლის მიზნით მეურნეობები დავაჯუფეთ ერთ ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე მატერიალური დანახარჯების მოცულობის მიხედვით ხუთ ჯგუფად:

I ჯგუფი—ჰა-ზე 150 მანეთამდე მატერიალური დანახარჯით. ამ ჯგუფში შევიდნენ: ხაშმის, მატანის, პანკისის, საბუეს, შაუმიანის, ქსანის, როდინოულის, ალგეთის და სხვა საბჭოთა მეურნეობები.

II ჯგუფი—ჰა-ზე 151-დან 300 მანეთამდე მატერიალური დანახარჯით. ამ ჯგუფში შევიდნენ: მალრანის, ქისტაურის, ლილოს, ოყიოს, ყვარლის, ხრამის, ბოლნისის, ფლავის, კოტიანეთის და სხვა საბჭოთა მეურნეობები.


III ჯგუფი—ჰა-ზე 301-დან 450 მანეთამდე მატერიალური დანახარჯით. ამ ჯგუფში შევიდნენ: ვაზისუბნის, წინანდლის, ენისელის, კისისხევის, სავარჯოს, ალის, ზეინდრის, საჩხერის, რუფოთის, ბანძისა და სხვა საბჭოთა მეურნეობები.

IV ჯგუფი—ჰა-ზე 451-დან 600 მანეთამდე მატერიალური დანახარჯით. ამ ჯგუფში შევიდნენ: ნაფარეულის, მუკუზნის, შრომის, ხირის, ვარკეთილის, ყულარის, ბომბორის და სხვა საბჭოთა მეურნეობები.

V ჯგუფი—ჰა-ზე 600 მანეთს ზევით მატერიალური დანახარჯით. ამ ჯგუფში შევიდნენ: კარდანახის, გურჯაანის, გრემის, ახმეტის საწარმოები და სხვა საბჭოთა მეურნეობები.

თითოეული ჯგუფიდან კვლევისათვის შევარჩიეთ მეურნეობები, რომელთა წარმოების კონცენტრაციის დონე თითქმის თანაბარია და სასოფლო-სამეურნეო სავარგულები ცვალებადობს 1500 ჰა-დან 2500 ჰა-მდე. ასეთებია პირველი ჯგუფიდან—ხაშმის, მეორედან—ყვარლის, მესამედან—წინანდლის, მეოთხედან—შრომის და მეხუთედან—გურჯაანის საბჭოთა მეურნეობები.

საბჭოთა მეურნეობები	წლები	ვენახის ფართობი, კა		წოსავლიანობა, ც	ღანახარები მან.		შედეგები მან.		ჩენტი, %
		სულ	სრ. მსხროიარ.		1 კა-ზე	1 ც-ზე	მოგება 1 კა-ზე	მოგება 1 მან. ღანხარ	
ხაშმის	1970	92	11	43	1067	33,07	331	0,2	27
	1975	236	108	18,5	617	33,42	296	0,23	25
	1976	215	32	37	1004	23,78	266	0,2	25
1976 წელი % 1970-თან		245%	290%	77%	60%	85%	77%	100%	90%
ყვარლის	1970	755	683	51,8	1292	2503	1040	0,60	60
	1975	927	667	39,5	1448	36,5	777	0,6	56
	1976	1018	710	150	425	21,99	309	0,72	72
1976 წელი % 1970-თან		135%	104%	29%	30%	67%	30%	100%	90
წიხნდლის	1970	896	702	52,0	1260	2423	1317	1,04	104
	1975	1181	902	48,2	1467	233	1344	0,92	92
	1976	1266	915	23,1	668	29,94	487	0,55	56
1976 წელი % 1970-თან		141%	133%	54%	69%	123%	37%	54%	
შრომის	1970	1295	990	53,5	1183	22,08	1274	1,05	105
	1975	1368	1215	59,5	1371	23,02	1573	1,15	115
	1976	1456	1195	35,4	578	16,32	973	1,72	172
1976 წელი % 1970-თან		113%	121%	66%	49%	74%	76%	164%	164
გურჯაანის	1970	706	336	1098	1893	15,93	3427	2,02	202
	1975	1056	759	77	1507	19,55	2124	1,41	141
	1976	1172	810	44,7	9,93	22,20	811	0,32	82
1976 წელი % 1970-თან		166%	241%	41%	59%	144%	24%	41%	41



ამ მეურნეობებში ძირითადი დარგის განვითარების, შესახებ წარმოდგენას გვაძლევს მე-2 ცხრილი.

ცხრილის მაჩვენებლების ანალიზიდან ირკვევა, რომ წყევლის მეურნეობის საბჭოთა მეურნეობებში მიმდინარეობს ვენახის ახალი ფართობების გაშენება. 1976 წელს 1970 წელთან შედარებით ვენახის ფართობს საკვლევ საბჭოთა მეურნეობებში საშუალოდ 37%-ით გაიზარდა. მ. შ. სრული მსხმოიარე ფართობი—35%-ით.

წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად შემცირდა მოსავლიანობა მევენახეობაში. ხაშმის საბჭოთა მეურნეობაში—23%-ით, ყვარლის საბჭოთა მეურნეობაში—71%-ით, წინანდლის საბჭოთა მეურნეობაში—46%-ით, შრომის საბჭოთა მეურნეობაში—34%-ით, გურჯაანის საბჭოთა მეურნეობაში—59%-ით, რაც განაპირობა ბოლო წლებში ძლიერმა ყინვებმა, სეტყვამ და სხვა ბუნებრივმა და ეკონომიკურმა ფაქტორებმა.

მიუხედავად იმისა, რომ 1976 წელს 1970 წელთან შედარებით შემცირებულია მოსავლიანობა და ერთ ჰა ვენახის ფართობზე შრომითი და მატერიალური დანახარჯების მოცულობა მაღალია საბჭოთა მეურნეობებში მევენახეობის წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა—მოგება ერთ მანეთ მატერიალურ და შრომით დანახარჯზე და ერთ ჰა ნარგავობზე. ეს მაჩვენებლები კიდევ უფრო მაღალია იმ საბჭოთა მეურნეობებში, რომლებშიც ერთ ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე მეტი რაოდენობის მატერიალური დანახარჯია იქ, სადაც წარმოების ინტენსიფიკაცია მაღალია. ხაშმის საბჭოთა მეურნეობაში მევენახეობაში ყოველ 100 მანეთ მატერიალურ და შრომით დანახარჯზე მოგება შეადგენს 26 მანეთს, ყვარლის საბჭოთა მეურნეობაში—67 მანეთს, წინანდლის საბჭოთა მეურნეობაში—87 მანეთს. შრომის საბჭოთა მეურნეობაში—122 მანეთს, გურჯაანის საბჭოთა მეურნეობაში—151 მანეთს.

საკვლევ მეურნეობებს შორის ცვალებადი ბაზისით ერთ მანეთ დანახარჯზე მოგების მატების ტემპი უდრის: ყვარლის საბჭოთა მეურნეობისათვის 157%-ს, წინანდლის საბჭოთა მეურნეობისათვის—30%-ს, შრომის საბჭოთა მეურნეობისათვის—40%-ს, გურჯაანის საბჭოთა მეურნეობისათვის—24%-ს.

აღნიშნულ მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის პროცესის მაჩვენებლები განხილულია მე-3 ცხრილში. ცხრილის მონაცემთა ანალიზი გვიჩვენებს:

1. ხუთივე ჯგუფის ტიპური საბჭოთა მეურნეობებისათვის დამახასიათებელია ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე მატერიალურ დანახარჯთა ზრდა. 1976 წლისათვის 1970 წელთან შედარებით ის გაიზარდა: ხაშმის საბჭოთა მეურნეობაში—118%-ით; ყვარლის საბჭოთა მეურნეობაში—66%-ით, წინანდლის საბჭოთა მეურნეობაში—59%-ით, შრომის საბჭოთა მეურნეობაში—35%-ით, გურჯაანის საბჭოთა მეურნეობაში—114%-ით.

მრეწველობის საბჭოთა მეურნეობებში

საბჭოთა მეურნეობები	წლები	სახ. სამ. ფარგ. პა	სატერ. დასა-სარკი სა-ხე მან.	მინ. სასუქი კა-ხე. ც	ფონდ-ებრუ-ნეულ-ყოფა	ფონდ-შეიკ-რალე-ბა	ფონდ-უკუგე-ბა 100 მან	ფონდ-ტევა-ღობა	ს ბრუ-ნაეი ტონდ უზრუნ.	საერთო პროდუქ-ცია 13-ზე	საერთო პროდუქ-ცია 13-ზე 100	ტენტი-ბელ-ბის ღონე %
ხაშვის	1970	2 96	97	1,20	156	1052	57,6	2,66	99	59	100	100
	1975	2315	125	2,83	632	3225	21,8	4,57	1 0	18	180	1,38
	1976	2586	134	1,68	1053	7245	12,3	8,12	101	183	187	1,25
1976 წელი 1970-თან %		118	138	140	675	702	327	303	101	220	185	63
უბრის	1970	118	198	11,7	2710	4145	54,1	1,25	167	14,8	7,41	11,60
	1975	1812	217	1,65	2247	3609	23,4	4,76	137	537	2,43	11,09
	1976	2005	327	9,50	2057	4673	20,0	4,98	256	413	1,25	4,39
1976 წელი 1970-თან %		177	166	81	76	113	37	269	153	23	17	22
წინაღობის	1970	2200	273	3,32	1939	3090	40,1	1,04	280	914	4,38	18,20
	1975	2264	393	5,21	2806	5510	32,9	3,05	210	924	2,35	17,41
	1976	2244	435	8,05	2701	5730	23,7	4,21	312	1241	1,47	5,15
1976 წელი 1970-თან %		102	159	242	139	169	59	403	112	156	34	28
შრომის	1970	2107	373	4,31	2239	3673	48,8	2,64	217	10 1	2,93	18,20
	1975	2120	643	5,30	3321	4710	26,3	2,75	231	1207	3,69	24,00
	1976	2220	566	4,57	4058	6760	21,7	4,53	247	884	1,75	9,00
1976 წელი 1970-თან %		92	135	106	186	165	45	224	114	81	81	50
გურჯაანის	1970	4329	320	1,10	592	554	17,64	0,57	251	340	1,06	5,86
	1975	2576	441	4,09	1437	1397	61,1	1,63	464	1169	1,50	3,22
	1976	1536	687	2,88	1831	2127	47,9	2,08	513	877	1,58	12,28
1976 წელი 1970-თან %		45	214	261	309	401	27	365	220	260	149	209

2. საკვლევ მეურნეობებში იზრდება მინერალური სასუქების გამოყენება, მათი რაოდენობა ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულში. ხაშმის საბჭოთა მეურნეობაში გაიზარდა 40%-ით, წინანდლის საბჭოთა მეურნეობაში—142%-ით, შრომის საბჭოთა მეურნეობაში—6%-ით, გურჯაანის საბჭოთა მეურნეობაში—161%-ით, შემცირდა მხოლოდ ყვარლის მეურნეობაში 19%-ით, რაც გამოწვეულია სავარგულთა უპირატესი ზრდით სასუქებით მომარაგებასთან შედარებით.


3. განხილული მეურნეობებისათვის დამახასიათებელია ფონდურუნველყოფის და ფონდშეიარაღების მაღალი დონე, მიუხედავად იმისა, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითადი საწარმოო ფონდებიდან გამოვითიშეთ ახალგაზრდა ნარგავობის ღირებულება. ფონდურუნველყოფის და ფონდშეიარაღების ასეთი მაღალი დონე მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებში მათი სპეციალიზაციითაა გაპირობებული. ძირითად საწარმოო ფონდებში მრავალწლიანი ნარგავობა მაღალი ხვედრითი წონითაა წარმოდგენილი, მათზე მოდის ძირითადი საწარმოო ფონდების 60—70%.

4. მაღალია აგრეთვე საბრუნავი ფონდებით უზრუნველყოფის დონე. 1976 წელს 1970 წელთან შედარებით გაიზარდა ხაშმის საბჭოთა მეურნეობაში ერთ ჰა სავარგულზე 99-დან 101 მანეთამდე, ანუ 1%-ით; ყვარლის საბჭოთა მეურნეობაში—167-დან 256 მანეთამდე, ანუ 53%-ით; წინანდლის საბჭოთა მეურნეობაში—280-დან 312 მანეთამდე, ანუ 12%-ით; შრომის საბჭოთა მეურნეობაში 217-დან 247 მანეთამდე, ანუ 14%-ით; გურჯაანის საბჭოთა მეურნეობაში—251-დან 553 მანეთამდე, ანუ 120%-ით.

ანალიზით ირკვევა, რომ საკვლევ მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებისათვის დამახასიათებელია კაპიტალურ დაბანდებათა ზრდის მაღალი ტემპი. რაც ამ მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიური განვითარების პროცესზე მიუთითებს.

ინტენსიფიკაციის შედეგობრივი მაჩვენებლის (საერთო პროდუქციის გამოსავლიანობა ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულიდან) ანალიზით ირკვევა, რომ მატერიალური დანახარჯების, ფონდურუნველყოფის ფონდშეიარაღების, საბრუნავი ფონდების ზრდასთან ერთად, იზრდება საერთო პროდუქციის გამოსავალი ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულიდან. 1976 წელს 1970 წელთან შედარებით გაზრდილია ხაშმის საბჭოთა მეურნეობაში 59 მანეთიდან 130 მანეთამდე, ანუ 120%-ით; წინანდლის საბჭოთა მეურნეობაში—914 მანეთიდან 1241 მანეთამდე, ანუ 36%-ით; გურჯაანის საბჭოთა მეურნეობაში—840 მანეთიდან 877 მანეთამდე, ანუ 160%-ით.

თუ ერთმანეთს შევუდარებთ სხვადასხვა ჯგუფის ტიპური წარმომადგენლების ინტენსიფიკაციის შედეგობრივ მაჩვენებლებს ირკვევა, რომ იმ მეურნეობებში, სადაც ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე გაწე-



მეტე მატერიალური დანახარჯი, მაღალია ფონდუზრუნველყოფა, მა-
 ლური სასუქებით უზრუნველყოფა, შედარებით მაღალია საერ-
 დუქციის გამოსავალი. თუ 1976 წლისათვის ხაშმის საბჭოთა მეურ-
 ნეობის პროდუქციის გამოსავლიანობის დონეს ჩავთვლით მუდმივ ბაზისად,
 მაშინ საერთო პროდუქციის გამოსავლიანობის მატების ტენზია ასეთია:
 ხაშმის საბჭოთა მეურნეობისათვის—217%, წინანდლის საბჭოთა მე-
 ურნეობისათვის—854%, შრომის საბჭოთა მეურნეობისათვის—580%,
 გურჯაანის საბჭოთა მეურნეობისათვის—574%.


თუ ინტენსიფიკაციის ფაქტორული მაჩვენებლები წარმოდგენას
 აღეგნენ წარმოების ინტენსივობის ხარისხზე, შედეგობრივი მაჩვენებ-
 ლები—წარმოების პროდუქტიულობაზე, ეკონომიკური ეფექტიანობის
 მაჩვენებლები კი ინტენსიფიკაციის ეკონომიკურ უკუგებაზე.

ინტენსიფიკაციის ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებელი საერ-
 დუქციის გამოსავლიანობა მატერიალური დანახარჯის ერთ მა-
 ლზე 1976 წელს 1970 წელთან შედარებით გაზრდილია: ხაშმის საბჭოთა
 მეურნეობაში—73%-ით; გურჯაანის საბჭოთა მეურნეობაში—49%-ით;
 მცირებულია ყვარლის საბჭოთა მეურნეობაში 83%-ით, წინანდლის
 საბჭოთა მეურნეობაში—6%, შრომის საბჭოთა მეურნეობაში—19%-
 ით. მაგრამ ინტენსიფიკაციის ეკონომიკური უკუგების დონე ამ საბჭო-
 თა მეურნეობებში სხვადასხვა სიდიდისაა და იზრდება ჰა-ზე კაპიტალურ
 მანქანებთან ზრდასთან ერთად.

დაბალია მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებში ფონდუკუგების მა-
 ჩვენებელი. თუ შევადარებთ ამ მაჩვენებელს რესპუბლიკის საბჭოთა მე-
 ურნეობების საშუალო მაჩვენებელთან, რომელიც უდრის 31 მანეთს ყო-
 ლ 100 მანეთ ძირითად საწარმოო ფონდებზე, მაშინ ხაშმის, ყვარლის
 საბჭოთა მეურნეობებში ეს მაჩვენებელი რესპუბლიკის საშუალო დონეზე
 დაბალია, წინანდლის და შრომის საბჭოთა მეურნეობებში საშუალო დო-
 ნეზე ფარგლებშია, ხოლო გურჯაანის საბჭოთა მეურნეობაში ფონდუკუგე-
 უკუგებულ 100 მან. ძირითად საწარმოო ფონდზე მაღალია რესპუბლიკის
 საბჭოთა მეურნეობების საშუალო მაჩვენებელზე. უნდა აღინიშნოს, რომ
 უკუგების განმავლობაში ფონდუკუგება მცირდება. ფონდუკუგების ზრდას
 და შეესაბამებოდეს ფონდტევადობის შემცირება, მევენახეობის საბ-
 ლოთა მეურნეობებში კი პირიქით ხდება: ფონდუკუგება მცირდება და
 ფონდტევადობა იზრდება, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ძირითადი საწარ-
 მო ფონდების გამოყენების ეფექტიანობის დონე ამ მეურნეობებში და-
 ბალია.

რენტაბელობის დონე საკვლევ მეურნეობებში ძირითად და საბრუ-
 ებ საშუალებებზე გაანგარიშებით დაბალია და არ აღემატება 15 —
 25%-ს. თუმცა იმ მეურნეობებში, სადაც ინტენსიფიკაციის დონე მაღა-
 რია, რენტაბელობის დონეც შესაბამისად მაღალია. 1976 წლისათვის რე-
 ნტაბელობის დონე ხაშმის საბჭოთა მეურნეობაში უდრის 1,25%-ს

ყვარლის საბჭოთა მეურნეობაში—4,39%-ს, წინანდლის საბჭოთა მეურნეობაში—5.15%-ს, შრომის საბჭოთა მეურნეობაში—9%-ს, გურჯაანის საბჭოთა მეურნეობაში—12,28%.



მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო მშენებლობის პროცესის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებში მაღალი ტემპით მიმდინარეობს კაპიტალური დაბანდებების ზრდის პროცესი, რის შედეგადაც იზრდება საერთო პროდუქციის გამოსავლიანობა ჰა-დან, მევენახეობით დაბალია ინტენსიფიკაციის ეკონომიკური უკუგების დონე.

საქართველოს სსრ მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხის დრმა ანალიზისათვის გამოყენებული იქნა კორელაციური მეთოდი. შერჩეული იქნა შედეგობრივი ნიშანი და ფაქტორ-არგუმენტები.

y —საერთო პროდუქცია 100 მანეთის მატერიალურ დანახარჯზე (მან.),

- x_1 —საერთო პროდუქცია სას.-სამ. საეარგულეების ერთ ჰა-ზე (მან.),
- x_2 —ფონდუზრუნველყოფა (მან.),
- x_3 —საბრუნავი ფონდებით უზრუნველყოფა ერთ ჰა-ზე (მან.),
- x_4 —ფონდუკულება (მან.),
- x_5 —ფონდტევადობა (მან.).

შედგესა და ფაქტორ-არგუმენტებს შორის კავშირის ფორმად შერჩეული იქნა წრფივი ფორმა.

კორელაციური ანალიზთან დაკავშირებული განგარიშებანი ჩატარებული იქნა ელექტრონულ-გამოთვლით მანქანაზე. კორელაციური ანალიზის პირველ ეტაპზე იმის გამო, რომ წყვილადი კორელაციური კავშირის კოეფიციენტი $r_{yx_2} < 0,04$ -ზე, x_2 ფაქტორ-არგუმენტი გამოეთიშეთ შედეგობი კვლევიდან. დადგენილი იქნა მრავლობითი კორელაციური განტოლების კონკრეტული სახე.

$$\bar{y} = 4,14 + 0,117x_1 + 0,751x_2 + 0,046x_3 - 0,035x_4$$

კორელაციური განტოლების კოეფიციენტი გვიჩვენებს ფაქტორ-არგუმენტის მნიშვნელობის ერთი ერთეულით შეცვლა რამდენჯერ შეცვლის შედეგობრივი ნიშნის მნიშვნელობას.

შედეგობრივ ნიშანსა და ფაქტორ-არგუმენტებს შორის კავშირი საკმაოდ მკიდროა, რასაც გვიჩვენებს მრავლობითი კორელაციის კოეფიციენტი $R = 0,84$, მრავლობითი დეტერმინაციის კოეფიციენტი $D = 0,70$ გვიჩვენებს, რომ შედეგობრივი ნიშნის მნიშვნელობათა ცვალებადობის 70% გაპირობებულია ანალიზში ჩართული ფაქტორ-არგუმენტების ზეგავლენით.



УДК 33 : 633 . 71 (47 . 93)

ს. თაყაიშვილი

ზროვის ნაყოფიერების გადამზის რეზერვში მეთამბაქორობაში

აფხაზეთი მაღალხარისხოვანი, არომატული ყვითელი თამბაქოს რესპუბლიკაა. ეს პროდუქცია ექსპორტის ობიექტია და სსრ კავშირის მბაქოს მრეწველობაში მოხმარებული ნედლეულის გამაყვითლებად ითვლება. ამავ დროს ის კოლმეურნე გლეხობის მატერიალურ და საყოფაცხოვრებო დონის ამაღლებისა და კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის ეკონომიკური განმტკიცების უმნიშვნელოვანეს არს წარმოადგენს. ამით აიხსნება, რომ ეს დარგი ფართოდ არის წარუდგენილი აფხაზეთის ასსრ სხვა დარგთა შორის.

1975 წელს აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკის ყველა რაიონის კოლმეურნეობებში თამბაქოს კულტურა გაშენებული იყო 5600 ჰა-ზე. აქედან მთლიანობის 60% განლაგებულია გუდაუთისა და გულრიფშის რაიონებში, სადაც მიღებული იქნა რესპუბლიკაში წარმოებული პროდუქციის 80%.

თამბაქოს მოსავლიანობის დონე არ შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად. 1975 წელს ის რესპუბლიკის მასშტაბით 10,7 ც-ს შეადგენდა. ამავ დროს 1972 წელს ის მეტი—12,0 ც იყო, 1974 წელს—11,8 ც.

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის კოლმეურნეობებმა 1975 წელს 18%-ით გადააჭარბეს მოსავლიანობის 1961 წლის დონეს, გავრის ზონის კოლმეურნეობებმა 31%-ით, სოხუმის 20%-ით, გულრიფშის კოლმეურნეობებმა კი შეამცირეს ის 10,1 ც-დან 9,9 ც-მდე.

მოსავლიანობის არასტაბილურობას ადგილი აქვს არა მარტო ადგილობრივ რაიონებსა და კოლმეურნეობებში, არამედ მას ვაკეირდეების წლების მიხედვითაც. გავრის ზონის ოჯახიანობის საბ. კოლმეურნეობაში უკანასკნელი 15 წლის მანძილზე—1961 წლიდან 1975 წლამდე—10 ც-ზე ნაკლები მოსავლიანობა იყო 2 წლის განმავლობაში (მ. შ. 1962 წლ. 4,1 ც), ხოლო 15 ც-ზე მეტი 9 წლის განმავლობაში.

გუდაუთის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში მოსავლიანობა 10 ც-ზე ნაკლები 4 წლის, ხოლო 15 ც-ზე მეტი 5 წლის განმავლობაში


ლობაში გვხვდება. გალის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში კი აღნიშნულ პერიოდში მაქსიმალური მოსავლიანობა აღწერილია 11,4 ც-ს, ხოლო 10 ც-ზე ნაკლები ფიქსირებული იქნა.

მართალია, 1971/1975 წლებში აფხაზეთის მეთამბაქოეობის დარგში გაცივრებით გარკვეულ ძვრებს—5 წლის საშუალო-წლიური მოსავლიანობა შეადგენდა 11,3 ც-ს—სარეკორდო მაჩვენებელს უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში, მაგრამ ამ დარგს კიდევ საკმაოდ ბევრი რეზერვი გააჩნია შემდგომი განვითარებისათვის.

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს პროდუქციის შრომატევადობის შემცირება, რაც ფაქტიურად შრომის ნაყოფიერების ზრდას მოასწავებს.

აღნიშნული საკითხის შესწავლისას კოლმეურნეობების დაჯგუფებით შედეგად გამოიკვია, რომ რესპუბლიკაში 1975 წელს 1 ც პროდუქციის წარმოებაზე 86 კოლმეურნეობიდან 40 კაცდღემდე იხარჯებოდა 30 კოლმეურნეობაში (საშუალოდ 31,5 კაცდღე), 40 — 60 კაცდღემდე 21 კოლმეურნეობაში (46 კაცდღე), 60—80 კაცდღემდე—11 (საშ. 66) და 80 კაცდღეზე მეტი 15 კოლმეურნეობაში (საშ. 101 კაცდღე). 1975 წელთან შედარებით საშუალო შრომატევადობა 48 კაცდღიდან შემცირდა 1975 წელს 38,4 კაცდღემდე. ამავე დროს გაგრის ზონის კოლმეურნეობაში ის შეადგენდა 32,2 კაცდღეს, გულრიფშის—34,5-ს, გუდაუთის—36-ს, სოხუმის—42-ს, ოჩამჩირის—44 და გალის რაიონში—75-ს—2,3-ჯერ მეტს, ვიდრე გაგრის ზონის კოლმეურნეობებში და 1,9-ჯერ მეტს, ვიდრე საშუალოდ რესპუბლიკაში.

გაგრის ზონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში 1975 წელს 16,6 ც მოსავლიანობისას ერთეულის შრომატევადობა შეადგენდა 33,4 კაცდღეს. 1975 წელს კი იგივე მოსავლიანობისას 36%-ით შემცირდა და დავიდა 21,4 კაცდღემდე. უნდა ითქვას, რომ ამ კოლმეურნეობაში თანმიმდევრულად მცირდება ერთეული პროდუქციის შრომატევადობა—მეშვიდე ხუთწლედში ის უდრიდა 30 კაცდღეს, მეორე ხუთწლედში—29 კაცდღეს და მეცხრე ხუთწლედში—23,5 კაცდღეს. შრომატევადობის შემცირებას ადგილი აქვს, აგრეთვე, გუდაუთის რაიონის სოფ. პრიმორსკოეს ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში, ხოლო რაც შეეხება ოჩამჩირის რაიონის კამოს სახელობის კოლმეურნეობას, შრომის ხარჯვის აღმწერის მოუწესრიგებლობის გამო, 1974 წელს ორი ჰა-ით მეტი პლანტაციისა და 450 ც-ით ნაკლები თამბაქოს წარმოებისათვის დაიხარჯა 48,5 ათასი კაცდღით მეტი, ვიდრე წინა 1973 წელს. მსგავსი მაგალითი მოყვანა შეიძლება სოხუმის რაიონის წერეთლის სახელობის კოლმეურნეობიდან. სადაც 1961 წლიდან 1975 წლამდე მოსავლიანობა შემცირდა 18%-ით 14—11,5 ც-მდე), ხოლო შრომატევადობა გაიზარდა 23%-ით (33,3-დან—42,6-მდე).



მოპოვებული მასალების ანალიზით ირკვევა, რომ აფხაზეთის კოლმეურნეობებში 1 კაცდღეზე წარმოებული იქნა 1961 წელს 2,1 კგ თამბაქო, 1975 წელს—2,6 კგ, ანუ შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 25% (1961 წელს—2,6 კგ, ანუ შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 25%), გავრის ზონაში — 3,1 კგ (ზრდა 44%), გუდაუთის—2,8 კგ (45%), ლიფთის—2,9 კგ (25%), ოჩამჩირის—2.2 კგ (18%), ხოლო სოხუმის რაიონებში შემცირდა კიდეც 8 და 19%-ით.

ზოგიერთი კოლმეურნეობის მიხედვით შრომის ნაყოფიერების დონე შემცირდა 1-ელ ცხრილში.

შრომის ნაყოფიერების დონე და დინამიკა რიგ კოლმეურნეობებში (კგ/კაცდღე)

ცხრილი 1

კოლმეურნეობის დასახელება	1961	1965	1970	1975	ზრდა 1975 წელს % 1961 წელს თან შედარებით
ოჩოჩოქის სახ. (გავრა)	3,0	3,3	4,3	3,76	+25,0
ღვინის სახ. (გუდაუთა)	2,3	2,2	2,4	2,85	+24
წერეთლის სახ. (სოხუმი)	3,0	2,4	2,7	2,35	-21
მატეხა (გულრფში)	2,6	2,4	3,4	3,6	0,0
ბაშის სახ. (ოჩამჩირე)	2,0	1,3	3,4	3,1	+55
ღვინის სახ. (ვალი)	1,8	0,9	1,9	1,7	-5

მოყვანილი მასალები ადასტურებს, რომ როგორც რესპუბლიკის, ისე რაიონებისა და კოლმეურნეობების მიხედვით შრომის ნაყოფიერების დონე დაბალია და არც მისი დინამიკაა დამაკმაყოფილებელი.

თამბაქოს წარმოებაში ისე, როგორც სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური მაჩვენებელია პროდუქციის თვითღირებულება. რაც უფრო დაბალია ის, მით მეტია მოგება. პროდუქციის თვითღირებულება აფხაზეთის კოლმეურნეობებში კი მცირდება, არამედ იზრდება.

1961 წელს 1 ც თამბაქოს თვითღირებულება შეადგენდა 158 მან. 1965 წელს—242 მან., 1970 წელს—252 მან., ხოლო 1975 წელს მან 405 მან. მიაღწია. ყველაზე მაღალი თვითღირებულებით თამბაქოს აწარმოებენ გუდაუთის (422 მან.), გავრის (415 მან.) და სოხუმის (418 მან.) რაიონებში.

რესპუბლიკის მიხედვით 1975 წლისათვის 1 ც თამბაქოს თვითღირებულება 1970 წელთან შედარებით გაიზარდა 60%-ით. შრომის ანაზღაურების წილი 262 მან. ანუ 64%-ს შეადგენს. მისი მატება 1970 წელთან შედარებით 85 მან., ანუ 47%-ია. 1975 წელს წარმოებული პროდუქციის ღირებულება 28 466.0 ათას მან. უდრის, შრომის ანაზღაურებაზე გასული 15.000 ათასი მან., ანუ 53%.

1970 წელთან შედარებით 1975 წლისათვის მოსავლიანობის ზრდა შეადგენდა 2%-ს, მოსავლის ზრდა—14%-ს, შრომის ნაყოფიერების ზრდა—7%-ს, ხოლო შრომის ანაზღაურების ზრდა—47%-ს. ე. ი. შრომის ანაზღაურების ზრდა 7-ჯერ უსწრებს შრომის ნაყოფიერების ზრდას.

შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდების დონის დაცვასა და მოსავლიანობის გადიდება, მექანიზაციის დონის ამაღლება და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება.


მოსავლიანობის გადიდების რეზერვები აფხაზეთის კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ გამოუყენებელია. ამაზე ის ფაქტი მეტყველებს, რომ თვით რესპუბლიკის მასშტაბით მე-9-ე ხუთწლიდში 1971 წელს საშუალო მოსავლიანობა შეადგენდა 12 ც-ს, 1972 წელს კი 12,2 ც. გაგრის ზონის კოლმეურნეობებში ამ პერიოდის სხვადასხვა წლებში მიაღწიეს 15,3 ც, 13,5 ც, გუდაუთის რაიონში—11,8, 11,4 ც-ს. სოხუმის რაიონში—12,1 ც, გულრიფშის რაიონში—12,5 ც, ოჩამჩირის რაიონში—13,8 ც, გალის რაიონში კი 10,3 ც-ს. ამას გარდა ამავე პერიოდში გაგრის ზონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ მიაღწია 20,2, 19, 17,4, 17,0 და 16,4 ც მოსავლიანობას, გუდაუთის რაიონის ლენინის სახ. კოლმეურნეობამ—20,1; 16,7 ც; სოხუმის რაიონის წერეთლის სახ. კოლმეურნეობამ—17,1 ც; გულრიფშის რაიონის ესტონკის კოლმეურნეობამ—14,7; 14,6 ც, ოჩამჩირის რაიონის კამოს სახ. კოლმეურნეობამ—14,7; 14,2 და ა. შ. ასეთსავე მაღალ მოსავალს ღებულობს მრავალი სხვა კოლმეურნეობაც.

ამრიგად, ყველა ადმინისტრაციული რაიონის მიხედვით არსებობს რეალური შესაძლებლობა საშუალო მოსავლიანობა მომავალ 4—5 წლებში გაიზარდოს 14—16 ც-მდე მაინც, რაც 78—80 ათას ც თამბაქოს შეადგენს. ამავე დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ მოსავლიანობის ამ დონემდე მიაღწევა შეიძლება მხოლოდ კულტურის მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიური პროცესების ოპტიმალურ ვადებში ჩატარებისა და მოწინავეთა მეთოდებისა და ხერხების ფართოდ დანერგვის შედეგად.

აფხაზეთის მეთამბაქოეობაში მოსავლიანობის გადიდება არავითარ შემთხვევაში არ არის მისი ხარისხის შემცირების მიზეზი. ამის მაგალითი ბევრია. ოჩამჩირის რაიონის სოფელ ლაბრის ყდანოვის სახ. კოლმეურნეობაში თამბაქოს მოსავლიანობამ შეადგინა 15 ც. პირველი ხარისხის თამბაქო წარმოებული იქნა 205 ც ოდენობით, რაც წარმოებული პროდუქციის 8%-ს და 1 ჰა-ზე 118 კგ შეადგენს. გაგრის ზონის ორჯონიკიძის სახ. კოლმეურნეობაში 18 ც მოსავლიანობისას ის შეადგენდა 20,5 ც-ს (წარმოებული პროდუქციის 0,74%-ს). გუდაუთის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში 13,7 ც მოსავლიანობის დროს 47 ც-ს (2,9%-ს), ოჩამჩირის რაიონის კამოს სახელობის კოლმეურნეობაში 12 ც მოსავლიანობის დროს პირველი ხარისხის პროდუქცია 2,4% იყო.

მაღალი ხარისხის თამბაქო, ცხადია, დამოკიდებულია აგრეთვე ნადაგობრივ პირობებზე, მაგრამ არანაკლები მნიშვნელობა აქვს ამისათვის თამბაქოს ფოთლის შეტეხვის და მისი შემდგომი დამუშავების ხარისხს.

შრომის ნაყოფიერების გადიდების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს სამუშაო პროცესის მექანიზაცია წარმოადგენს. ცალკეულ სამუშაო პრო-



ესების მექანიზებული წესით ჩატარება ხელს შეუწყობს პროდუქციის პრომატევადობის შემცირებას, რაც შრომის ნაყოფიერების გადიდების მიზნებს ემსახურება.

აფხაზეთის პირობებში გარკვეული რელიეფის გამო მეთამბაქოეობის დარგის მექანიზაციის დონე ძლიერ დაბალია. მიუხედავად ამისა ყველა რეზერვი ამ საქმეში ჯერჯერობით გამოყენებული არ არის. მეტად პრომატევადია თამბაქოს რგვის პროცესი. სარგავი მანქანის გამოყენება თამბაქოსათვის გამოყოფილი ნაკვეთების დიდი დაქანებისა და მცირე ნაკვეთიანობის გამო ჯერჯერობით შეუძლებელია. ზოგიერთ ნაკვეთზე შემცირება შესაძლებელია, მაგრამ მექანიზებული რგვა არ იწერება.

თამბაქოს რგვის ადგილების მონიშვნა (მარკირება) ხელით წარმოებს, რაც დიდი რაოდენობით შრომის დანახარჯებთან არის დაკავშირებული. ამ სამუშაოს მექანიზებული წესით ან ცოცხალი გამწევი ძალით ჩატარება შესაძლებელია მოგვეცემდა გამოგვეთავისუფლებინა გარკვეული რაოდენობის მუშახელი.

თითქმის გამორიცხულია ისეთი სამუშაოების ტრაქტორის წევს ან ცოცხალი გამწევი ძალით შესრულება, როგორცაა კულტივაცია. პირველი ორი კულტივაცია და მიწის შემოყრა შესაძლებელია ამ წესით ჩატარდეს, რის ტრაქტორა გულრიფვის რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობას არც ხანია გააჩნია, მაგრამ წარმოებაში ნაკლებად იწერება.

თამბაქოს წარმოების საქმეში პრომატევადობის შემცირება დიდხარის დამოკიდებული მისი მოსავლის აღების შემდგომი დამუშავების პროცესების მექანიზაციის დანერგვაზე. ერთ-ერთ ასეთ პრომატევად პროცესს საშრობი ჩარჩოების ფარდულიდან გატანა და შემოტანა წარმოადგენს, რომელიც ხელით წარმოებს.

რამდენიმე წელია, რაც ვაგარის ზონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში დამონტაჟეს ჩარჩოების გატანა-შემოტანის მექანიზებული დანადგარი, რომლის ავტორია გ. ახვლედიანი.

სამუშაო გამოცდის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული დანადგარს ხელს შეუწყობს შრომის ეკონომიას და მისი გამოყენება ეფექტიანია. ე.წ. შრომის ერთი ციკლის დროს ხელით მუშაობისას ჩარჩოების გატანა-შემოტანას 120 საათი სჭირდება, მისი მექანიზებულად ჩატარების დროს მხოლოდ 1 საათია საკმარისი. ძველი წესით 1 კგ თამბაქოს შრომაზე იხარჯება 176 საათი, ხოლო ახალი დანადგარების გამოყენებით—0,017 საათი. შრომის ეკონომია 1 კგ-ზე 0,74 საათს შეადგენს.

შრომითი და მატერიალური დანახარჯების ეკონომია ერთ თვეს სამუშაოზე ერთი სეზონის განმავლობაში შეადგენს 3 801 მან., რაც ერთ ც-ზე 4,7 მან. უდრის.

აღნიშნული მექანიზებული დანადგარი უნდა დაინერგოს მასობრივად და რაც შეიძლება სწრაფად.

თამბაქოს პროდუქციის ხარისხის ამაღლება წარმოადგენს შრომის ნაყოფიერების გადიდების დიდ რეზერვს.

როგორც ცნობილია, თამბაქოს პროდუქცია შედგება 5 სხვადასხვა ხარისხისაგან. აქედან პირველი სამი ხარისხი (I—II—III ლია ფერის) წარმოადგენს მაღალი ხარისხის პროდუქციას, რომლის შედგენილება მთელ პროდუქციაში უნდა შეადგენდეს 54%-ს. აქედან I ხარისხის თამბაქო ძლიერ მცირე რაოდენობით იგეგმება (არაუმეტეს 2%-ისა), მეორე ხარისხის—13% და III ლია ფერის—38%-ის ოდენობით.

მოსავლის აღების შემდეგ პროდუქციის სწორი ტექნოლოგიური დამუშავების შედეგად დიდდება აღნიშნული ხარისხების ხვედრითი წილი, რაც, ცხადია, გამოიწვევს არა მარტო მატერიალური შემოსავლის გადიდებას, არამედ შრომის ნაყოფიერების ამაღლებასაც.

მაგრამ კოლმეურნეობის მიხედვით შრომის ნაყოფიერების დონის ნატურალურ ფორმაში დადგენის დროს საჭიროა წარმოებული პროდუქციის სხვადასხვა ხარისხის თამბაქოს რაოდენობა დაყვანილი იქნეს პირობით I ხარისხის პროდუქციაზე სათანადო კოეფიციენტებით, რომელიც ჩვენ მიერ იქნა დადგენილი და გამოქვეყნებული იყო ჟერ კიდევ 1972 წ.


აღნიშნული კოეფიციენტების გამოყენებით გაგრის რაიონის კოლმეურნეობებში 1975 წელს წარმოებული იქნა 5850 ც პირობითი I ხარისხის თამბაქოს პროდუქცია, გუდაუთის რაიონში კი 7634 ც. ამრიგად, მოსავლიანობამ გაგრის რაიონის კოლმეურნეობებში შეადგინა 6,9 ც, ხოლო გუდაუთაში 5,05 ც, ანუ 26%-ით ნაკლები, როცა ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუთვალისწინებლად ის შეადგენდა სათანადოდ 13,2 და 10,4 ანუ 21%-ით ნაკლებს. ერთ კაცდღეზე წარმოებული იქნა გაგრის რაიონში 1,46 კგ პირობითი თამბაქო, გუდაუთის რაიონში კი 1,38 კგ, რაც 5,5%-ით ნაკლებია, მაშინ როცა ხარისხის გაუთვალისწინებლად ის 9,5%-ით ნაკლები იყო.

ეს მოვლენა უფრო ცხადად ვლინდება ორი კოლმეურნეობის—გუდაუთის რაიონის ლენინის სახელობის და გულრიფშის რაიონის კოლმეურნეობა ესტონკის მაგალითზე.

ერთ კაცდღეზე სოფელ ესტონკის კოლმეურნეობაში მიღებულ იქნა 3,62 კგ თამბაქო, ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში კი ის შეადგენს 2,85 კგ-ს, ანუ 21%-ით ნაკლებს, ვიდრე ესტონკაში. თამბაქოს პირობით პროდუქციაში გადაყვანის შედეგად გამოირკვა, რომ ესტონკის კოლმეურნეობამ ერთ კაცდღეზე აწარმოა 1,51 კგ პირობითი თამბაქო, ხოლო ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ 1,75 კგ, რაც უკვე 16%-ით მეტია, ვიდრე პირველ კოლმეურნეობაში, ე. ი. შრომის ნაყოფიერების დონე სინამდვილეში ლენინის სახ. კოლმეურნეობაშია მეტი და არა ესტონკის კოლმეურნეობაში. ეს მოვლენა კი გამოწვეულია ამ კოლმეურნეობაში თამბაქოს ხარისხობრივი სტრუქტურის გაუმჯობესებით.

ამრიგად, თამბაქოს ხარისხობრივი სტრუქტურის სრულყოფა წარმოადგენს შრომის ნაყოფიერების გადიდების რეზერვს.

1 ერნ. „სუბტროპიკული კულტურები“ № 2, 1972.



UDK 311.14:63

ზ. ბენია

**სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ზომიერით მაჩვენებელთა
ანალიზი საინფლაციო მეთოდის გამოყენებით (საქ. სსრ საბჭოთა
მეურნეობების მაგალითად)**

თანამედროვე ეტაპზე სოფლო-სამეურნეობის განვითარების საქმეში გადაწყვეტილებები ადვილი უკავიათ საბჭოთა მეურნეობებს, რომლებიც წარმოადგენენ მსხვილ სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო საწარმოებს. სსრ კავშირში საბჭოთა მეურნეობების რიცხვი 1965—1976 წლებში გაიზარდა 11681-დან 19617-მდე, ე. ი. 1,67-ჯერ; 1976 წლის მონაცემებით საშუალოდ ერთ საბჭოთა მეურნეობაზე მოდის 18,1 ათასი ჰა სასოფლო-სამეურნეო საფარული (მ. შ. 5,9 ათასი ჰა სახნავი, აქედან 5,7 ათასი ჰა ნათესი), 1890 ადგილი მსხვილი რქოსანი პირუტყვი (მ. შ. 652 ძროხა), 57 ფიზიკური ტრაქტორი, 26 სატვირთო ავტომობილი, 5,5 მლნ. მანეთის ძირითადი ფონდები (მ. შ. 4,1 მლნ. მანეთის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითადი საწარმოო ფონდები). 1965—1976 წლებში საბჭოთა მეურნეობებში სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის წარმოების მოცულობა (1973 წლის შესადარისი ფასებით) გაიზარდა 1,92-ჯერ და 1976 წელს ერთ საბჭოთა მეურნეობაში საშუალოდ მოდის 2,02 მლნ. მან. საერთო პროდუქცია; საბჭოთა მეურნეობების წილი სოფლის მეურნეობის საერთო-სასაქონლო პროდუქციაში შეადგენს 44%-ს (მ. შ. მემცენარეობის—39% და მეცხოველეობის—46%).

საქართველოს რესპუბლიკაშიც საბჭოთა მეურნეობებს წამყვანი ადგილი უკავიათ სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში. 1965—1976 წლებში საბჭოთა მეურნეობების რიცხვი გაიზარდა 168-დან 382-მდე (მ. შ. 318 მეურნეობა შედის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში); 1976 წლის მონაცემებით საქ. სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის ერთ საბჭოთა მეურნეობაზე საშუალოდ მოდის 4,6 მლნ. მანეთის ძირითადი ფონდები (1965 წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი გაზარდილია 2-ჯერ), 1,19 მლნ. მან. სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია.

ჩვენ მიერ გაანალიზებული იქნა საქ. სსრ სოფლის მეურნეობის სსრ-ის სისტემის საბჭოთა მეურნეობების ზოგიერთი ეკონომიკური მაჩვენებელი 1965—1976 წლების ნაკრები წლიურ ანგარიშების შესწავლის საფუძველზე. ამ მაჩვენებლებს ახასიათებს 1-ე ცხრილში მოტანილი მონაცემები.

როგორც 1-ელი ცხრილის მონაცემები გვიჩვენებენ, რესპუბლიკაში საბჭოთა მეურნეობების რიცხობრივ ზრდას თან ახლავს თვისობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება. ყველაფერი ეს განპირობა საბჭოთა მეურნეობებში ფინანსურ ურთიერთობათა სრულყოფამ და სამეურნეო ანგარიშის პრინციპების თანმიმდევრულმა განმტკიცებამ. 1975 წლისათვის რესპუბლიკაში უკვე დამთავრებული იყო სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის ყველა საბჭოთა მეურნეობის გადაყვანა სრულ სამეურნეო ანგარიშზე. საბჭოთა მეურნეობებში მნიშვნელოვნად ამაღლდა სას.სამ. წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლები, მაგრამ ჯერ კიდევ სრულად არაა გამოყენებული სრული სამეურნეო ანგარიშის როგორც ეკონომიკური ბერკეტის ყველა შესაძლებლობანი, ხოლო რიგ შემთხვევაში მომჭირნეობის რეჟიმისა და მანეთით კონტროლის შესუსტების გამო უარყოფითი შედეგებიც არის მიღებული. ამ კანონზომიერებათა დასადგენად ჩვენ მიერ საინდექსო მეთოდის გამოყენებით გაანალიზებული იქნა რესპუბლიკისათვის მაპროფილებელ დარგებში (მეჩაიეობა, მევენახეობა, მეხილეობა, მეციტრუსეობა) წარმოების ეფექტიანობის მაჩვენებელთა დინამიკა (1965—1976) საქ. სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის საბჭოთა მეურნეობებში. აღნიშნულ დინამიკას ახასიათებს მე-2 ცხრილის მონაცემები.


როგორც მე-2 ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, 1965—1976 წლებში საბჭოთა მეურნეობების მეჩაიეობასა და მეციტრუსეობაში საგრძნობლად გაიზარდა მოსავლიანობის დონე. ხოლო მევენახეობასა და მეხილეობაში მოსავლიანობის ზრდის ტენდენცია არ შეიმჩნევა. პირიქით, ცალკეულ წლებში შემცირებას აქვს ადგილი. საბჭოთა მეურნეობების სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის შედეგად უკანასკნელ წლებში (1965 წლიდან დაწყებული) გაიზარდა სახელმწიფო შესყიდვის ფასები, რაც ფაქტიურად გახდა ძირითადი წყარო რენტაბელობის დონის ზრდისა, მაგრამ სამწუხაროდ შეიმჩნევა პროდუქციის თვითღირებულების მნიშვნელოვნად ზრდის ტენდენცია, რაც საბოლოო ანგარიშში უარყოფითად მოქმედებს წარმოების ეფექტიანობაზე. მართალია მეჩაიეობაში, მევენახეობაში, მეხილეობასა და მეციტრუსეობაში დანახარჯების ზრდა გაპირობებულია ინტენსიფიკაციის დონის ზრდით, მაგრამ მიღწეული უნდა იქნეს ინტენსიფიკაციის ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდაც, რომ დამატებით გაწეული დანახარჯების უკუგება იყოს უფრო მაღალი, როგორც ჩანს, რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებში მოსავლიანობის ზრდის და თვით-



საქ. სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის საბჭოთა მეურნეობების

ზოგიერთი ეკონომიკური მაჩვენებელი

მაჩვენებლები	1965	1970	1975	1976
მეურნეობათა სავსებით რიცხვი	161	227	283	318
მ. შ. ა) რენტაბელური	107	173	187	160
ბ) ხარაღიანი	54	54	93	158
მიღებულია წლის განმავლობაში:				
ა) მოგება (ათას მან.)	25968	59531	88112	75045
ბ) ზარალი (ათას მან.)	15825	29676	41918	39362
საბოლოო ფინანსური შედეგი—მოგება (ათას მან.)	10143	29855	46056	25683
მ. შ. საშუალოდ ერთ მეურნეობაზე (ათას მან.)	63,0	131,5	162,7	112,2
სავსებით რენტაბელობის დონე (%)				
ა) თვითღირებულებასთან შეფარდებით	12,0	17,0	15,0	9,8
ბ) ძირითად საწარმოო ფონდებთან შეფარდებით	3,0	4,0	4,2	2,6
სას.-სამ. დანიშნულების ძირითადი საწარმოო ფონდები (მლნ. მან.)	323	652	1096	1331
მ. შ. ა) საშუალოდ ერთ მეურნეობაზე (მლნ. მან.)	2,0	2,9	3,8	4,2
ბ) 100 ჰა სას.-სამ. სავარგულზე (ათას მან.)	60,0	81,0	110,0	109,2
გ) ერთ საშუალო-წლიურ მომუშავეზე (ათას მან.)	2,96	4,27	6,1	5,5
ა) ფონდოტვირთობა (სას.-სამ. დანიშნულების ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულება 100 მან. სავსებით პროდუქტთან) მან.	286	345	293	353
ბ) იგივე მაჩვენებლის ფონდების ღირებულებიდან ახალგაზრდა ნარგავების გამოთიშვით	209	260	319	292
ა) ფონდოტვირთობა (სავსებით პროდუქტის მოცულობა სას.-სამ. დანიშნ. ძირითადი საწარმოო ფონდების ყოველ 100 მანეთზე)	34	28	25	23
ბ) იგივე მაჩვენებელი ფონდების ღირებულებიდან ახალგაზრდა ნარგავების გამოთიშვით	47	38	31	34
საბოლოო ფინანსური შედეგები—მოგება:				
ა) ყოველ 100 ჰა სას.-სამ. სავარგულზე (მან.)	1860	3700	4650	2927
ბ) ყოველ 100 მან. სას.-სამ. დანიშნ. ძირითად საწარმოო ფონდებზე (მან.)	3,14	4,57	4,20	2,68
იგივე მაჩვენებელი ფონდების ღირებულებიდან ახალგაზრდა ნარგავების გამოთიშვით	4,29	6,06	5,17	3,23
გ) ერთ საშუალო-წლიურ მომუშავეზე (მან.)	53,0	125,0	256,0	148,0
შრომის ნაყოფიერების მაჩვენებელი—სოფლის-მეურნეობის სავსებით პროდუქტით:				
ა) ერთ საშუალო-წლიურ მომუშავეზე (მანეთებში)	1060	1235	1572	1603
ბ) ერთ კაცსათზე	0,96	0,53	1,12	1,09
მ. შ. შემცენარებაში	0,87	0,72	1,03	0,97
მიცხოველობაში	1,25	1,35	1,41	1,54
შრომის ანაზღაურების დონე (ერთ კაცსათზე — მან.)	0,38	0,54	0,58	0,64



საქ. სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის საბჭოთა მეურნეობის უსრძენის, ხილის და ციტრუსების ნაყოფის წარმოების ეფექტიანობის მაჩვენებელთა დინამიკა

მაჩვენებლები		1965	1970	1975	1976
ჩარს ფოთლო	ფართობი (ნაყოფმომცემი ასაკის)—ათასი ჰა	10,0	13,8	15,4	16,9
	რელიზებული პროდუქცია —ათას ც.	351,3	552,4	607,7	903,9
	მოსავლიანობა—ც/ჰა-ზე	35,23	39,9	40,6	52,4
	1 ც საშუალოსარელიზაციო ფასი—მან.	54,87	31,03	40,46	90,76
	1 ც საშუალო თვითღირებულება—მან.	44,61	59,6	57,81	61,96
	რინტაბელობის დონე — %	22,99	35,95	56,47	46,43
	ინდექსი (1965 წ. შეფარდებით):				
ა) მოსავლიანობის	X	1,13	1,44	1,49	
ბ) ფასების	X	1,48	1,64	1,65	
გ) თვითღირებულების	X	1,34	1,30	1,39	
ყურძენი	ფართობი (ნაყოფმომცემი ათასი) ათასი ჰა	9,6	20,0	25,5	30,5
	რელიზებული პროდუქცია—ათას ც.	451,5	938,4	1165,5	832,4
	მოსავლიანობა — ც/ჰა-ზე	46,6	46,8	46,8	27,1
	1 ც საშუალოსარელიზაციო ფასი—მან.	42,21	42,99	43,2	48,24
	1 ც საშუალო თვითღირებულება—მან.	22,18	25,97	29,61	31,61
	რინტაბელობის დონე—%	90,31	65,54	62,78	52,27
	ინდექსი (1965 წ. შეფარდებით):				
ა) მოსავლიანობის	X	1,004	1,004	0,53	
ბ) ფასების	X	1,02	1,14	1,14	
გ) თვითღირებულების	X	1,17	1,33	1,43	
ხილი	ფართობი (ნაყოფმომცემი ასაკის)—ათასი ჰა	3,8	5,6	17,6	26,8
	რელიზებული პროდუქცია—ათას ც.	124,4	315,3	335,4	509,5
	მოსავლიანობა — ც/ჰა-ზე	33,1	56,8	19,6	26,9
	1 ც საშუალოსარელიზაციო ფასი—მან.	24,22	30,23	24,39	41,95
	1 ც საშუალო თვითღირებულება—მან.	14,1	13,55	24,9	23,48
	რინტაბელობის დონე—%	71,77	125,13	—2,05	36,07
	ინდექსი (1965 წ. შეფარდებით):			0,59	
ა) მოსავლიანობის	X	1,78		0,81	
ბ) ფასების	X	1,25	1,01	1,32	
გ) თვითღირებულების	X	0,95	1,76	1,47	
ციტრუსების ნაყოფი	ფართობი (ნაყოფმომცემი ასაკის) ათასი ჰა	1,6	1,9	2,4	2,5
	რელიზებული პროდუქცია—ათას ც.	80,2	201,1	258,1	199,1
	მოსავლიანობა — ც/ჰა-ზე	50,04	105,5	106,2	77,9
	1 ც საშუალოსარელიზაციო ფასი—მან.	59,93	54,73	80,62	80,30
	1 ც საშუალო სარელიზაციო ფასი—მან.	42,76	38,36	40,27	45,73
	რინტაბელობის დონე—%	40,15	68,74	100,2	75,6
	ინდექსი (1965 წ. შეფარდებით):				
ა) მოსავლიანობის	X	21,11	2,12	1,56	
ბ) ფასების	X	1,08	1,34	1,33	
გ) თვითღირებულების	X	0,90	0,94	1,07	

რეზულტების შემცირების და ამის საფუძველზე წარმოების რენტაბელობის ამადლების რეზერვები სრულად არ არის გამოყენებული.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ზოგიერთ მახასიათებელთან ურთიერთკავშირის დროს ანალიზის საშუალებას იძლევა საინდუსტრიული მეთოდის გამოყენება აღნიშნული მეთოდი სტატისტიკური გამოკვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდია, რომელიც საშუალებას იძლევა შესწავლილი იქნეს სხვადასხვა ეკონომიკური მოვლენების ცვალებადობა, დამყარებული იქნეს მათ შორის ურთიერთკავშირი და გამოვლენებული იქნეს შედეგზე ცალკეული ფაქტორის გავლენა სხვა დანარჩენი ფაქტორის აბსტრაგირების პირობებში.

ანალიზის საინდექსო მეთოდის გამოყენების საერთო ამოცანას შეადგენს ეკონომიკურ მოვლენათა სხვადასხვა დონეების შედარება, რომელიც დროის სხვადასხვა პერიოდებს ან სხვადასხვა ტერიტორიას ეუთვნება.

ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების შესწავლისას გამოიყენება აგრეგატიული ინდექსების მთელი სისტემა.

სოფლის მეურნეობაში პროდუქციის წარმოების ეფექტიანობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კონცენტრირებულ მაჩვენებელს წარმოადგენს რენტაბელობის დონე. პროდუქციის წარმოების რენტაბელობის დონეზე აბოლო ანგარიშში გავლენას ახდენს ორი ძირითადი ფაქტორი: სასხელოდ მოსავლის შესაძენის ფასებისა და თვითღირებულების ცვალებადობა. ეს გავლენა შეიძლება გავზომოთ რენტაბელობის დონის აგრეგატიული ინდექსით:

$$I_{\text{რენტაბელობის დონის}} = I_{\text{ფაქტორების გავლენის}} \cdot I_{\text{თვითღირებულების გავლენის}}$$

$$I_{\text{რენტაბელობის დონის}} = \left(\frac{\sum p_1 q_1}{\sum C_1 q_1} : \frac{\sum p_0 q_1}{\sum C_1 q_1} \right) \cdot \left(\frac{\sum p_1 q_1}{\sum C_1 q_1} : \frac{\sum p_1 q_0}{\sum C_0 q_1} \right)$$

დაც p არის 1 ც პროდუქციის საშუალო-სარეალიზაციო ფასი (მან),
 C — 1 ც პროდუქციის საშუალო თვითღირებულება (მან.),
 q — პროდუქციის რაოდენობა (ც).

ინდექსთა მნიშვნელობები გვიჩვენებს თუ რამდენჯერ შეიცვლება მაჩვენებელი (ანუ თუ შემცირდა) რენტაბელობის დონე ერთ შემთხვევაში ფაქტორების ცვალებადობის გავლენით, ხოლო მეორე შემთხვევაში თვითღირებულების ცვალებადობის გავლენით. ინდექსთა მნიშვნელობების ასზე მაჩვენებლებით და ნამრავლიდან ასის გამოკლებით ვღებულობთ ფაქტორთა გავლენის ზომას გამოხატულს პროცენტებში, ე. ი. ირკვევა თუ რამდენი პროცენტით შეიცვალა რენტაბელობის დონე ცალკეულ ფაქტორთა ცვალებადობის გავლენით.

აღნიშნული აგრეგატული ინდექსის საშუალებით განსაზღვრულია საქ. სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის საბჭოთა მეურნეობებში ჩაის ფოთლის, ყურძნის, ხილისა და ციტრუსების წარმოების რენტაბელობის დონეზე სარეალიზაციო ფასების და სხვა ღირებულების ცვლებადობის შედარებითი გავლენა. დადგენილ ინდექსთა მნიშვნელობები მოტანილია მე-3 ცხრილში. ინდექსები გამოთვლი-

ცხრილი 3

საქ. სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის საბჭოთა მეურნეობებში ჩაის ფოთლის, ყურძნის, ხილისა და ციტრუსების წარმოების რენტაბელობის დონეზე მოქმედი ფაქტორების შედარებითი გავლენა

პროდუქციის დასახელება	შესადარებელი წლები		ინდექსი		
			რენტაბელობის დონის	ფასების გველების	ფიზიკური რაოდენობის გველების
ჩაის ხარისხი-განი ფოთოლი	1970 წ. 1965	წელთან	1,106	1,477	0,749
	1975 1965	"	1,146	1,485	0,772
	1976 1965	"	1,190	1,653	0,720
	1975 1970	"	1,151	1,116	1,031
	1976 1975	"	0,936	1,003	0,933
ყურძენი	1970 წ. 1965	წელთან	0,869	1,018	0,854
	1975 1965	"	0,885	1,142	0,747
	1976 1965	"	0,701	1,001	0,700
	1975 1970	"	0,933	1,121	0,877
	1976 1975	"	0,318	0,876	0,934
ხილი	1970 წ. 1965	წელთან	1,310	1,250	1,048
	1975 1965	"	0,570	1,007	0,566
	1976 1965	"	0,793	1,319	0,601
	1975 1970	"	0,436	0,806	0,541
	1976 1975	წელთან	1,390	1,310	1,051
ციტრუსების წყი	1970 1965	"	1,203	1,030	1,111
	1975 1965	"	1,469	1,383	1,062
	1976 1965	"	1,252	1,309	0,935
	1975 1970	"	1,186	1,246	0,952
	1976 1975	"	0,877	0,996	0,881
საშუალოდ მოხვე პიონ-დუქცობა	1970 წ. 1965	წელთან	1,166	1,032	1,130
	1975 1965	"	1,219	1,272	0,953
	1976 1965	"	0,987	1,371	0,720
	1975 1970	"	1,089	1,002	1,081
	1976 1975	"	0,43	1,001	0,944

ლია როგორც მუდმივი ბაზით—1965 წლის მაჩვენებელთან შეფარდებით, ასევე ცვლებადი ბაზით—წინმავალ პერიოდთან შედარებით.



მე-3 ცხრილში მოტანილ ინდექსთა მნიშვნელობები თვალსაჩინოდ აათებს პროდუქციის წარმოების დონეზე ფასებისა და თვითღირებულების გავლენის რაოდენობრივ ზომას. ასე, მაგალითად, ჩაის ფოთლების რენტაბელობის დონის ყველაზე დიდი ზრდა (1965 წელთან შედარებით) აღინიშნება 1976 წელს 19%-ით, მათ შორის სამუდამო ფაქტორებზე ფასების ცვლილების გავლენით რენტაბელობის დონე ზრდა 65,3%-ით, ხოლო თვითღირებულების ზრდის შედეგად პირიქით შემცირდა 28%-ით. ცხრილის მონაცემთა ანალიზი გვიჩვენებს, თვითღირებულების გავლენა რენტაბელობის დონეზე ყველგან უარყოფითია. რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებში თვითღირებულების შემცირების რეზერვები გამოუყენებელია, როგორც შემოთ აღნიშნეთ, მოსავლიანობის დონის ზრდა მნიშვნელოვნად ჩამორჩება დანახარჯების ზრდას.

შემოთ აღნიშნული ჩვენი დასკვნის დასაბუთებას იძლევა პროდუქციის თვითღირებულებაზე საწარმოო დანახარჯებისა და მოსავლიანობის დონის გავლენის გამოყენება საინდექსო მეთოდის გამოყენებით. მათის შეიძლება გამოვიყენოთ აგრეგატული ინდექსის შემდეგი ფორმულები:

$$I_{\text{თვითღირებულების დინამიკის}} = I_{\text{დანახარჯთა გავლენის}} : I_{\text{მოსავლიანობის გავლენის}}$$

$$I_{\text{თვითღირებულების დინამიკის}} = \frac{\sum C_1 q_1 y_1}{\sum C_0 q_1 y_0} : \frac{\sum C_0 q_1 y_1}{\sum C_0 q_1 y_0}$$

სადა C არის 1 ც პროდუქციის თვითღირებულება (მან),

q — მოსავლიანობა (ც/ჰა-ზე),

y — ფართობი (ჰა),

შეორე ფორმულა ასეთია:

$$II_{\text{თვითღირებულების დინამიკის}} = \left(\frac{C_1 q_1}{q_1} : \frac{C_0 q_1}{q_1} \right) X \left(\frac{C_0 q_0}{q_0} : \frac{C_1 q_1}{q_1} \right)$$

სიმბოლოების მნიშვნელობები აქაც იგივეა, როგორც პირველ ფორმულაში. მეორე ფორმულაში აბსტრაგირებულია დინამიკაში ფართობის ცვალებადობის გავლენა. ვინაიდან საკვლევ საბჭოთა მეურნეობაში მრავალწლიანი ნარგავების ფართობებზე დიდი ზომით იცვლება დინამიკაში, ამდენად თვითღირებულების დინამიკის გამოყენება უფრო უმჯობესი აღმოჩნდა აგრეგატული ინდექსის მეორე ფორმულის გამოყენებით: ანალიზების შედეგად მიღებული მაჩვენებლები მოტანილია მე-4 ცხრილში.

მე-4 ცხრილში მოტანილი ინდექსთა მნიშვნელობებზე გვიჩვენებს, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის საბჭოთა მეურნეობებში ჩაის ხარისხოვანი ფოთლის, ყურძნის, ხილისა და ციტრუსების ნაყოფის თვითღირებულებაზე დანახარჯების ცვალებადობის გავლენა ჩამორჩება მოსავლიანობის ცვალებადობის გავლენას, ე. ი. დანახარჯების ზრდა წინ უსწრებს მოსავლიანობის ზრდას, რაც საბოლოო ანგარიშში იწვევს თვითღირებულების გადიდებას.

ცხრილი 4

საქ. სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის საბჭოთა მეურნეობებში ჩაის ფოთლის, ყურძნის, ხილისა და ციტრუსების პროდუქციის თვითღირებულებაზე მოქმედი ფაქტორების გავლენა

პროდუქციის დასახელება	შესაღარებელი წლები		ინდექსი		
			თვითღირებულების დინამიკის	დანახარჯების გავლენის	მოსავლიანობის გავლენის
ჩაის ხარისხოვანი ფოთლი	1970 წ.	1965-წელთან	1,336	1,513	0,883
	1975 "	1965—" "	1,295	1,861	0,696
	1976 "	1965—" "	1,388	2,066	1,672
	1975 "	1970—" "	0,970	1,230	0,789
	1976 "	1975—" "	1,072	1,110	0,966
ყურძენი	1970 "	1965 წელთან,	1,136	1,176	0,966
	1975 "	1965—" "	1,295	1,341	0,966
	1976 "	1965—" "	1,427	0,831	1,726
	1975 "	1970—" "	1,140	1,140	1,00
	1976 "	1975—" "	1,071	0,620	1,727
ხილი	1970 "	1965-წელთან,	0,954	1,695	0,563
	1975 "	1965—" "	1,767	1,046	1,689
	1976 "	1965—" "	1,664	1,353	1,230
	1975 "	1970—" "	1,851	0,617	3,000
	1976 "	1975—" "	0,943	1,294	0,729
ციტრუსების ნაყოფი	1970 "	1965-წელთან,	0,796	1,891	0,474
	1975 "	1965—" "	0,942	1,909	0,471
	1976 "	1965—" "	0,069	1,665	0,642
	1975 "	1970—" "	1,000	1,057	0,993
	1976 "	1975—" "	1,135	0,833	1,363

ჩატარებული გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზი სხვა ხერხებთან ერთად საინდექსო მეთოდის გამოყენებით უფრო თვალსაჩინოა და მიღებულ დასკვნებს უფრო დამაჯერებელს ხდის.



ДК 331 . 875 . 3 : 633 . 72

3 კაკაზილი

მანიამაში ძირითადი სახის სამუშაოთა კომპლექსური მუშაობისა და მისი ეკონომიკური ეფექტიანობა

საქართველო ჩაის ძირითადი მწარმოებელია საბჭოთა კავშირში. სახელმწიფოს საბჭოთა კავშირში წარმოებული ჩაის პროდუქციის 5%-ს აძლევს. 1977 წლის 1 იანვრისათვის რესპუბლიკაში ჩაის პლანტაჟის ფართობი 66,1 ათასი ჰა იყო, რომელიც ნაწილდება ჩაის მწარმოებელ 370 კოლმეურნეობასა და 35 სპეციალიზებულ საბჭოთა მეურნეობებზე. რესპუბლიკის მეჩაიეებმა მაღალ წარმატებებს მიაღწიეს 1976 წელს, სახელმწიფოს მიყიდეს და ჩააბარეს 356,2 ათასი ტ ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, მოსავლიანობამ ჰა-ზე, საშუალოდ რესპუბლიკაში, 6300 კგ-ს მიაღწია. გასულ 1977 წელს კიდევ უფრო ამაღლდა ჩაის ფოთლის უფის ტემპი და გეგმით გათვალისწინებული 350 ათასი ტ-ს ნაცვლად 42 ათასი ტ ფოთოლი მოიკრიფა, რომლის 70% პირველი ხარისხია.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში ყოველწლიურად გაიზრდება, როგორც ჩაის პლანტაციის ფართობი, ასევე ჩაის ხარისხოვანი ფოთლის წარმოება. 1976—1980 წწ. წარმოებული უნდა იქნეს 1673 ათასი ტ ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი. მიმდინარე მეათე ხუთწლედის მესამე—1978 წელს რესპუბლიკაში მოიკრიფება 400 ათასი ტ ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, საჰექტარო მოსავლიანობა 7000 კგ-ს მიაღწევს. ხუთწლედის პირველი ორი წლის შემდეგები სამამულო ჩაის წარმოების შემდგომი ზრდის დიდ პოტენციალურ შესაძლებლობებზე მიუთითებს, რომელთა გამოვლინებასა და გამოყენებას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს.

ჩაის წარმოების მითითებულ დავალებათა შესრულება მოითხოვს მუშახელის დიდ რაოდენობას, რომლის უზრუნველყოფა საქართველოს მეჩაიეობის რაიონებს კი არა, თვით რესპუბლიკასაც გაუჭირდება, რადგანაც საქართველო მთლიანად და კერძოდ მისი დასავლეთი ნაწილის რაიონები, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მხრივ დიდი თავისებურე-

ბით ხასიათდება. აღსანიშნავია, რომ აქ სოფლის მეურნეობა მოკლევადიან რეგენარა, რის გამოც წლის თითქმის ყოველ თვეში შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობა ძალიან დიდია, განსაკუთრებით ჩამოყალიბების პერიოდში. ჩაის კულტურა საერთოდ მეტად შრომისტევადია.

შემოადინებულ სიძნელეთა დაძლევის და ჩაის წარმოებაში წარმოებების მოპოვების რეალური შესაძლებლობა მეჩაიეობაში ძირითადი სახის სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის ფართოდ გამოყენება, რომლის დონე ამჟამად საყოველთაოა და აღემატება 15—16% ან აუ-


მატება. ჩაის წარმოებაში, ძირითადი სახის სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის დონის ამაღლება საშუალებას იძლევა შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და ხარისხოვანი ჩაის ფოთლის თვითღირებულების შემცირებისათვის.

შრომის ნაყოფიერების ზრდას უპირველესი მნიშვნელობა აქვს XXV ყრილობის მიერ დასახულ ამოცანათა წარმატებით განხორციელებისათვის. შრომის ნაყოფიერება საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების უმნიშვნელოვანესი და განმსაზღვრელი ფაქტორია.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის ბრძოლა მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში ხორციელდება. შრომის ნაყოფიერების გადიდება, კომპლექსურად მექანიზებული წარმოების პირობებში, დიდად არის დამოკიდებული თითოეული მანქანა-იარაღის ეფექტურ გამოყენებაზე, მომუშავეთა ინიციატივაზე. 1976—1977 წლებში საშუალოდ რესპუბლიკის ჩაის პლანტაციებში მუშაობდა 1000-მდე საკრეფო მანქანა „საქართველო“ და 7500-ზე მეტი ხელის საკრეფო აპარატი, რომლითაც მოიკრიფა ამავე წლებში მოკრეფილი ჩაის ხარისხოვანი ფოთლის 16,5%.

მეჩაიეობის რაიონების რელიეფური პირობები, ჩაის პლანტაციის წვრილნაკვეთიანობა და პლანტაციის გაშენების ადრინდელი წესი საკმაოდ ზღუდავს ჩაის საკრეფ და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანათა გამოყენების ფართობს, ამიტომ უდავოა მცირე მექანიზაცია დიდ ძალას წარმოადგენს მეჩაიეობაში, ამასთან ერთად, შრომის ნაყოფიერების ერთობრად გაზრდა შეიძლება აგრეთვე კარგი ხარისხისა და კონცენტრაციის ხელის იარაღების (სამარჯვების), ცოცხალი გამწევი ძალის, მანქანა-იარაღების გამოყენება, რაც უმრავლეს მეჩაიეობის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უგულებელყოფილია.

მეჩაიეობაში ძირითადი სახის სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციით შესრულების მაღალ ეფექტიანობაზე მეტყველებს რიგი მეჩაიეობის მეურნეობათა ციფრობრივი მონაცემები და მისი ანალიზი, ასე, მაგალითად: ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში კომპლექსური მექანიზაციის ბრიგადის შექმნის შედეგად გაუმჯობესდა შრომის პირობები, ამა-



ლა მომუშავეთა კვალიფიკაცია, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება და მუშავეთა შემოსავალი. კომპლექსური მექანიზაციით სამუშაოთა შედეგების შედგად გაიზარდა ფართობის ერთეულზე ჩაის ხარისხი და ხარისხობის წარმოება. თუ 1960 წელს იგი შეადგენდა 4707 კგ-ს, 1963 წ. იზარდა 5953 კგ-მდე, ხოლო 1976 წელს 7800 კგ-მდე მიაღწია.

აღნიშნულ საბჭოთა მეურნეობაში 1968 წელს კომპლექსური მექანიციით მუშავედებოდა 429 ჰა ჩაის პლანტაცია, რომლის თითოეულ ჰექტარზე საშუალოდ დაიხარჯა 189 კაცდღე, ხოლო ფულად-მატერიალურად 2171 მან. ამავე პერიოდში ხელით მუშავედებოდა 80 ჰა, რომლის თითოეულ ჰექტარზე იყო შრომითი დანახარჯი 697 კაცდღე და ფულად-მატერიალურად 4020 მან.

როგორც მონაცემებიდან ჩანს, კომპლექსური მექანიზაციის პირობაში 1 ჰა-ზე საშუალოდ 508 კაცდღით და 1849 მან. ნაკლები დაიხარჯა, ვიდრე კომპლექსური მექანიზაციის გარეშე დამუშავებული პლანტაციისათჳს ჰექტარზე საშუალოდ.

შესაბამისი მაჩვენებლები 1970 წელს კომპლექსური მექანიზაციისათჳს 1.8 ჰა პლანტაციაზე ასეთია: საშუალოდ ჰექტარზე დაიხარჯა 145 კაცდღე და 2415 მან., ხოლო ხელით დამუშავებული 81 ჰა პლანტაციის თითოეულ ჰექტარზე 682 კაცდღე და 4659 მან., ე. ი. 536 კაცდღითა და 2274 მან. ნაკლებით მეტი, ვიდრე კომპლექსური მექანიზაციით დამუშავებულ თითოეულ ჰექტარზე—დანახარჯები ნაკლებია 468 კაცდღითა და 2377 მან. ნაკლებით.

1975 და 1976 წლებში საშუალოდ კომპლექსური მექანიზაციით დამუშავებულ თითოეულ ჰექტარზე შრომითი დანახარჯი შეადგენს 149 კაცდღეს, ხოლო ფულად-მატერიალური დანახარჯი—2068 მან. მაშინ, როდესაც ხელით დამუშავებულ თითოეულ ჰექტარზე დაიხარჯა 587 კაცდღე და 4486 მან. კომპლექსური მექანიზაციით დამუშავებულ თითოეულ ჰექტარზე დანახარჯები ნაკლებია 438 კაცდღითა და 2388 მან. ნაკლებით.

ლესიჭინეს ჩაის საბჭოთა მეურნეობაში (ჩხოროწყუს რაიონი) 1970 წელს კომპლექსური მექანიზაციის სამუშაოები სრულდებოდა 20 ჰა პლანტაციაში, სადაც ჰექტარზე საშუალოდ დაიხარჯა 137 კაცდღე და 1939 მან., ხელით დამუშავებულ 182 ჰა-ის თითოეულ ჰექტარზე კი საშუალოდ 412 კაცდღე და 2260 მან. დაიხარჯა. დანახარჯების ეკონომია, კომპლექსური მექანიზაციის სასარგებლოდ შეადგენს 265 კაცდღესა და 270 მან. ნაკლებს.

1974 წელს კომპლექსური მექანიზაციით და ხელით დამუშავებაში იყო ფართობთა თანაფარდობა არ შეცვლილა, შრომითი და ფულად-მატერიალური დანახარჯები კი ასეთია: კომპლექსურად მექანიზებულ თითოეულ ჰექტარზე 405 კაცდღე და 2280 მან., კომპლექსური მექანიზაციით დამუშავებულ ჰექტარ პლანტაციაზე საშუალოდ 275 კაცდღითა და 1091

მანეთით ნაკლება ხელით დამუშავებული პლანტაციის ერთ ჰექტარზე გაწეულ დანახარჯებთან შედარებით.

ამავე საბჭოთა მეურნეობაში 1975—1976 წლებში პლექსური მექანიზაცია იძლევა პლანტაციის ერთეულზე—1 ჰა-ზე 287 კაცდღისა და 2367 მანეთის ეკონომიას.


წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში (წალენჯიხის რაიონი) 1970 წელს ჩაის ფოთლის კრეფა მექანიზაციით წარმოებდა 350 ჰექტარ პლანტაციაზე, საშუალოდ ჰექტარზე დაიხარჯა 89 კაცდღე და 684 მან., ამავე პერიოდში ხელით საკრეფი 273 ჰა პლანტაციის თითოეულ ჰექტარზე საშუალოდ დაიხარჯა 382 კაცდღე და 1474 მან. მიღებულ იქნა ეკონომია 293 კაცდღისა და 790 მანეთის მექანიზებული წესით კრეფისას ხელით კრეფასთან შედარებით.

1974 წელს მექანიზებულმა კრეფამ საშუალოდ ერთ ჰექტარზე საბჭოთა მეურნეობას ხელით კრეფასთან შედარებით მისცა 284 კაცდღისა და 1527 მანეთის ეკონომია, ხელით საკრეფი პლანტაციის თითოეულ ჰექტართან შედარებით.

საშუალოდ 1975—1976 წლებში მექანიზებული კრეფის უპირატესობა ხელით კრეფასთან შედარებით ფართობის ერთეულზე—ერთ ჰექტარზე შეადგენს 305 კაცდღესა და 1582 მანეთს.

პროდუქციის ერთეულზე 1 ცენტნერ ხარისხოვან ჩაის ფოთოლზე შრომის დანახარჯების ანალიზი გვიჩვენებს, რომ კომპლექსური მექანიზაციის პირობებში გაცილებით მცირდება შრომის დანახარჯი, ასე, მაგალითად, 1970—1977 წლებში საშუალოდ ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში 1 ც პროდუქციის წარმოებაზე კომპლექსური მექანიზაციის პირობებში დაიხარჯა 2,0 კაცდღე, ხოლო ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ხელით დამუშავებისას 8,1 კაცდღე. ე. ი. 2-ჯერ მეტი, ამავე პერიოდში წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში, კომპლექსური მექანიზაციის პირობებში 1 ც ხარისხოვანი ფოთლის წარმოებაზე დაიხარჯა საშუალოდ 2,2 კაცდღე, მაშინ როდესაც დიდიჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში, ხელით მუშაობის პირობებში იგივე მაჩვენებელი 6,8 კაცდღეს შეადგენს. ონარიის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში კომპლექსური მექანიზაციის გამოყენებით 1 ც პროდუქციაზე შრომის დანახარჯი შეადგენს 3,4 კაცდღეს, ხოლო ხეცერის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ხელით მუშაობის პირობებში აღნიშნული მაჩვენებელი თითქმის 2-ჯერ მეტია და შეადგენს 6,6 კაცდღეს.

სამეგრელოს რაიონების მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობებში 1 ც ხარისხოვან ჩაის ფოთლის წარმოებაზე კომპლექსური მექანიზაციის პირობებში შრომის დანახარჯის საშუალო მაჩვენებელი (ზემოაღნიშნულ წლებში) 2,6 კაცდღეს შეადგენს, ხოლო ხელით მუშაობის პირობებში საშუალოდ 1 ც პროდუქციის წარმოებაზე 6,8 კაცდღე დაიხარჯა.




ფართობის ერთეულზე—1 ჰა-ზე შრომის საშუალო დანახარჯი. სასაბჭოთა მეურნეობებში, კომპლექსური მექანიზაციისა და ხელით შრომის პირობებში თითქმის იგივე თანაფარდობით ხასიათდება. ერთი აც 1 ც ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოებაზე.

მაგე 1970—77 წლებში მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობებში მექანიზებული წესით დამუშავებულ თითოეულ ჰექტარ პლანტაციაზე საშუალოდ მოღის 0,52 მექანიზატორი, ხოლო ხელით დამუშავებულ თითოეულ ჰექტარზე საშუალოდ 2,54 მუშა, ე. ი. 4,8-ჯერ მეტი.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავსაყენათ, რომ კომპლექსური მექანიზაციის გამოყენება თითქმის 5-ჯერ ამცირებს ჩაის ხარისხოვანი ფოთლის წარმოებაში საჭირო მუშახელის მოთხოვნილებას.

როგორც ვხედავთ, კომპლექსური მექანიზაციის გამოყენების ეფექტურობა აშკარაა და მისი გამოყენების შესაძლებლობათა რეზერვების ამოვლინება და ეფექტიანად გამოყენება მეჩაიეობის მეურნეობათა მთავარ საბრძოლო ამოცანად უნდა ჩაითვალოს. ძირითადი სახის სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია საშუალებას იძლევა წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის, თვითღირებულების შემცირება კი თავის მხრივ განაპირობებს მეჩაიეობის დარგის და მთლიანად მეურნეობის რენტაბელობის ამაღლებას. სამეგრელოს რაიონების მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობებში, 1970—1977 წლებში, 1 ც ჩაის ხარისხოვანი ფოთლის თვითღირებულება მანქანური კრეფის პირობებში საშუალოდ არ აღემატება 38,3 მანეთს, მაშინ როდესაც ხელით კრეფისას იგივე ხარისხის მქონე 52,31 მანეთს შეადგენს, ე. ი. სხვაობა 1 ც ხარისხოვანი ჩაის ფოთლის თვითღირებულებაში შეადგენს 19,01 მანეთს, მექანიზებული კრეფის სასარგებლოდ.

ჩაის პლანტაციის მოვლის სამუშაოთა მექანიზაცია და ხარისხოვანი ფოთლის მანქანური კრეფა, ამცირებს ფულად-მატერიალურ დანახარჯებს, თუ 1970 წელს რესპუბლიკის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობებში ერთი ცენტნერი ხარისხოვანი ფოთლის თვითღირებულება საშუალოდ 42 — 67 მანეთს უდრიდა მაშინ, როდესაც მექანიზებული წესით მოკრეფილსა 39,24 მანეთს არ აღემატებოდა. ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოებაში კომპლექსური მექანიზაციის დანერგვამ მოგვცა შესაძლებლობა ჩაის წარმოების გადიდების, შრომის ნაყოფიერების ამაღლების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების და მის საფუძველზე მოგებისა და რენტაბელობის ზრდის. კომპლექსური მექანიზაციის დანერგვის შედეგად მიიღება დიდი ეკონომიკური ეფექტი. მაგალითად, ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში 1973 წელს ფულადი შემოსავალი, 1968 წელთან შედარებით თითქმის ორჯერ გაიზარდა, შესაბამისი მაჩვენებელი ზოვიერთ საბჭოთა მეურნეობაში გაიზარდა 1,5-ჯერ. რიგი საბჭოთა მე-



ურნეობებისათვის, კომპლექსური მექანიზაციის დანერგვითა და მანქანებისა და მექანიზმების ეფექტური გამოყენებით, დანახარჯები წმინდა შემოსავლის მკვეთრი გადიდება. ასე, მაგალითად, საბჭოთა მეურნეობაში 1973 წელს 1968 წელთან შედარებით წმინდა შემოსავალი 1552,4 ათასი მანეთით გაიზარდა და მიაღწია 1947,7 ათას მანეთს. შესაბამისად გაიზარდა რენტაბელობის დონე და 150%-ს მიაღწია: 1974—1977 წლებში ამავე მეურნეობაში რენტაბელობის დონე საშუალოდ 156%-ს აღწევს.

წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში - რენტაბელობის დონე 1973—წელს 100,3%-ია, 1974—1977 წლებში იგი საშუალოდ 125,7%-ს აღწევს.

ფაქტური მასალები ნათელყოფენ, რომ უკანასკნელ წლებში ინგოლისა და წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობებში რენტაბელობის მაღალი დონე განაპირობა ჩაის პლანტაციის მოვლითი სამუშაოებისა და კრეფის მექანიზაციის მაღალმა დონემ, რომელიც შესაბამისად 85 და 75% შეადგენს. დანარჩენ საბჭოთა მეურნეობებში (ხეცერის, ნარაზენის, ონარიის, დიდიჭყონის და სხვ.), სადაც მექანიზაციის დონე 10—15%-ია, რენტაბელობაც შესაბამისად უმნიშვნელოდ იზრდება.

შრომის ნაყოფიერების გადიდების, ჩაის ხარისხოვანი ფოთლის თვითღირებულების შემცირებისა და წარმოების რენტაბელობის ამაღლებისათვის აუცილებელია მეჩაიეობაში ძირითადი სახის სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციით შესრულება, მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს მექანიზაციის უფრო ფართოდ გამოყენებას, ამასთან ერთად, არასწორად მიგვაჩნია ცოცხალი გამწევი ძალის აბსოლუტური უგულებელყოფა, რასაც ცალკეულ საბჭოთა მეურნეობაში აქვს ადგილი.



УДК 330.115(63)

ზ. ელიზბარაშვილი

სოფლის მეურნეობაში მათემატიკური მეთოდების გამოყენების
პერსპექტივები

ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდის და გამოთვლითი ტექნიკის გამოყენება განვითარებას თანამედროვე ეტაპზე გამოწვეულია სახალხო მეურნეობის და მათ შორის სოფლის მეურნეობის დაგეგმვისა და მათთვის სრულყოფის, წარმოების ეფექტურობის შემდგომი ამოღების შედეგებით.

საბჭოეთის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებში და მათე ხუთწლედში სახალხო მეურნეობის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებებში ხაზგასმითაა მითითებული, რომ ამ მხრივ უნდა ფართო მასშტაბით უნდა გაიშალოს.

ამჟამად სოფლის მეურნეობის განვითარება რესპუბლიკაში ხასიათდება წარმოების განუხრელი ინტენსიფიკაციით, კონცენტრაციით და სპეციალიზაციით, შრომის შემდგომი დანაწილებით, დარგთაშორისი და რეგიონალური კავშირების გაფართოებითა და გართულებით.

მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება უამრავ ბუნებრივ და ეკონომიკურ ფაქტორთან არის დაკავშირებული. ამიტომ ძნელია სას.-სამ. წარმოების მართვა. ამის გარდა, ჩვენი სოფლის მეურნეობა სულ უფრო გაზრდილ მოთხოვნილებებს უყენებს წარმოების დაგეგმვისა და ორგანიზაციის გაუმჯობესებას, მისი ტექნოლოგიის სრულყოფას. წარმოების განუხრელი ინტენსიფიკაცია გულისხმობს არსებული ტექნოლოგიის სრულ, უფრო მიზანშეწონილ და ეფექტურ გამოყენებას, აგრეთვე თითოეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, ისევე როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, სპეციალიზაციის გაღრმავებას, შრომის შემდგომ დანაწილებას, ტექნიკური აღჭურვილობის ზრდას. ყველაფერი ეს ართულებს საწარმოო კავშირებს, ზრდის წარმოებაზე მოქმედ ფაქტორთა რაოდენობას და, მაშასადამე, ზუსტ კოორდინაციას,

ობტიმალურ დაგეგმვას, მეცნიერულად დასაბუთებული ნორმატივების დამუშავებასა და სხვა ღონისძიებებს მოითხოვს.

ცნობილია, რომ სოფლის მეურნეობას, სახალხო მეურნეობასა და დარგებთან შედარებით რიგი არსებითი თავისებურებანი აქვს. მათემატიკური მეთოდების გამოყენების თვალსაზრისით მათგან აუცილებელია აღვნიშნოთ შემდეგი:

პირველი — სოფლის მეურნეობა სხვა დარგებთან შედარებით მაინც ყველაზე მეტად არის დაკავშირებული ბუნებრივ პირობებთან, წარმოებას აქ სეზონური ხასიათი აქვს. ამიტომ აუცილებელი ხდება სხვადასხვა დარგების შეთავსების აუცილებლობა, როგორც წარმოების სეზონურობა ისე მრავალდარგიანობა დამატებით სიძნელეებს წარმოქმნიან წარმოების დაგეგმვის საქმეში.

მეორე — სოფლის მეურნეობაში ათეულობით პროდუქციის სახე იწარმოება, ყველა ისინი ხშირად ერთი და იგივე საწარმოო რესურსებით, შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით, მიწითა და შრომით მიიღებიან. ამასთან წარმოებას მასშტაბურობა ახასიათებს. სას.-სამ. საწარმოები გაფანტულია ვეებერთელა ტერიტორიაზე.

მესამე — სოფლის მეურნეობა, სხვა დარგებთან შედარებით უფრო დამოუკიდებელი და განკერძოებულია. სას.-სამ. საეარგულთა ფართობების და შრომითი რესურსების მოცულობები მოცემულ მომენტში, მოცემულ ზონაში შეიძლება განისაზღვროს ასე თუ ისე ზუსტად. ისეთი რესურსები კი როგორცაა საკვები, თესლი, სარგავი მასალა, ორგანული სასუქი, იწარმოება თვით სოფლის მეურნეობაში და მათი ზუსტი, მოსალოდნელი მოცულობის და თვითღირებულებების განსაზღვრა ძნელია. ამავე დროს, დღეს, სოფლის მეურნეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული მრეწველობასთან და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან, რომლებიც მას ტექნიკას, საწვავს, მინერალურ სასუქებს, შხამქიმიკატებს, სარემონტო და სამშენებლო მასალებს მიაწვდიან. ამ საწარმოო რესურსების მოცულობები განისაზღვრება დარგთაშორისი საბალანსო კავშირებით. ამიტომ მათი მოსალოდნელი მოცულობების დადგენა მოცემული პერიოდისათვის გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული.

მეოთხე — სოფლის მეურნეობა აწარმოებს საკვებ პროდუქტებს და ნედლეულს მრეწველობისათვის. რომელიც გადაამუშავების შემდეგ მაინც უშუალოდ მომხმარებელთან მიდის და ამიტომ წარმოების საჭირო მოცულობის დადგენა სოფლის მეურნეობაში ყოველი მოცემული მომენტისათვის შედარებით იოლია.

ყველაფერი ეს ერთად აღებული ძალზე ართულებს ამ დარგის დაგეგმვასა და მართვას, გადააქცევს მას რთული ალბათობის სისტემად, რომლის სამართავად საჭიროა გეკონდეს პოლიტეკონომიური, ტექნიკური, საწარმოო და ადმინისტრაციული ინფორმაცია, რომლის მასა ძალზე დიდი მოცულობისაა და დიდ დროსაც მოითხოვს გადამამუშავებისათვის.

გართულდა ამ დიდი მასივიდან ისეთის ამორჩევა, რომელიც სამუა-
ლებს მოგვცემს მივიღოთ სწორი გადაწყვეტილება. ადამიანი ემოციუ-
რია, ემოცია კი ცუდი მრჩეველია. სწორი გადაწყვეტილების მიღება
ლია როცა წარბი ინფორმაცია გვაქვს და მაშინაც, როცა იგივე
ინტელიციტთა და გამოცდილებით მიღებული გადაწყვეტილება არ არის.

მეორე მხრივ, ჩამოთვლილი თავისებურებანი სოფლის მეურნეობის
ეკონომიკას ახასიათებენ ისეთ სისტემად, სადაც მათემატიკური მეთოდები
გამოყენების ფართო არეალს უნდა პოულობდეს. ამიტომ არის, რომ ამ
გარემოებამ მიიქცია სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა ყურადღება.
ამასთან დაკავშირებით, საჭიროა ზუსტი მეთოდები, საანგარიშო აპარატი
და სისტემები, რომლებიც დაგვეხმარებიან დავგეგმოთ და ვმართოთ სა-
სოფლო-სამეურნეო წარმოება ზუსტად და სწრაფად.

ასეთ მეთოდებს წარმოადგენს ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდე-
ბი და მოდელირება. ასეთ აპარატს—ელექტრონულ-გამომთვლელი მან-
ქანა, სისტემას—მათზე დაყრდნობილი წარმოების დაგეგმვის, აღრიცხვი-
სა და ანალიზის საინფორმაციო-საანგარიშო სისტემა და მართვის ავტო-
მატური სისტემები.

ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების სავანს ეკონომიკური მეცნი-
ერება წარმოადგენს. როგორც ცნობილია, ეკონომიკის ქვეშ იგულისხმება
მომპირნეობა, ანგარიშთანობა, ხელსაყრელობა, ანუ რესურსების მინიმა-
ლური დანახარჯებით მაქსიმალური რაოდენობის პროდუქციის წარმოების
ყველაზე ეფექტური ვარიანტის ძიება.

ისე, როგორც ბუნებისმეტყველების დარგებში მათემატიკის გამო-
ყენება ექვემდებარება შესაბამის მეცნიერებათა პრინციპებს და საფუძვ-
ლებს, ჩვენთანაც, ეკონომიკურ გამოკვლევებში, წარმოების დაგეგმვაში,
ორგანიზაციასა და მართვაში მათემატიკური მეთოდების გამოყენებისას
აუცილებლად ეკონომიკური მეცნიერება უნდა იყოს პირველი. რადგან
ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდები დამოუკიდებელ მეცნიერებას კი არ
წარმოადგენს, არამედ ცოდნის, შემეცნების ახალ დარგს, რომელიც ეკო-
ნომიკური მეცნიერების ჩარჩოებში წარმოიშვა და თავის თეორიულ კონ-
ცეფციებს მოსგან უნდა იღებდეს.

დღეს ეკონომიკური მეცნიერება მთლიანად დიდ როლს ანიჭებს რა
მათემატიკურ მეთოდებს. არ უნდა ქმნიდეს მათგან „მათემატიკის
კულტს“.

სოფლის მეურნეობის წარმოების დაგეგმვაში, ორგანიზაციასა და
მართვაში ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების წარმატებით გამოყე-
ნება შეიძლება ამ დარგებში დაგროვილი გამოცდილების შემოქმედებით
გამოყენებისას. ეს ისეთი მნიშვნელოვანი პირობაა, რომელიც გარანტიას

გვაძლევს დაცული ვიყოთ სქოლასტიკური, უნაყოფო, აბსტრაქტული მოღელმარებისაგან და მეთოდებისაგან.

უახლოეს 10—15 წელს დაგროვილმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ეკონომიკურ მეცნიერებაში მათემატიკური მეთოდების აპარატი, მათემატიკური ნიშნებით, სიმბოლოებით, ფორმულებითა და გამოსათვლელი წესების ალგორითმებით და სხვა უჩვეულო ატრიბუტების დანერგვამ ბევრს საშუალება მისცა შენიღბოს კვლევითი ეკონომიკური მეცნიერების უცოდინარობა და ფსევდომეცნიერულ ვარჯიშს ეწეოდეს.


მეორე მხრივ, მათემატიკური მეთოდების პრაქტიკაში დანერგვა ბევრმა აღიქვა, როგორც ისეთი მეცნიერული აპარატი. ინსტრუმენტი, რომელიც პირდაპირ შეიძლება იქნეს გამოყენებული, საჭიროა მხოლოდ ავითვისოთ მასზე მუშაობის ტექნიკა. ეს გამოიხატა მათემატიკისადმი სუფთა სამომხმარებლო მიდგომაში. თითქოს იგი მზა მეთოდების მიმწოდებელი იყოს, საჭიროა მხოლოდ მონახო და გამოიყენო შენს საქმეში.

ეს ორმხრივი საშიშროება—მათემატიკური აპარატის გარე ატრიბუტებით გატაცება და ამოსახსნელ ამოცანათა ეკონომიკური შინაარსისაგან მოწყვეტა გამოვლინდა უკანასკნელ წლებში და სერიოზული საფრთხის წინაშე დააყენა ამ ახალი მეცნიერული მიმართულების შემდგომი ბედ-იღბალი. ბევრს დაეკარგა იმის რწმენა, თუ რა დიდი როლის შესრულება შეუძლია მათემატიკას ჩვენს მეცნიერებაში.

უნდა განვასხვავოთ მათემატიკური მეთოდების ორი ასპექტი: გამოთვლითი და შემეცნებითი. ბევრი ფიქრობს, რომ მათემატიკა იმიტომ ამდიდრებს ეკონომიკას, რომ მისი საშუალებით უკეთ და სწრაფად გამოითვლებათ, მაგრამ ავიწყდებათ, რომ ამ უკანასკნელის გამოთვლითი ასპექტის როლი (თუმცა ამასაც დიდი მნიშვნელობა აქვს) მეორეხარისხოვანია მის შემეცნებით ასპექტთან შედარებით.

მუშავდება ამა თუ იმ ეკონომიკური ხასიათის ამოცანის გაანგარიშების უამრავი ალგორითმი, მაგრამ ეს უკანასკნელი რომ საანგარიშო პროცედურაა და განყენებულა ამოსახსნელი ამოცანის შინაარსობრივი არსისაგან, რომ იგი სრულადაც არაა „დაზუსტებული“ მეთოდიკა, ამას ბევრი ვერ ხედავს. იმისათვის, რომ გამოვიყენოთ სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში მათემატიკური მეთოდები უნდა კარგი აგროეკონომისტები ვიყოთ და სრულყოფილად ვვლობდეთ კვლევის ეკონომიკურ მეთოდებს.

ეკონომიკურ-მათემატიკურ მეთოდებსა და მის კვლევის საგანს, კერძოდ სოფლის მეურნეობის ეკონომიკას შორის მყარი ხიდი, სამუშაოდ, ჯერ კიდევ არაა გადებული. იმიტომ ახლა, მთავარი ამოცანა ის არის, რომ ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდები ეკონომიკურ გაანგარიშებათა ინსტრუმენტად ეკონომიკური სინამდვილის მათემატიკური აპროქიმებით შემეცნების ინსტრუმენტად გადავაქციოთ. არ შეიძლება სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში ხარისხობრივი და რაოდენობრივი ანალიზის დაპი-



ისპირება ან ერთმანეთით შეცვლა. მათ შორის დიალექტიკური ურთი-
 რთკავშირი უნდა არსებობდეს. ხარისხობრივი ანალიზი, ლოგიკური
 მსჯელობა ხსნის კავშირის მიზეზებს, ადგენს თუ რით არის გამოწვეული
 ეს თუ ის შედეგი, მაგრამ მხოლოდ მათემატიკის, მხოლოდ რაოდენობრივი
 მეთოდებით შეგვიძლია დავადგინოთ ამ მიზეზების რაოდენობრივი
 მარე—სამუდევრო მაჩვენებელზე რა ხარისხით, რა რაოდენობით მოქმე-
 დებს ესა თუ ის ფაქტორი და რამდენით მეორე. ამით ეკონომიკური მეც-
 ნიერება ზუსტდება და საშუალება გვიძლევს ყოველგვარი სამეურნეო
 მოცანა გადაწყვეტოთ არა საერთო მსჯელობით, დეკლარაციებით, სუბ-
 იექტიური მოსაზრებებით, არამედ მათემატიკური აპარატით მიღებული
 ურთიწნა პასუხით, რომელიც შეუზღუდველი აუცილებლობით არის გა-
 რწმუნებული.

ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდები და გამოთვლითი ტექნიკა
 პირტო იმისათვის კი არ არიან მოწოდებულნი, რომ მექანიზებული გახა-
 დონ საგეგმო. სანალიზო და საადრიცხო საშუაოები, ეს იმის ტოლფა-
 სიანი იქნებოდა, რომ ახალი ინსტრუმენტარი მოგვევრა იმ ძველი
 ტექნოლოგიისათვის, რომელიც ძირითადად ხელის მეთოდებზე და საშ-
 უალებზე არის ორიენტირებული. ამ მეთოდების გამოყენებით ძირეუ-
 ლად უნდა სრულდებოდეს გეგმის შემუშავების, ადრიცხვის და ანალიზის გა-
 ეტების ტექნოლოგია, სოფლის მეურნეობის ეკონომიკის ყველა დარგში
 უნდა შევქმნათ ოპტიმალურობის პრინციპის რეალიზაციის სრული შე-
 აძლებლობანი.

უკანასკნელ წლებში ჩატარებული გამოკვლევებით მიღებული შედე-
 გების განზოგადება საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ ზოგიერთი დასკ-
 ენა სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში მათემატიკური მეთოდების გამო-
 ყენების მიმართულებათა შესახებ:

პირველი მიმართულება — ესაა მათემატიკური მეთოდებისა და
 ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების გამოყენება რესპუბლიკის
 სოფლის მეურნეობის საერთო დარგობრივი დაგეგმვის საქმეში. ამ მიმა-
 რთულების ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემაა სოფლის მეურნეობის
 წარმოების ოპტიმალური განლაგება და სპეციალიზაცია რესპუბლიკის
 ცალკეულ რაიონსა და მეურნეობას შორის. წარმოების განლაგებისა და
 სპეციალიზაციის ოპტიმიზაციის მოდელირებით შესაძლებელია გადაწყვე-
 ტილი იქნეს აგრეთვე სას.-სამ. პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის
 განაწილების გეგმის ოპტიმიზაციის საკითხი. ამ რეგიონზე გადასაწყვეტ
 მოცანებში შედის სასუქების და შხამქიმიკატების რაიონებსა და მეურ-
 ნეობებს შორის ოპტიმალური განაწილების ამოცანა, სას.-სამ. საწარმო-
 თა რაკიონალური სიდიდის და ფონდების სტრუქტურის განსაზღვრა, მი-
 წის და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის კადასტრის ჩატარებასთან და-
 კავშირებულ სამუშაოთა მექანიზაცია, კაპიტალურ დაბანდობათა ოპტი-
 მალური განაწილების, აგროსამრეწველო ობიექტების ოპტიმალური გა-

ნაწილების ამოცანა და მრავალი სხვ. სამუშაოთა მოცულობებით და სხვ. თულით ეს ისეთი ამოცანებია, რომლებსაც დიდი კოლექტივი უნდა ასრულებდეს.

მეორე მიმართულება — მათემატიკური მეთოდების და ექსპერიმენტული-გამომთვლელი მანქანების გამოყენება წარმოების შიდასამართლო და გეგმვისა და ორგანიზაციის პრობლემათა გადაწყვეტისას. დამუშავებულია უამრავი ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი, რომლებიც მეურნეობის სამეურნეო საქმიანობის თითქმის ყველა მხარეს მოიცავს. ეს ახსნება იმით, რომ ამ კლასის მოდელების შექმნა ხელმისაწვდომია მცირე კოლექტივისა და ცალკეული მკვლევარებისათვისაც კი.

დღეისათვის ყველაზე კარგად, პრაქტიკაში დანერგვის დონეზე, დამუშავებულია ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელები და მათი ამოხსნის მანქანური პროგრამები ამოცანებისათვის, რომლებიც ეხება სას.-სამ. საწარმოთა სამეურნეო-საორგანიზაციო, პერსპექტიულ და წლიური საწარმო-საფინანსო გეგმების ოპტიმიზაციას; ბრიგადების, ფერმების, განყოფილებების საწარმოო დავალებების, სამანქანო-სატრაქტორო პარკის სტრუქტურის, გამოყენებისა და კომპლექტაციის, ტვირთზიდვის მარშრუტების, საკვების წარმოებისა და გამოყენების ოპტიმიზაციის ამოცანებს და სხვ. დამუშავებულია აგრეთვე მეურნეობაში დარგთა და კულტურათა ოპტიმალური შეთანაწყობის მოდელი; ჯოგის ოპტიმალური სტრუქტურის და პირუტყვისათვის ოპტიმალური ულუფების განაგარების მოდელები და სხვ.


ჩამოთვლილ მოდელთა უმრავლესობის ექსპერიმენტული შემოწმება, წარმოებაში აპრობაცია უკვე დამთავრებულია და ბევრგან ინერგება კიდევ. მიღებული შედეგები მათ მაღალ ეკონომიკურ ეფექტიანობას ამტკიცებს.

მიუხედავად ამისა, დამუშავებული მოდელები პრაქტიკაში ძალზე ნელა ინერგება. რიგ ობიექტურ მიზეზებთან ერთად (როგორცაა ის, რომ ცალკეულ სას.-სამ. საწარმოებში არა გვაქვს შესაძლებლობა დავდგათ ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანები და დავაკომპლექტოთ შესაბამისი კადრებით, რადგან ეს მეტად ძვირად ღირებული დონისძიება იქნებოდა), განსაკუთრებულად აღსანიშნავია ის, რომ მაინც ბევრი მოდელი ვერ აღწერს რეალურ სინამდვილეს. ეს ხშირ შემთხვევაში გამოწვეულია იმით, რომ ისინი მუშავდება ისეთი სპეკიალისტების მიერ, რომლებიც იცნობენ მათემატიკურ მეთოდებს, მაგრამ ძალზე ზერეულე წარმოდგენა აქვთ სოფლის მეურნეობის წარმოებაზე და მის ეკონომიკაზე.

ასეთი და მისი ანალოგიური პრობლემების გადაწყვეტა შესაძლებელია სოფლის მეურნეობის მართვის დარგობრივი—ავტომატიზებული სისტემის შექმნით რესპუბლიკის მასშტაბით, რომელშიც შეეა სოფლის მეურნეობის წარმოებასთან დაკავშირებული ყველა სამინისტროს და უწყების (პროდუქტების სახელმწიფო დამზადების კომიტეტი, წყალთა მეუ-

ობის სამინისტრო, რ/გ „საქსოფლტექნიკა“, „სოფლმშენი“ და სხვა) ინფორმაციო სისტემები და გამოთვლითი ცენტრი.

ფაქტიურად ესაა ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდებისა და ტექნიკური პრობლემურ-გამომთვლელი მანქანების გამოყენების მესამე მიმართულება.



ასეთი სისტემის შექმნაზე მუშაობს მრავალი სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტების კოლექტივები. ამ სისტემაში ფუნქციონალური ქვესისტემის სახით შევა ყველა იმ მოდელის ამოხსნის, გაანალიზების ავტომატიზებული სისტემები, რომლებზეც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი.

მაგრამ ასეთი სისტემის შექმნას არა ერთი და ორი წელი დასჭირდება. განსაკუთრებით ძვირი და ტექნიკურად ძნელი განსახორციელებელი ისეთი კავშირის დამყარება მართვის დარგობრივ ავტომატიზებულ სისტემაშია და რაიონებს შორის, რომელიც საშუალებას მოგვცემს ავტომატურად მივიღოთ ამ უცანასკნელთაგან საჭირო ინფორმაცია. მისი განხორციელება რისკუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ამოხსნათვის გამოყოფილი სახსრების გაერთიანებული გამოყენებით თუ იქნება შესაძლებელი. კავშირის ასეთი სისტემა მხოლოდ ერთი უნდა იყოს და მოემსახუროს ყველა დარგობრივ ავტომატიზებულ სისტემებს.

მიუხედავად ამისა, ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდებისა და პრობლემურ-გამომთვლელი მანქანების გამოყენება უკვე ახლავს უნდა დაიწყოს ისეთი პრაქტიკული პრობლემების გადასაწყვეტად, რომლებიც დამყარებულია წლიური საწარმოო-საფინანსო გეგმების და ანგარიშების, აგრეთვე პერიოდული სტატისტიკური ანგარიშების სხვა ინფორმაციაზე, რომელსაც კავშირგაბმულობის არსებული არხებით ფოსტითა და ტელეფონით ვღებულობთ.

დღეისათვის უფრო რეალური და პრაქტიკაში განსახორციელებელია იმ მიზნით რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შექმნას არაავტომატიზებული დარგობრივი საინფორმაციო-გამოთვლითი სისტემა 80—100 საშტატო ერთეულით, რომელიც უნდა დაკომპლექტდეს სოფლის მეურნეობის წარმოების მცოდნე მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით თვით სამინისტროდან, მასში შემავალი ტრესტებიდან და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებიდან (ეკონომისტები, ბუღალტრები, აგრონომები, ზოოტექნიკოსები, ინჟინერ-მექანიკოსები და სხვა) დამატებით ასაყვანი იქნება მხოლოდ 20—30 კაცი მანქანის მომსახურე ინჟინრების, ტექნიკოსების, აგრეთვე მათემატიკოსების, პროგრამისტების, პერატორებისა და სხვათა სახით. მასში უნდა გაერთიანდეს სამინისტროსთან ჩამოყალიბებული პროგნოზირებისა და ინფორმაციის, აგრეთვე პრობლემური მეცნიერული ორგანიზაციის სამმართველოებიც.

იმისათვის რომ საინფორმაციო გამოთვლითი ცენტრი გახდეს დამოუკიდებელი სამართავი-საწარმოო ერთეული, იგი აუცილებლად საინსტრუმენტი უნდა შედიოდეს, ეკისრებოდეს პასუხისმგებლობა მისი ორგანიზაციის სრულყოფის საქმეში და ამავე პირობებში ჰქონდეს ბრძანების სახით შეცვალოს საინფორმაციო ფორმები, მათი მოძიების ორგანიზაცია, დანერგოს ესა თუ ის შემოწმებული სამუშაო და სხვ.

ამასთან მიზანშეწონილი იქნება, თუ ასეთი სისტემა ტერიტორიულად შეიქმნება რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან, ფაქტიურად ხომ მაინც მთავარად უნდა იყოს საინფორმაციო-გამოთვლითი ცენტრის მოვალეობით ინსტიტუტთან, მაშინ უფრო მეტი საფუძველი გვექნება მოეთხოვოთ ამ უკანასკნელს მეტი მეცნიერული დასაბუთება ჰქონდეს დამუშავებულ რეკომენდაციებს და სხვა პროდუქციას.

ამასთან დაკავშირებით, ინსტიტუტის მშენებარე კორპუსში ამთავოვებ უნდა იყოს დაგეგმილი გამოთვლითი ცენტრი უახლესი ტიპის ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანით.

ენიდან ჯერჯერობით სოფლის მეურნეობის მართვის და საბუთბრუნვის ორგანიზაცია არ იცვლება, საგეგმო-ეკონომიკურ განგარიშებათა უბრალო მექანიზაცია არსებით ეფექტს არ მოგვცემს, შეიძლება პირიქით, გააძვიროს კიდევ სამმართველო აპარატის შენახვის ხარჯები. ასეთ პირობებში ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანა ფაქტიურად დიდ არითმომეტრის ფუნქციას ასრულებს. მაგრამ თუ საინფორმაციო-გამოთვლით ცენტრში გადავალთ საგეგმო-ეკონომიკური ამოცანების ოპტიმიზაციაზე, მაშინ ეკონომიკური ეფექტი უფრო თვალსაჩინო და შესაბამისი გახდება. საინფორმაციო-გამომთვლელი ცენტრში შესაძლებლობა გვეძლევა დარგის დაგეგმვის და მართვის ორგანიზაციის ფორმები მოვარგოთ ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანის შესაძლებლობას.

ასეთი მორგება გამოიხატება იმაში, რომ შევადგინოთ და, სულ ცოტა უკანასკნელი 5 წლის მონაცემების საფუძველზე შევქმნით, შემდეგ კი ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანის სამახსოვროში შევიანახებთ ე.წ. „მუდმივ“ მონაცემებს—სტატისტიკურ, საცნობარო-ნორმატიულ ინფორმაციას. მათი მრავალჯერადი და სისტემატურა გამოყენება, აგრეთვე საინსტრუმენტი და სამართავი ობიექტებს შორის დოკუმენტთა ნაკადის ორგანიზაცია ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანის მეშვეობით, სერიოზულ დადებით გავლენას მოახდენს მართვის ფორმების სრულყოფაზე.

ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანის სამახსოვროში სანორმატიუოსაცნობარო ბაზის შექმნით მართვის ორგანოების ქვეგანყოფილებს გამოვითვისუფლებთ ბევრი შრომატევადი სამუშაოდან და მათ მეტი დრო დარჩება ანალიზური სამუშაოებისათვის. ამას გარდა ანალიზისა და გადა-



ქართული
წიგნიერება

ტილებს მიღების პროცესში ერთი და იგივე სტატისტიკური და ნო-
ტიულ-საცნობარო ცნობების გამოყენება საშუალებას მოგვცემს აუ-
ლოთ ყველა საგეგმო-სამმართველო სამუშაოთა შეთანხმებულობის

როგორც ირკვევა, დარგის ერთიანი საინფორმაციო-გამოთვლითი სი-
სის შექმნას აფერხებს აგრეთვე ამ საქმისადმი ვიწრო უწყებრივი მი-
მის. თითოეული სამინისტრო და კვლევითი ინსტიტუტი ცდილობს
შეს თავისი გამოთვლითი ცენტრი, იმ დროს, როცა მანქანის დატვირ-
ვის არავითარი საშუალება არა აქვს. რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტ-
რო და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ამის შემდეგ მაინც არ უნდა
აქვს უფლება სოფლის მეურნეობის მომსახურე სამინისტროებს,
უბნებს და კვლევით ინსტიტუტებს შეიძინონ ახალი, მეოთხე თაობის
მანქანები. ეს მანქანები ისე მაღალმწარმოებლურია, რომ ერთ ასეთ მანქა-
სა დარგის საინფორმაციო გამოთვლით ცენტრში შეუძლია მოემსახუ-
როს რესპუბლიკის მთელ სას.-სამ. წარმოებას.

საჭიროა აგრეთვე კავშირის მასშტაბით უკვე შექმნილი ეკონომიკურ-
მატიკური მოდელების რესპუბლიკის სპეციფიკურ პირობებთან მისა-
ვლელი სამუშაოების ჩატარება. ამ საქმეში, ვიმეორებთ, მათემატიკო-
თან და პროგრამისტებთან ერთად გვერდში უნდა იყვნენ სოფლის
მეურნეობის წარმოების მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.

მანქანის გაშვების შემდეგ, იმის გამო, რომ უკვე დამუშავებულა რი-
გობრივობისათვის საწყისი ინფორმაციის მომზადების ამოხსნის და მი-
მისი შედეგების ანალიზის ავტომატიზაციის პროგრამები და სხვა სი-
სებები. აღნიშნული დარგობრივი საინფორმაციო-გამოთვლითი სისტე-
მის ძნელი არ იქნება გაიანგარიშოს რესპუბლიკის თითოეული კოლ-
ექტივისათვის და საბჭოთა მეურნეობისათვის ოპტიმალური საწარ-
მო გეგმები, კულტურათა მოვლა-აღების საწარმოო-ტექნოლოგიური
მომართები, ოპტიმალური განაცხადები სამანქანო-სატრაქტორო პარკზე და
დადარიგო ნაწილებზე და სხვ. თუ არას ვიტყვით იმაზე, რომ თავისუ-
ფლად შეგვეძლება გავუყვითოთ მათ სამეურნეო საქმიანობას ანალიზი და
შედეგები ბიულეტენების სახით სახელმძღვანელოდ დაეფუძა-
ნოს, როგორც თვით საწარმოებს, ისე პარტიულ და სამეურნეო ორგა-
ნიზაციებს. რაც ცოტა არ იქნება მთლიანად დარგის დაგეგმვის, ორგანიზაცი-
ისა მართვის სრულყოფის საქმეში.


აღწერილი საინფორმაციო-გამოთვლითი სისტემის მუშაობის ეკო-
ნომიკური ეფექტიანობის დასადასტურებლად მხოლოდ ერთი მაგალი-
თი მოყვანაც კი კმარა. ცნობილია, რომ იმისდა მიხედვით, თუ რამდენად
ეკონომურად გამოვიყენებთ არსებულ რესურსებს, ბევრად არის და-
ბრუნებული წარმოებული მთლიანი პროდუქციის მოცულობაც. გეგმის
ინტენსივობის შეზღუდვა ჩვეულებრივ, გამოცდილების, ინტუიციის, ან უკეთეს
სახეობაში, რამდენიმე ვარიანტის გაანგარიშებით და მათგან უკეთესის

ამორჩევით არის შესაძლებელი. მაგრამ რამდენიმე კი არა, ერთი გენის შედგენაც ძალზე შრომატევადი სამუშაოა, ამიტომ ვარჯიშებს ახლავს ვფიქრობთ და არაფერი შეგვიძლია ვთქვათ ჩვენ მიერ შედგენილი გენის ვარჯიშის შესახებ. მათემატიკური მეთოდების გამოყენებით ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანაზე შეგვიძლია გავიანგარიშოთ რესურსების გამოყენების ყველა შესაძლებელი ვარიანტი და გარკვეულ კრიტერიუმით მათგან შევარჩიოთ ყველაზე ხელსაყრელი.

